№304 (12 374) 28 დეკემბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მატიანე, 2007: რამაზ ნოზაძე

## წლის საუკეთესო სპორტსმენი, ჟურნალისტთა ვერსია



წლის საუკეთესო სპორტსმენი რამაზ ნოზაძე



სამეული შეავსო კიდევ ორმა მსოფლიო ჩემპიონმა ირაკლი ცირეკიძემ და დავით ბედინაძემ



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# VTB ბანკი ჯორჯია: პროფლიგის ახალი სპონსორი



პაატა ბურჯალიანი

დღეს „თბილისი-მარიოტში" 16.00 საათზე პროფესიული ფეხბურთის ლიგა საფეხბურთო ოჯახისთვის საახალწლო მილებას მართავს.

ამასთანავე, ლიგის ჟურნალ „ლიგის" ახალი ნომრის პრეზენტაცია გაიმართება. და რაც მთავარია, პროფესიული ფეხბურთის ლიგა უმნიშვნელოვანეს კონტრაქტს გააფორმებს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასთან".

ლიგის გენერალური მდივანი, **პაატა ბურჯალიანი** ჯერ არ გვიკონკრეტებს კონტრაქტის დეტალებს, მაგრამ ის კი გაგვიმხილა, რომ ლიგის ახალი პარტნიორი ქართულ ფეხბურთში სოლიდურ ინვესტიციას დააბანდებს.

შეგახსენებთ, რომ ეს ბანკი ადრე „გაერთიანებული ქართული ბანკის" სახელს ატარებდა, მაგრამ შარშან მეპატრონეები გამოეცვალა და რუსულმა საბანკო ჯგუფმა, „ვნეშტორგბანკმა" შეიძინა. ასეთი გაქანების მქონე ბანკის ქართული ფეხბურთით დაინტერესება უდავოდ სასურველი საქმეა.

17 ოქტომბერს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" გენერალური სპონსორობით გაიმართა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი საქართველოსა და შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებებს შორის. ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დღემდე პირველ გვერდზე დევს ინფორმაცია სათაურით - "ვითიბი ბანკი ჯორჯია" მხარს უჭერს ქართულ ფეხბურთს.

როგორც ჩანს, ბანკისთვის ქართული ფეხბურთის მხარდაჭერა მხოლოდ სიტყვები არაა.

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი კახელიშვილი

ინტერვიუ გიორგი კახელიშვილთან

# ქუჩიდან აყვანილი ბიჭის იმედები

## კახელიშვილი მეორე სუნთქვას ელის

**გიორგი კახელიშვილს** რთული დრო დაუდგა. თავდამსხმელს, რომელიც 17 წლიდან ჯერ „ლოკომოტივის" ერთ-ერთ ლიდერი იყო, შემდეგ კი „ოლიმპის", ბოლო დროს არც გუნდში წყალობენ და არც ახალგაზრდულ ნაკრებში.

თუმცა ის იმედოვნებს, რომ მალე მეორე სუნთქვა გაეხსნება და საგაზაფხულო ეტაპიდან მოედანს ისევ ის „კახელო" დაუბრუნდება, რომელიც ადრე გულშემატკივრებს მოსწონდათ, რომელმაც სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო და ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს.

**- გიორგი, დავიწყოთ „ოლიმპით". სეზონი ჩემპიონისთვის შეუფერებლად დაიწყეთ და მეორე წრეში სამეულში მოხვედრაც გაგიჭირდებათ.**

- ყველაფერს აქვს საფუძველი და ეს ჩავარდნაც შემთხვევითი არ იყო. საქართველოს დონეზე საუკეთესო ფეხბურთელების დიდი ნაწილი ჩვენთანაა შეკრებილი და შედეგი მაინც არ იყო. პისკოვეცს ახალი გუნდის აშენება თავიდან გაუჭირდა, მაგრამ ბოლოს ვითარებაში გაერკვა და „ოლიმპი" ნელ-ნელა ძველებურად ათამაშდა. მგონია, რომ მეორე წრეში ეს მშენებლობა დასრულდება, სახურავს კი, ალბათ, შეკრებაზე გადახურავენ.

ის მაინც მადარდებს, რომ უკვე ბევრი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა და არც ვიცი, ახალი გუნდის შეკვრა სწრაფად როგორ მოხერხდება. თუმცა უიმედოდ არ ვარ, იქნებ არანაკლები გუნდი გამოდგეს.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ მხოლოდ კარგი გუნდი არ მაკმაყოფილებს. თავად ვარ ამბიციური ფეხბურთელი და იმას, რაც პირველ წრეში ვაჩვენეთ, ვერ ვეგუებოდი. მინდა, სულ ჩემპიონობისთვის ვიბრძოდეთ.

**- პირადად შენთვისაც 2007 წელი წარუმატებელი აღმოჩნდა. ჯერ იყო და „ოლიმპის" ძირითადში დაკარგე ადგილი და შემდეგ უკვე ახალგაზრდული ნაკრებშიც აღარ გიწვევდნენ.**

- ეტყობა, მთლიანად გუნდს ჰქონდა ჩავარდნა და ამან ჩემზეც იმოქმედა. თუმცა მარტო ეს არაა. საერთოდ, კარიერაში სამი ადამიანია, რომელსაც ვემადლიერები: სანდრო მენაბდე, ჯემალ ჩიმაკაძე და ნოდარ აკობია. მე თუ „ლოკომოტივსა" და „ოლიმპში" ვითამაშე, მათი დამსახურებაა, ხელი შემიწყვეს და გამხსნეს.

აკობია მოედანზე ყველაფრის უფლებას მაძლევდა, რადგან პატარა ბიჭი ვიყავი და ცდილობდა, თავდაჯერებული გავმხდარიყავი. ასე მექცეოდა „ოლიმპშიც". მას შემდეგ რუსთავში გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე დანიშნეს. მათ ბოლომდე გამხსნეს და ხუთიანზე ვიყავი. მაშინ ვფიქრობდი, აი, ახლა უკვე სერიოზულ წინსვლა შეიძლება-მეთქი და სწორედ ამ დროს დაგვინიშნეს ძოძუაშვილი, რომელმაც შემადგენლობიდან ამომაგდო და ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდი.

**- კიკნაძე-ზამთარაძის წასვლის შემდეგ აშკარად აიჭერი. ძოძუაშვილი გამოცდილი მწვრთნელია და ეტყობა, რალაცით არ აკმაყოფილებდი.**

- მესმის, რომ ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელმა თავი არ უნდა იმართლოს და ყველაფერი მწვრთნელს არ უნდა დააბრალოს, რომ ის არ ენდობა და სკამზე თავის გამოჩენა შეუძლებელია და ა.შ. თუ არ გენდობა, მეტი უნდა ივარჯიშო და დაუმტკიცო, რომ ცდება.

თუმცა ძოძუაშვილის მოსვლისას ფორმაში ვიყავი და მაინც არ მენდობოდა. მეტი რალა მომემატებინა და რალა მეთამაშა, როდესაც სტიმული გამიქრო? სხვათაAშორის, ასევე იყო თავიდან პისკოვეციც, მაგრამ მიხვდა, რომ არც მონდომება მაკლდა და ვარჯიშებსაც ზერელად არ ვეკიდებოდი და ბოლოს ჩემსკენ 180 გრადუსით შემოტრიალდა.

**- შენ გიცნობდნენ პერსპექტიულ თავდამსხმელად და რუსთავში ფლანგის ნახევარმცველი გაგხადეს. ფორვარდისთვის ფლანგზე თამაში ყველაზე საშინელებაა...**

- ამას ვინ ჩივის, ხშირად მცველის საქმესაც ვაკეთებდი, რადგან ჩვენი ტაქტიკიდან გამომდინარე, უკან ჩასვლა ხშირად მიწევდა. „ოლიმპი" ხომ 3-5-2 განლაგებით თამაშობს და მე ფლანგის კონტროლი მევალებოდა.

**- მართალია, თითქოს ნოდარ აკობიამ ქუჩიდან აგიყვანა?**

- ქუჩის ფეხბურთელი მერქვა, აბა, რა, როდესაც დიდი ხანი უგუნდოდ ვიყავი. 16 წლისა „რაჭაში" ვთამაშობდი, მერე „დინამო 3"-ში კახი კაჭარავამ ამიყვანა. საკონტროლო თამაშში გამსინჯა და ოცი წუთის შემდეგ ეგრევე კონტრაქტი შემომთავაზა.

მერე იყო „დინამო2", მაგრამ არ მათამაშებდნენ და ერთ წელიწადში კონტრაქტი გავაუქმე. ასე დავრჩი ქუჩაში. ამბიციური ვარ და სკამზე ჯდომას ვერ ვეგუები.

იმ დროს, „ლოკომოტივის" ვარჯიშს დავესწარი და შემთხვევით სანდრო მენაბდე ვნახე, რომელიც „დინამო 3"-დან მიცნობდა და იმ დროისთვის „ლოკომოტივში" მუშაობდა. სად ხარ, რას შვები და მეც ჩემი ამბავი ვუთხარი. ახლავე ჯემალ ჩიმაკაძეს ვეტყვიო, ცოტა ხანი მალოდინა და „ლოკომოტივი 3"-ში მართლა არ დამტოვეს? ორი თამაშის შემდეგ სანდრომ მახარა, ტრაბზონში მოდიხარო.

ძირითადი გუნდი მეორე წრსთვის ემზადებოდა და მეგონა, სანდრო მეხუმრებოდა, რა ძირითადი და რის ტრაბზონის შეკრება, 17 წლის ბიჭი მხოლოდ დუბლებში გადასვლაზე ვფქრობდი. თანაც, მაშინ „ლოკომოტივი" გუნდი იყო და მაგარი შემადგენლობა ჰყავდა, სტურუა, გვარამაძე, ბობოხიძე, ონიანები, გოგობერიშვილი და ჩემპიონიბისთვის იბრძოდნენ. მე იქ ვინ ამიყვანს-მეთქი?

თურმე მენაბდე სერიოზულად მელაპარაკებოდა და თურქეთში წამიყვანეს. რამდენიმე შეხვედრა დამაკვირდა და ჩიმაკაძეს მოვეწონე. მამა შვილს ისე არ დაუდგება, როგორც ეს კაცი მენდო და დამეხმარა. მაგარი ადამიანი იყო. სამწუხაროდ, ერთად ძალიან ცოტა ხანი ვიმუშავეთ და მერე მოვიდა ნოდარ აკობია, რომელიც თავლდახუჭული მენდობოდა და მეც ლალად ვთამაშობდი. მწვრთნელის ნდობაა მთავარი, უნდობლობით, შეიძლება, მაგარი ფეხბურთელიც ვერ გამოჩნდეს. ნდობას ვგრძნობდ „ოლიმპშიც", მაგრამ მეორე წრეში აღარ მათამაშებდნენ და ფორმიდან ამოვვარდი.

**- ზემოთ ახსენე, რომ პისკოვეცი ბოლოსკენ კეთილგანწყობლი გახდა.**

- დიახ, ასეა და მგონია, რომ მეორე წრეში მეორე სუნთქვა გამეხსნება. ბოლო თამაშები თუ ნახეთ, გაცილებით უკეთესად ვთამაშობდი, ვიდრე მანამდე.

**მერაბ მამულაშვილი**


დუშან უპრინი გუნდს იანვარში შეუერთდება

# დინამო დღეს შეიკრიბება

უმაღლესი ლიგის ორიოდე გუნდი სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას უკვე შეუდგა, ნაწილი ამ დღეებში, ნაწილი კი ნაახალწლევს შეიკრიბება. თბილისის „დინამო" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დღეს შეიკრიბება. აქცენტი რალა თქმა უნდა ფიზიკურ კონდიციებზე გაკეთდება. ვარჯიშებთან ერთად დინამოელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან. მერე საახალწლოდ დაისვენებენ ფეხბურთელები და 3 იანვრიდან განაახლებენ ვარჯიშს. ნაახალწლევს „დინამოს" მთავარი მწვრთნელი **დუშან უპრინი** და ლეგიონერები შეუერთდებიან. უპრინის სურვილია გუნდთან ერთად ივარჯიშონ იმ ფეხბურთელებმა, რომლებიც მიმდინარე სეზონის პირველი წრეში სხვა კლუბებში იყვნენ განათხოვრებულნი. მათ შორის „ბორჯომში" მოასპარეზე ნახევარმცველებმა, **გიორგი ნერგაძემ** და **შოთა გრიგალაშვილმა.**

ბაზაზე ვარჯიშის შემდეგ, 12 იანვრიდან გუნდი მოსამზადებლად ანთალიას მიაშურებს.

**დავით ცაბაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# სიონი 8 ფეხბურთელს გამოეთხოვა

## სამიდან ორი კამერუნელი დარჩა

სამი დღეა ბოლნისის „სიონი" მეორე წრისთვის მზადებას შეუდგა. ბოლნისელები თბილისში, იპოდრომზე იკრიბებიან და ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად ვარჯიშობენ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გუნდის დატოვება ერთბაშად 8 ფეხბურთელს მოუწია. კლუბმა მათთან კონტრაქტები აღარ გააგრძელა. ეს ის ფეხბურთელებია, რომელთაც პირველ წრეში ნაკლებად უწევდათ ძირითად შემადგენლობაში თამაში: **მანუჩარ კვიციანი, მამუკა მენთესაშვილი, მიხეილ კოსტავა, გიორგი თავბერიძე, გიორგი ქუცურუა, არჩილ ნოზაძე, გიორგი რეხვიაშვილი, გასტონ ევოჩე.**

შევიტყვეთ ისიც, რომ ნაახალწლევს ბოლნისურ კლუბთან განშორება შესაძლოა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს მოუწიოს. ბუნებრივია „სიონის" ხელმძღვანელობა გუნდის გაძლიერებაზეც ზრუნავს. კლუბის გენერალური მენეჯერის **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, რამდენიმე მოთამაშესთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ალბათ, ნაახალწლევს გუნდს რამდენიმე სახელიანი ფეხბურთელი დაემატება.

მისივე თქმით საკადრო ცვლილებები მწვრთნელთა კორპუსს არ შეეხება. ახალი წლის პირველ დღეებში გუნდი დაისვენებს, 3 იანვრიდან კი ვარჯიშები განახლდება. როცა გუნდში ახალი ფეხბურთელები გამოჩნდებიან და კლუბიდან წამსვლელთა ვინაობაც საბოლოოდ გაირკვევა,"სიონი" მოსამზადებელი შეკრებისთვის ბაკურიანს მიაშურებს. მერე კიდევ ერთი, უცხოური შეკრებაა დაგეგმილი, სავარაუდოდ იალტაში.

დაბოლოს, კლუბის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. „სიონს" ბოლნისის მუნიციპალიტეტი მხარში უდგას. იანვრის პირველ ნახევარში კი სხვა კლუბებთან ერთად, „სიონის" ახალი მეპატრონის ვინაობაც გაირკვევა.

**დავით ცაბაძე**



ერთი კვირის ათასი წვრილმანი

ისეთი წელიწადი ილევა, წვრილმანები კი არა, დიდი ამბები დაიტია.

„დინამო თბილისის" პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი ამ აურზაურში ძალიან მნიშვნელოვანი კაცი შეიქნა - რომ არა ის, რომ არა მისი ტელევიზია, რომ არა მისი პოლიტიკური ამბიცია, ალბათ არც არაფერი მოხდებოდა.

ოლიგარქის პარპაშს არც ერთი ნორმალური თუ არანორმალური ქვეყანა არ დაუშვებს, რადგან არავის სჭირდება სახელმწიფო სახელმწიფოში. მაგრამ ოლიგარქებს იმის გამო არ დევნიან, რომ ისინი ოლიგარქები არიან. ოლიგარქს შეუძლია სასარგებლო იყოს ქვეყნისთვის და ხალხისთვის, სპორტისთვის და ფეხბურთისთვის, მაგრამ როცა ხელისუფლებისთვის ტოტალური კონტროლი იდეა-ფიქსია, ასეთი სისტემა ვერ ჰგუობს ოლიგარქს.

2007 წელს ძალიან ულამაზოდ აირჩიეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მაგრამ ხელისუფლება საფეხბურთო სამყაროს, სპორტულ მედიას თუ მთლიანად საზოგადოებას სულაც არ შეუშინდა, საზოგადოებაზე უფრო მას ოლიგარქის ეშინია.

სანამ საერთაშორისო ერი არ გავხდებით, ძალიან გაგვიჭირდება სპორტშიც და ფეხბურთშიც. ჩვენი და ჩვენი ფეხბურთის ბედი საქართველოში წყდება და არა სხვაგან. თუ რამ ცუდი ზნე გვჭირს, საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ.

მაგრამ არ არსებობს ცუდი ამბები გამონათებების გარეშე. საქართველოს ეროვნულ გუნდს ორი ყოჩაღი ყმაწვილი გამოუჩნდა - ლევან მჭედლიძე და ლევან ყენია.

ლევან მჭედლიძის მამა თბილისის „დინამოს" მეკარე იყო, ახლა საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის" პრეზიდენტია და თავისი ბიჭიც იქ გაიზარდა ფეხბურთელად. უფროსმა მჭედლიძემ მითხრა,როცა ლევანი „ემპოლიში" მივიდა,ყველანაირად შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ ჭაბუკის კი არა კაცის ორგანიზმი ჰქონიაო.

# ორი მარგალიტი

ლევან მჭედლიძე



ლევან მჭედლიძემ მაშინაც ივაჟკაცა, როცა ლიტვასთან დავით სირაძემ ტვინის მძიმე შერყევა მიიღო და გონება დაკარგა. პირველი და სასიცოცხლო მნიშვნელობის დახმარება დათოს სწორედ მჭედლიძემ აღმოუჩინა.

მჭედლიძე გაჭირვების ტალკვესი აღმოჩნდა საქართველოს ნაკრებში ჯერჯერობით ხელმოცარული კლაუს ტოპმიოლერისთვისაც. შედეგი არ მაქვს, მაგრამ ნაკრებში ასპარეზი ნიჭიერ ახალგაზრდებს დავუთმე და მათ გაამართლეს - ლევანმა ტოპის ამის თქმის საშუალება მისცა.

ლევან ყენიას კი გიო ქინქლაძეს ადარებენ. ქინქლაძემ პრემიერლიგაში ერთი ისეთი სეზონი ითამაშა, დღემდე „მანჩესტერ სიტის" ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება. ყენიამ მსგავსი მწვერვალისკენ სვლა ახლალა დაიწყო, მაგრამ ხასიათი და ჟინი ქინქლაძეზე უკეთესი უნდა ჰქონდეს - მეშვიდე კლასიდან შეეშვა სკოლას, რადგან ფეხბურთი აირჩია - მოზარდი ასეთ გადაწყვეტილებას რომ მიიღებს, მას ალბათ ვარსკლავური მომავალი აქვს.

ეროვნულმა ნაკრებმა ჯგუფში ბოლოდან მეორე ადგილი დაიკავა, ახალგაზრდულმა ყაზახეთთან 1:4 წააგო და მერე შინ რუსეთის ძლევით (2:0) მოგვილბო გული, ევროტურნირებზე კი ჩვენმა გუნდებმა ფალარათით მოსვარეს საკუთარი თავი და ქართულ საკლუბო ფეხბურთის იმიჯი, ერთი ეგ იყო, „ამერმა" შინ პოლონურ „ბელხატოვს" 2:0 მოუგო და პენალტებში დამარცხდა.

ახალგაზრდულ ნაკრებში პეტარ სეგრტი დატოვეს, 19 და 17 წლამდელებში კი ჰაინც ტოპმიოლერი და ჰერბერტ ცანკერი ალბათ აღარ დარჩებიან. მაგრამ, წინა „წრილმანში" რომ ვთქვით, ფეხბურთი ფედერაციის პრეზიდენტს მწვრთნელებს „ჩემიანებად" და „იმისიანებად" ყოფსო, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ პრინციპით შეირჩევა 19 ან 17-წლამდელთა ნაკრებების თავკაცები.

ბევრი ცუდის ამოქექვა შეიძლება 2007 წლიდან. გოგიტა გოგუამ სულაც წერილი დაწერა, ტოპმიოლერს და ფედერაციას ჩემი ტრანსფერის გამგებლობა უნდოდათო. ახლა გოგუა ისევ უგუნდოდ დარჩა. კარგი მენეჯერი და ალბათ კარგი ჭკუისდამრიგებელიც სჭირდება ჩვენი ნაკრებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ფეხბურთელს.

სათქმელი და საქექი კიდევ ბევრია, მაგრამ საქართველოში ჟურნალისტური გამოძიება ისევეა გამქრალი, როგორც ტელეგადაცემა „60 წუთი". აბა, ვინ არ იცის ბრაიან დე პალმას უკვდავი ჰიტი „ნაიარევი სახე", სადაც ნარკოაფთრებს „60 წუთითაც" ებრძვიან. ჩვენთან კი თურმე უმსგავსოებების გამოქექვა აღარ არის აქტუალური.

ორი მარგალიტი - ყენია და მჭედლიძე ალბათ ბევრ რამეს გადაწონის, ისინი ძალიან სწრაფად და მოხდენილად შემოიჭრნენ, მათ უკვე შექმნეს საკუთარი თავი, მათ უკვე ტაშს უკრავენ.

არც უკანმოტოვებული ამბები ქრებიან, მაგრამ... ვილას ახსოვს, როგორ გვიყვარდა „დინამო", როგორი მომნუსხველი იყო „დინამოს" სტადიონის ყურება თუნდაც მინებშეორთქლილი ტროლეიბუსიდან.

ახლა მჭედლიძის და ყენიას დროა.

**დავით თავართქილაძე**



ლევან ყენია

ლეგიონერი

# ყენიას გასაჭირი

## პრობლემები არ ილევა

ცოტა ხნის წინათ გერმანიაში წასულ ლევან ყენიას არა და არ ელევა პრობლემები, რომლის გამოც ის „შალკეს" ახალგაზრდულ გუნდში თამაშს ვერ ახერხებს. თუმცა პრობლემები ახლა როდი დაწყებულა.

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს ჯერ იყო და შარშან ესპანეთის პრიმერადივიზიონელ „ლევანტეში" გამზადებული კონტრაქტი მწარე მოგონებად უქციეს, ახლა კი გერმანიაში განვალდა ბიჭი.

ყენია ბუნდესლიგელმა „შალკემ" სექტემბერში შეიძინა და თავდაპირველად 19-წლამდელთა გუნდში დააბინავა, მაგრამ რად გინდა? პირველი წრე ისე მიილია, ლევანი გუნდს ერთხელაც ვერ დაეხმარა.

ლევანის თქმით, პრობლემა ისევ და ისევ ფორმალური საკითხებს მოუგვარებლობაა.

„გერმანიაში საქმე ძალიან გამიჭიანურდა. ყველაფრის მიზეზი ისაა, რომ ჯერ მხოლოდ 17 წლის ვარ და რამდენიმე პრობლემა შემექმნა, საბუთები არაა წესრიგშიო, სკოლის და საცხოვრებელი ადგილის პორბლემაც წამოიჭრა და არ ვიცი, ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს.

ჯერ „შალკეს" 19-წლამდელთა გუნდში ვვარჯიშობ და ისე გამოდის, გერმანიაში სათამაშოდ კი არა, სავარჯიშოდ წავსულვარ. თუმცა, მაიმედებენ, იანვრიდან ყველაფერი წესრიგში იქნებაო და მეც ველოდები." - გვითხრა ლევან ყენიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა


ზურაბ ხიზანიშვილი

ლეგიონერი

# ხიზანიშვილი ბლექბერნთან გააახანგრძლივებს

ბოლო პერიოდში **ზურაბ ხიზანიშვილი** სისტემატურად აცხადებდა, რომ უახლოეს პერიოდში „ბლექბერნთან" კონტრაქტს გააახანგრძლივებდა. გუშინ ბრიტანულმა სააგენტოებმა გაავრცელეს განცხადება, რომლის მიხედვითაც ეს ძალიან მალე უნდა მოხდეს. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ნაკრების მცველი ამ სეზონში ძირითადში ვეღარ ხვდება, კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა, მასთან თანამშრომლობა გააგრძელოს.

*„მოლაპარაკება რამდენიმე დღის წინათ დაიწყო, დარწმუნებული ვარ, ყველა დეტალზე სწრაფად შევთანხმდებით და თანამშრომლობის ახალ ვადაზე საერთო ენას გამოვნახავთ. მოხარული ვარ, რომ „ბლექბერნში" დარჩენის შესაძლებლობა მეძლევა, ეს ორმხრივი სურვილია"*, - უთხრა „სქაი სპორტს" ხიზანიშვილმა.

შეგახსენებთ, მან „ბლექბერნს" 2005 წელს მიაშურა გლაზგოს „რეინჯერსიდან". ამ სეზონამდე ზურას ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ ჰქონია, მაგრამ გუნდში **კრისტოფერ სამბას** მისვლის შემდეგ, სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. რამდენიმე დღის წინათ ხიზანიშვილმა „ჩელსის" წინააღმდეგ ითამაშა, ამის საშუალება მას სამბას დისკვალიფიკაციამ მისცა.

გუშინ „სიტისთან" მატჩში ხიზანიშვილი ძირითადში იყო, თუმცა პირველი ტაიმის მერე მაკარტით შეცვალეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# შეხვედრის ადგილი სანქტ-პეტერბურგია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** და გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** ფიფასა და უეფას პრეზიდენტებს შეხვდებიან. იანვარში სანკტ-პეტერბურგში დსთ-ისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება გაიმართება. ტრადიციისამებრ ტურნირს ფიფასა და უეფას პრეზიდენტები, **იოზეფ ბლატერი** და **მიშელ პლატინი** დაესწრებიან. სწორედ იქ გაიმართება ზემოთნახსენები შეხვედრა.

გარდა ამისა ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელები ზაგრებში გასამართ კონგრესს დაესწრებიან, სადაც ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდაზე იქნება მსჯელობა.

თანამეგობრობის და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე საქართVელოს რუსთავის „ოლიმპი" წარმოადგენს. საქართველოს ჩემპიონის მეტოქეები ლატვიური „ვენტსპილსი", ყირგიზული „დორდოი-დინამო" და სერბული ოფკ იქნება, რომელიც სპეციალური სტუმრის სტატუსით რუსეთში მეორედ ჩადის.

ბელგრადელები ტურნირისთვის სრული სერიოზულობით ემზადებიან და მის მოგებას აპირებენ. ოფკ-ის გენერალური დირექტორი **ვლადიმირ ბულატოვიჩი** ქვეჯგუფში მთავარ მეტოქედ „ვენტსპილსს" მიიჩნევს, „ოლიმპზე" კი ამბობს, ეს გუნდი სიურპრიზია და არც მასთან ბრძოლა იქნება იოლი.

ცნობისათვის, სადღეისოდ ოფკ სერბეთის 12-გუნდიან უმაღლეს ლიგაში მე-6 ადგილზეა 22 ქულით. ერთპიროვნულ ლიდერ „პარტიზანს" 41 ქულა აქვს.


მიშელ პლატინი და ნოდარ ახალკაცი ერთმანეთს სანკტ-პეტერბურგში შეხვდებიან

## ბენდელაზე ფინალისტები გამოვლინდნენ



გუშინ „ბენდელას" თასზე ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა. ორივე მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, თუმცა საბოლოოდ, ფავორიტებმა იმარჯვეს და გულშემატკივარმა ნესით, დღეს საინტერესო ფინალი უნდა იხილოს.

„ნაძალადევმა" „მაღაროელს" 4:2 სძლია. გამარჯვებულთაგან **ლევან მელქაძემ** დუბლი შეასრულა, თითო გოლი კი **გიორგი ნემსაძემ** და **გიორგი ჩივაძემ** გაიტანეს, ჭიათურელთა მხრიდან თავი **გამცემლიძემ** და **მუშკუდიანმა** გამოიჩინეს.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს სეუ (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი) და ცხინვალის „სპარტაკი" დაუპირისპირდნენ. **ვლადიმერ დვალიშვილის, ბაჩანა ცხადაძისა** და **გიორგი ნავალოვსკის** გოლებით სეუ-მ 3:1 გაიმარჯვა და ფინალში გავიდა.

როგორც უკვე გითხარით, ფინალი დღეს გაიმართება „საბურთალოს" საფეხბურთო სკოლის მოედანზე. გამარჯვებული გუნდისა და გამორჩეული ფეხბურთელების დაჯილდოვებაც იქვე მოეწყობა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## თარხნიშვილი შერიფში დარჩება



გუშინ გაცნობეთ, რომ **ვაჟა თარხნიშვილი** „შერიფის" წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ამას გარდა, ამ ცოტა ხნის წინათ იგი კლუბის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, იგი „შერიფის" დირექტორატში დაიკავებს ერთ-ერთ წამყან პოსტს. გამორიცხული არაა, ვეტერანმა ქართველმა მცველმა ბუცები ლურსმანზე 2008 წელს ჩამოკიდოს.

„შერიფის" დირექტორატის განცხადებაში ნათქვამია, რომ თარხნიშვილის ცოდნა და გამოცდილება კლუბს აუცილებლად წაადგება და რაკი ჯერჯერობით, ვაჟას მწვრთნელობის სურვილი არ გამოუთქვამს, იგი „შერიფის" მართვაში მიიღებს აქტიურ მონაწილეობას.

# მალხაზ ასათიანი ლოკომოტივის სიაშია


შუაში მალხაზ ასათიანი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **მალხაზ ასათიანი** ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მოსკოვის „ლოკომოტივს" არ დატოვებს. რკინიგზულმა კლუბმა იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც გუნდთან ერთად შეკრებაზე გაემგზავრებიან. ამ სიაში ასათიანის გვარიც ფიგურირებს.

„ლოკომოტივი" ახალი სეზონისთვის სამზადისს 10 იანვარს შეუდგება, პირველ შეკრებას მოსკოველები თურქეთის კურორტ ქემერში 12-დან 22 იანვრამდე გაივლიან. 26 იანვრიდან 5 თებერვლამდე „ლოკომოტივი" ესპანეთის ქალაქ პეგოში საერთაშორისო ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. რკინიგზელთა მეტოქეები ავსტრიული „კერნტენი", რუმინული „უნირია" და ბულგარული ცსკა იქნებიან. მესამე, დასკვნითი შეკრება კი 24 თებერვლიდან 3 მარტამდე ავსტრიაშია დანიშნული.

# ლვინიანიძის შანსი

როგორც იცით, **მათე ლვინიანიძემ** რამდენიმე დღის წინათ მუხლის ოპერაცია გაიკეთა, მისმა სარეაბილიტაციო პერიოდმა დაახლოებით ერთ თვეს უნდა გასტანოს. ამასობაში კი „მიუნხენ 1860"-მა ამხანაგური მატჩი დაგეგმა. ეს რიგითი შეხვედრა არ იქნება, „ცისფერი ლომების" მეტოქე თვით „ბაიერნია". ეს მატჩი 26 იანვარს გაიმართება. კლუბის ვებგვერდის ცნობით, ლვინიანიძეს აქვს იმის რეალური შანსი, რომ დერბიში თუნდაც რამდენიმე წუთი ითამაშოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგიონერი. ინტერვიუ გია თოდუასთან

# ქვლავ დინამოში ვითამაშებ

## ბელარუსში ფეხბურთის დონე საგრძნობლად ამაღლდა

ქართველ ფეხბურთელები პოსტსაბჭოთა სივრცეში ლამის ყველგან თამაშობენ. გამონაკლისი არც ბელარუსია. იქ მოთამაშე ქართველთაგან ერთ-ერთი გია თოდუა გახლავთ. ის ადრე რუსთავის „ოლიმპში" თამაშობდა, მერე ზუგდიდის „მგლებში" და გუნდის უმაღლესში აღზევებაში დიდი წვლილიც შეიტანა.

ბელარუსში მორიგი სეზონი დასრულდა და სხვა ლეგიონერთა დარად გია თოდუაც დროებით სამშობლოშია.

**- ბელარუსში მორიგი სეზონი უკვე დასრულდა. როგორ შეაფასებდი შენი და გუნდის ასპარეზობას?**

- ბელარუსში ზაფხულში მოუმზადებელი ჩავედი. ადრეც ვთამაშობდი ბელარუსში, კერძოდ კი „მტზ-რიპოში" და კარგად იცოდნენ ჩემი შესაძლებლობები. კონტრაქტი გავაფორმე და ფორმაშიც ნელ-ნელა შევედი. საერთო ჯამში საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი და აქედან გამომდინარე ჩემს ასპარეზობას დადებითად შევაფასებდი. საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნი ვარ და როცა ჩვეულ ფორმაში ვარ, უკეთაც შემიძლია თამაში.

რაც შეეხება გუნდს, ბრესტის „დინამომ" ჩემპიონატში სათანადოდ ვერ იასპარეზა, მხოლოდ მე-11 ადგილს დასჯერდა. თუმცა თასი მოიპოვა და უეფას თასზეც ითამაშებს. ამ გუნდისთვის თასის მოგება დიდი მიღწევა იყო და კლუბის ხელმძღვანელობასაც არ გამოუთქვამს პრეტენზიები.

**- აქამდე თასი არასდროს მოუგიათ ბრესტელებს?**

- არა, არასოდეს. 1992 წელს გუნდმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ეს იყო კლბის ისტორიაში საუკეთესო შედეგი. წლეულს თასის მოპოვებით კი კლუბის ახალი ისტორია შევქმენით.

**- სეზონის წინ ჩემპიონატში რა მიზნები გქონდათ?**

- მაქსიმუმ შვიდეულში მოხვედრ გვიინდოდა, მაგრამ თასი რომ მოვიპოვეთ ფეხბურთელთა ნაწილი მოდუნდა, ქულები დავკარგეთ და მეტის მიღწევა ველარ შევძელით.

**- რამდენად სტაბილურად გინევდა თამაში?**

- მეორე წრის წინ მივედი გუნდში და მხოლოდ ბოლო თამაში გამოვტოვე ტრავმის გამო. სულ 13 მატჩში ვითამაშე და აქედან 10 ძირითად შემადგენლობაში. 2 გოლი გავიტანე, ორი საგოლე პასი გავაკეთე და ერთიც პენალტი ავიკიდე. ეს ორი გუნდი გამორჩეულ გუნდებს, მინსკის „დინამოსა" და როდინოს „ტორპედოს" გავუტანე. გუნდის მთავარი მწვრთნელი და კლუბის ხელმძღვანელენო სამადლობელ სიტყვებს არ იშურებენ ჩემი მისამართით.

**- კონტრაქტით კვლავაც ბრესტელებს ეკუთვნი...**

- დიახ, კიდევ ორი წლით „დინამოს" უფლებებში ვარ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ „ბრესტის „დინამოსთან" კიდევ გავაგრძელო ხელშეკრულება.

**- შენს გუნდში კიდევ ერთი ქართველია - რომან გოგინაშვილი...**

- დიახ, რომანიც წამყვანი ფიგურაა გუნდში. უბრალოდ, ლეგიონერთა ლიმიტისა და სიმრავლის გამო რომანს და მე ერთად ხშირად არ გვიწევს ხოლმე თამაში.

**- სხვა გუნდებს თუ აქვთ შენი გადაბირების სურვილი?**

- ჯერჯერობით კონკრეტული წინადადებით სხვა კლუბს არ მოუმართავს და ვერაფერს გეტყვით.

მართალი გითხრათ, ბრესტში და საერთოდ „დინამოს" ხელმძღვანელებისა და გულშემატკივრებისგან მე და გოგინაშვილი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ვგრძნობთ. საშინაო მატჩებს ყოველთვის ესწრება ჩემი მეუღლე და პატარა ვაჟი. კლუბის თავკაცებს მათთვის ადგილი ყოველთვის საპატიო ლოჟაში აქვთ გამოყოფილი, ეს კი დიდი პატივია. საერთოდ აქ ძალიან უყვართ ქართველები, ყველა გვაფასებს. დისკომფორტი არასდროს მიგვრძნია. ყველა ნორმალურად ცხოვრობს, მშვიდი ქვეყანაა.

**- ბელარუსის ჩემპიონატში ადრეც თამაშობდი. ფეხბურთის დონემ რამდენად აიწია?**

- დონემ საგრძნობლად იმატა. თავად განსაჯეთ „ბატე" ევროტურნირებზე მესამე ეტაპზე გავარდა და რუმინეთის ჩემპიონ „სტიაუას" დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ბელარუსის ნაკრებში „ბატეს" 6 ფეხბურთელი ასპარეზობს, ბელარუსის ნაკრებმა კი ჰოლანდიას მოუგო... ვფიქრობ საკმარისია. ამას გარდა, ჩემპიონატში ჩადებული ფინანსებიც იზრდება. ადრე ოლიგარქ რომანოვის კლუბში, „მტზ-რიპოში" ვთამაშობდი და იქ რა ანაზღაურებაც მქონდა, დღეს იმდენი ხელფასი ბელარუსის თითქმის ყველა კლუბშია. თანხა ყველა კლუბში სტაბილურად გაიცემა. დაგვიანება ძალზე იშვიათია და ისიც მაქსიმუმ 1 კვირით.

**- ბრესტის „დინამოს" ვინ აფინანსებს?**

- „ბრესტენერგო". მის პრეზიდენტს ძალიან უყვარს და ერკვევა კიდეც ფეხბურთში.

**- გატყობ კლუბის შეცვლას არ აპირებ...**

- ახალ სეზონს კვლავაც ბრესტის „დინამოში" ვითამაშებ და დანარჩენს მერე გადავწყვეტ.

**დავით ცაბაძე**

# ჰენინგ ბიურგერს დარჩენისა სჯერა

## ქართველები თურქულ შეკრებაზე

რამდენიმე დღის წინათ „კარლ ცაისის" ახალ მწვრთნელად 38 წლის **ჰენინგ ბიურგერი** დაინიშნა, რომელმაც ამ პოსტზე ლიტველი **ვალდას ივანაუსკასი** შეცვალა. ბიურგერმა პრესკონფერენცია ჩაატარა, სადაც სამომავლო გეგმებზე ვრცლად ისაუბრა.

*„კონკურენტებს საკმაო სხვაობით ჩამოვრჩებით, მაგრამ დაკარგული ჯერ არაფერია. გუნდი წინა სეზონშიც გააფთრებით იბრძოლა მეორე ბუნდესლიგაში დასარჩენად და ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა. ეს გუნდი შარშანდელზე დაბალი დონისა ნამდვილად არაა და მჯერა, რომ მალე „კარლ ცაისი" უკეთ ათამაშდება"*, - განაცხადა ბიურგერმა.



ჰენინგ ბიურგერი

მან იქვე კლუბის სატრანსფერო პოლიტიკაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ახალი ფეხბურთელების დამატებას არ გეგმავს. ბიურგერმა ისიც თქვა, რომ ძირითად შემადგენლობაში დიდი ცვლილებების შეტანას არ აპირებს. ეს ქართველი ფეხბურთელებისთვის ცუდი არ უნდა იყოს, რადგანაც ბოლო პერიოდში **გიორგი ონიანი** და **ილია კანდელაკი** მოედანზე ხშირად გადიოდნენ. მალე მწყობრში **გიორგი სეთურიძე** ჩადგება, რომელიც დანარჩენი ქართველების მსგავსად, „კარლ ცაისში" ამ ზაფხულს გადავიდა, მაგრამ მალე მძიმე ტრავმა მიიღო და იენური გუნდის შემადგენლობაში ერთი ოფიციალური მატჩის ჩატარებაც ვერ მოასწრო. **რევაზ ბარაბაძე** „კარლ ცაისის" ახალგაზრდულ გუნდში ნორმალურად ასპარეზობს და მალე ალბათ, მასაც მიეცემა ძირითადში დამკვიდრების შანსი. მოკლედ, ყველაფერი ქართველების ხელშია, იმედია, უახლოეს პერიოდში „კარლ ცაისის" სასტარტოში ოთხი ჩვენებური ითამაშებს, ჩვენი თანამემამულეები „კარლ ცაისს" მეორე ბუნდესლიგაში დარჩენაში დაეხმარებიან და ვინძლო, გაისად უკეთეს კლუბებშიც გადავიდნენ.

სეზონის მეორე ნახევრისთვის „კარლ ცაისი" თურქეთის ზღვისპირა კურორტ ბელექში მოემზადება. იენელები იქ 12-დან 20 იანვრამდე დაჰყოფენ და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრასაც ჩაატარებენ. მანამდე კი „კარლ ცაისი" მინი-ფეხბურთის ტურნირში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქეები „აუე", „კოტბუსი" და ლაიფციგის „ლოკომოტივი" იქნებიან.

აქვე შეგახსენებთ, რომ „კარლ ცაისი" გერმანიის თასის მერვედფინალშია გასული. მომავალი წლის 30 იანვარს ბიურგერის გუნდი ბილეფელდის „არმინიას" უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# აზერბაიჯანში 11 ფეხბურთელით

ფუტზალში საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პეტრე თაბუკაშვილმა აზერბაიჯანში, 14-18 იანვარს გასამართ ოთხთა საერთაშორისო ტურნირზე წამსვლელი გუნდის შემადგენლობა დაასახელა:

**ლევან ზაქაიძე, ლევან გაბუჩია, შოთა კუბლაშვილი, ლევან ზუმბაძე, ავთანდილ ასათიანი, არჩილ ბოკერია, აკაკი კაკაშვილი, ლაშა ცნობილაძე, გიორგი სოზაშვილი, ბექა ნეფარიძე, ნიკოლოზ ოსეფაშვილი.**

საქართველოს ნაკრები 9 იანვარს შეიკრიბება „ქარიშხალაში" გაივლის ოთხდღიან მზადებას, ბაქოში კი 13 იანვარს გაემგზავრება. პირველ შეხვედრას ქართველი ფეხბურთელები აზიის ჩემპიონ ირანის ნაკრებთან გამართავენ 15 იანვარს, მეორე დღეს მასპინძლებს შეხვდებიან. ტურნირის დასკვნით დღეს კი ყაზახეთს დაუპირისპირდებიან.

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუკა ტონი შობა-ახალ წელს მშობლიურ მოდენაში ატარებს

ბაიერნი

# ტონი: წნეხი? მე ეს მომწონს!

## იტალიელმა კანის კრიტიკას უპასუხა

საშობაო არდადეგებზე გამგზავრებამდე „ბაიერნისა“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელმა **ლუკა ტონიმ** გამოცემა „ფოკუსს“ ინტერვიუ მისცა, სადაც მიუნხენურ კლუბში გატარებული პირველი სეზონის პირველი ნახევარი შეაჯამა. მანამდე ის რეკორდმაისტერის ქომაგებს ღირსეულად გამოეთხოვა, როცა უეფას თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, სალონიკის „არისს“ (6:0) პოკერი შეუსრულა, რითაც მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები. როგორც იცით, ტონის მანამდე მცირე ტრავმა ჰქონდა.

*„როგორც ფრანკ რიბერიმ აღნიშნა, „ბაიერნში“ წნეხი იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ეს ორივეს გვეგონა. ეს არის გუნდი, რომლისგანაც ქომაგები მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ და რიბერი იმაშიც მართალია, რომ „ბაიერნში“ ძალიან მარტივად ტყდება ხოლმე პანიკა. მაგრამ ეს ძალიან მომწონს. პირველ რიგში იმის გამო, რომ როცა ფეხბურთელი ზეწოლის ქვეშაა, მაქსიმალურადაა მობილიზებული და არასდროს მოდუნდება. ესეც არ იყოს, წნეხი იმას ნიშნავს, რომ ძალიან ძლიერ გუნდში თამაშობ,“* – განუცხადა 30 წლის ტონიმ „ფოკუსს“.

ცხადია, მას **ოლივერ კანის** კრიტიკულ განცხადებაზეც ჰკითხეს. როგორც იცით, „ტიტანმა“ ტონი და რიბერი გააკრიტიკა, რის შემდეგაც **ოტმარ ჰიტცფელდმა** ის „ჰერტასთან“ დისკვალიფიკაციით დასაჯა. ტონი: *„კანი გუნდის კაპიტანია და მას სრული უფლება აქვს, ფეხბურთელებს თავდადება მოსთხოვოს. თუმცა მეც მივიჩნევ, რომ ცოტათი გადააჭარბა. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ „ბაიერნი“ „ფიორენტინაზე“ და მარსელის „ოლიმპიკზე“ ძლიერი გუნდია, მაგრამ ამის ხმამაღლა აფიშირება იმ გუნდების შეურაცხყოფაა: თანაც, „ფიორენტინაც“ უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდია. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ წყენა დავიწყებულია. მე უკვე ვესაუბრე კანს და პრობლემა მოგვარებულია.“*

რაც არ უნდა იყოს, ფაქტი გახლავთ, რომ ტონიმ სეზონის პირველი ნახევარი თითქმის იდეალურად ჩაატარა. ბუნდესლიგაში 15 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 9 გოლის გატანა მოახერხა, ამას ემატება 6 გოლი უეფას თასის 5 შეხვედრაში და დუბლი გერმანიის თასის ერთ მატჩში (მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“). *„ვერ ვიტყვი, რომ გერმანიაში გოლის გატანა ძალიან ადვილია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ აქ გუნდები არ თამაშობენ ისეთ ჩაკეტილ ფეხბურთს, როგორც იტალიაში და შესაბამისად, თავდამსხმელსაც უფრო მეტი გასაქანი აქვს,“* – აცხადებს იტალიელი.

მიუხედავად ამ ყველაფრისა ის მაინც არ არის ბოლომდე კმაყოფილი. კერძოდ, ერთადერთი, რაც ხელს უშლის, არის ის, რომ მისი თანაგუნდელები მის უმთავრეს კოზირს არ იყენებენ. ტონის მთავარი პლუსი თავით თამაშია და ის ღიად აცხადებს, რომ „ბაიერნში“ ხეირიანი ჩაწოდებები აკლია. ტონი: *„სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ფლანგებიდან ისე აქტიურები არ ვართ, როგორც უნდა ვიყოთ. იტალიის ტოპ-კლუბებში ფლანგიდან ჩაწოდება ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია. ამიტომაცაა, სერია A-ს თითქმის ყველა კლუბს რომ ჰყავს ისეთი თავდამსხმელი, რომელიც მეორე სართულზე კარგად თამაშობს.“*

„ბაიერნის“ გოლეადორი შობა ახალ წელს მშობლიურ მოდენაში, ოჯახთან ერთად ატარებს...

**გოტფრიდ ლენცი**



რაფა ბენიტესი და პოლ ჯუელი ოთხშაბათის დაძაბული პაექრობისას

დაპირისპირება

# ბენიტესი ჯუელის წინააღმდეგ

## მწვრთნელების კონფლიქტს უმაღლეს ინსტანციაში გაასაჩივრებენ...

**რაფა ბენიტესსა** და **პოლ ჯუელს** სასჯელები ემუქრებათ. "ლივერპულისა" და "დერბის" მთავარმა მწვრთნელებმა ოთხშაბათს, მათი გუნდების კალენდარული მატჩისას (1:2) იჩხუბეს. დაპირისპირება მეორე ნახევარში, ერთ-ერთ ეპიზოდს მოჰყვა. დერბელმა **ჯეი მაკევილიმ** ლივერპულელი **ანდრეი ვორონინი** მოცელა. უხეშობით აღშფოთებულმა ბენიტესმა ტექნიკური ზონა დატოვა და ლამის მინდორზე შევარდა. აღშფოთდა მისი კოლეგაც. პოლ ჯუელის გაცხარების მიზეზი სხვა იყო: მისი აზრით, ვორონინს ტრავმა არ მიუღია, მაგრამ ყველაფერი ისე გააფორმა, რომ მაკევილის ყვითელი ბარათი არ ასცდენოდა. მწვრთნელების დაპირისპირებაც იმ მომენტში მოხდა. ხელჩართულ ფხუბამდე საქმე არ მისულა. საქმეში მეოთხე მსაჯი ჩაერია. მას სხვებიც მიეხმარნენ და მდგომარეობა განიმუხტა. მაგრამ ინციდენტი იმდენად უსიამოვნო სანახავი იყო, რომ პრემიერლიგამ დეტალების გარკვევა გადაწყვიტა. ქცევის ნორმების დარღვევის გამო დამრიგებლებს ფინანსური სანქციები ემუქრებათ. მთავარი მსაჯი **ალან ვაილი** ინციდენტზე მოხსენებით ბარათში გაამახვილებს ყურადღებას.

ნამატჩევს მწვრთნელებმა მომხდარ ფაქტს გვერდი ვერ აუარეს. ბენიტესმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მეორე ტაიმში და განსაკუთრებით, მატჩის მიწურულს "დერბის" თამაში აგრესიული და უკონტროლო გახდა. ჩემი შეფასებით, იმ ეპიზოდში მეტოქის ფეხბურთელი უპასუხისმგებლოდ მოიქცა. მან ვორონინს კინაღამ მძიმე ტრავმა მიაყენა. ჩემ კოლეგას კი მოეჩვენა, რომ ანდრეის საერთოდ არ შეხებიან. მადლობა ღმერთს, მას (ჯუელს) მე არ მოვუცელივარ, როცა აღშფოთებული მომვარდა."* ბენიტესმა ამ ფაქტის დრამატიზება ზედმეტად მიიჩნია. მისთვის "დერბისთან" მატჩისას უფრო შემაშფოთებელი იყო ფინელი მცველის, **სემი ჰიიპიას** ტრავმა. ის 53-ე წუთზე შეცვალეს.

აქვე პოლ ჯუელის კომენტარსაც შემოგთავაზებთ. "დერბის" თავკაცს არ დაუმალავს, რომ მეორე ნახევარში შეგირდებს ხისტად თამაში დაავალა. მისი ამოცანა იყო, ლივერპულელებს სამოქმედო სივრცეები შეზღუდვოდათ: *"როცა ამ დონის მეტოქეს ეთამაშები, თავი არ უნდა დაზოგო, ფეხებში უნდა ჩაუხტე და ბურთი აართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მინასთან გაგასწორებს. მაკევილის შეიძლება ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ ეს ფეხბურთია. "ლივერპულის" მწვრთნელის რეაქცია გადამეტებული იყო."* რა იყო გადამეტებული და რა - ნორმის ფარგლებში, ამას პრემიერლიგის გამოძიება დაადგენს.

სასიონარკვეთილი მეკარე

# ლემანის შვილს ნაცისტი უწოდეს

## დააჩქარებს ეს ფაქტი იენსის ტრანსფერს?

ვინც გერმანიის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ მეკარე **იენს ლემანს** იცნობს, გეტყვით, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახია – მეუღლე **კონი** და სამი შვილი. გამოცემა „თაგესშპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში 38 წლის გოლკიპერმა განაცხადა, რომ ცოტა ხნის წინათ მის ვაჟ **ლასეს**, რომელიც 11 წლისაა, სკოლაში, რაგბის თამაშის დროს ერთ-ერთმა თანასკოლელმა სისხლიანი, „გერმანელი ნაცისტი უწოდა“. *„ბავშვი სახლში აწერვიულებული მოვიდა,“* – განრისხებულია ლემანი.

თვითონ იენსი სერიოზულად ფიქრობს გერმანიაში გადასვლაზე. როგორც იცით, მისით „ვოლფსბურგთან“ ერთად დორტმუნდის „ბორუსიაცაა“ დაინტერესებული. ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლემანი უახლოეს მომავალში გადაწყვეტს, რომელ კლუბს მიაშუროს – „ვოლფსბურგს“ თუ „დორტმუნდს“.



იენს ლემანის მეუღლე კონი და ვაჟიშვილი ლასე

ნიუკასლი. კრიზისი

# ელერდაისი გამოცდების მოლოდინში

## ჯორდი გულშემატკივარი მწვრთნელის დათხოვნას და ალან შირერის მიწვევას ითხოვს...

"ნიუკასლის" თავკაცი **სემ ელერდაისს** ისევ პრობლემები აქვს. მისმა გუნდმა ბოლო ოთხი დღის განმავლობაში ოთხი ქულა გაანიავა, თანაც ძალიან სუსტ მეტოქეებთან. ჯორდებმა ჯერ მანჩესტერ "დერბისთან" ითამაშეს ფრედ (2:2 გასულ უქმეებზე, მარკ ვიდუკამ ანგარიში ბოლო წუთზე გაათანაბრა), შემდეგ კი "ვიგანთან" დამარცხდნენ (0:1). გულშემატკივრები ამბოხის გუნებაზე დადგნენ. "ვიგანთან" გასვლით შეხვედრას 5 500 ნიუკასლელი ფანები დაესწრო. საყვარელი გუნდის თამაშით შელონებულმა ადამიანებმა ედერდაისს გამაყრუებელი სტვენა აუტეხეს. ისინი მწვრთნელის დაუყოვნებელ გათავისუფლებას ითხოვდნენ და **ალან შირერის** სახელს სკანდირებდნენ. დიდი სემის დათხოვნა მიმომხილველებსაც რეალურად ეჩვენებათ. თუ დირექტორები რადიკალურ ნაბიჯს გადადგამენ, მთავარი მწვრთნელის პოსტზე სწორედ შირერის კანდიდატურა განიხილება.

რას ფიქრობს თავად ელერდაისი. "ვიგანთან" ნამატჩევს მწვრთნელი "დეილი მირორს" გაესაუბრა: *"ფანებს ვერაფერში დავადანაშაულებ. მათი პროტესტი აბსოლუტურად გასაგებია. როცა აგებ, თანაც ისეთ თამაშს, სადაც წაგებას არავინ ელოდება, უმალ წნეხის ქვეშ აღმოჩნდები. ასე რომ უცნაური არაფერი ხდება. ფაქტია, რომ ბოლო ორი მატჩში ცუდად ვითამაშეთ. ამის დანახვას ექსპერტობა არ სჭირდება. ქომაგები დიდი შრომის ფასად ნაშოვნ ფულს ბილეთებში ხარჯავენ. საპასუხოდ მათ სურთ იმ გუნდის ნახვა, რომელიც გამარჯვებისათვის ძალღონეს არ იშურებს. ბოლო მატჩებში ჩემს ფეხბურთელებს ყველაზე მეტად მონდომება აკლდათ."* მიმომხილველებმა "ნიუკასლის" ძირითად შემადგენლობას თვალი შეავლეს და აღმოაჩინეს, რომ 11 ფეხბურთელიდან ხუთი (**ბეიე, ფაიე, სმიტი, ჯერემი** და **ვიდუკა**, პლუს მოგვიანებით, შეცვლაზე შესული **ხოსე ენრიკე**) პირადად ელერდაისის მიყვანილია. თუკი ისინი უგულოდ თამაშობენ, პასუხი პირადად მწვრთნელმა უნდა აგოს.

მწვრთნელი აღიარებს, რომ წააგო თამაშები, სადაც სამი ქულის აღებას გეგმავდა. უახლოეს ტურებში ელერდაისის შეგირდებს რთული გამოცდების ჩატარება მოუწევთ. გამოცდა შაბათს, "ჩელსისთან" (სტუმრად) მატჩით დაიწყება. 2 იანვარს იქნება "მანჩესტერ სიტი" (შინ), 10 იანვარს კი პრემიერლიგის ლიდერი "მანჩესტერ იუნაიტედი" (სტუმრად). "ნიუკასლის" თავმჯდომარე **მაიკ ეშლი** მომავალ თამაშებს გაფაციცებით ელოდება. თუ ჯორდებმა კრიზისი ვერ გადალახეს, მას მწვრთნელის შეცვლა მოუწევს. კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი გზაა იანვრის ფანჯრისას შემადგენლობის გაძლიერება, მაგრამ უცნობია, რა თანხას გამოუყოფენ მწვრთნელს. ელერდაისმა გასულ ზაფხულსაც დიდი ფული დახარჯა, მაგრამ "ნიუკასლს" ჯერჯერობით ადეკვატური სარგებელი არ მიუღია.



სემ ელერდაისი

### სევილია ჰინკელს არ თმობს

ამას წინათ გაცნობეთ, რომ „სევილიის“ გერმანელი მცველი **ანდრეას ჰინკელი** დორტმუნდის „ბორუსიის“ ხელმძღვანელებს მოურიგდა, რის შემდეგაც უკვე კლუბებმა დაიწყეს მოლაპარაკებები. გუშინ ესპანურმა გამოცემა „დიარიო ასმა“ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „სევილიას“ ჰინკელის „დორტმუნდში“ გაშვება არ სურს. როგორც გაირკვა, BVB-მ ანდალუსიურ კლუბს 25 წლის მარჯვენა მცველის სანაცვლოდ 3 მილიონი ევრო შესთავაზა. ჰინკელით გლაზგოს „სელტიკიცაა“ დაინტერესებული, რომელიც მზადაა, „სევილიას“ 3 მილიონზე მეტი გადაუხადოს. შესაბამისად, ესპანელებსაც შოტლანდიურ კლუბთან ურჩევნიათ ურთიერთობის დამყარება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჰინკელს „სელტიკში“ გადასვლა არ სურს. *„მიუხედავად იმისა, რომ გლაზგოელები მზად არიან, იმაზე მეტი ხელფასი შემომთავაზონ, ვიდრე „ბორუსიამ“ შემომთავაზა, მე მაინც „დორტმუნდს“ ვანიჭებ უპირატესობას,“* – აცხადებს ჰინკელი, რომელიც „სევილიაში“ 2006 წელს „შტუტგარტიდან“ გადავიდა.

### ევროპა ეკიპის თვალით

პოპულარულმა ფრანგულმა გამოცემამ, "ეკიპმა" ევროპის წლის სიმბოლური ნაკრები დაასახელა. გამოკითხვა, რომელშიც ჟურნალისტები მონაწილეობენ, ტრადიციულია. 2007 წლის სიმბოლურ გუნდში ვერ მოხვდა ვერც ერთი ფეხბურთელი, რომელიც საფრანგეთისა და გერმანიის ჩემპიონატში თამაშობს.

**მეკარე** - ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი);

**მცველები** - დანიელ ალვეში (სევილია), ვილიამ გალასი (არსენალი), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი), ნემანია ვიდიჩი (მანჩესტერ იუნაიტედი);

**ნახევარმცველები** - კაკა (მილანი), ფრანსესკ ფაბრეგასი (არსენალი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), კრიშტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი);

**თავამსხმელები** - დიდიე დროგბა (ჩელსი), რუუდ ვან ნისტელროი (რეალი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესპანეთის ნაკრები

# მე ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებ

## რაულ გონსალეს ბლანკომ ლუის არაგონესს გაუმხილა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებას აპირებს



რაული და არაგონესი: შეხვედრა ხანგრძლივი

გუშინ "დიარიო მარკამ" დაარსებიდან 70 წლის იუბილე აღნიშნა. მადრიდული გაზეთის შეფებმა სადღესასწაულო ღონისძიებაზე უამრავი ადამიანი დაპატიჟეს. მათ შორის იყვნენ ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი და მადრიდის "რეალის" კაპიტანი. მოსალოდნელი აჟიოტაჟის თავიდან აცილების მიზნით მათ შესაძლო შეხვედრაზე წინასწარ ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ, თუმცა იუბილეზე ისეთი რამ მოხდა, "დიარიო მარკა" უკვე ველარ გაჩუმდებოდა. რატომღაც ისე მოხდა, რომ **რაული** და **ლუის არაგონესი** დარბაზის ერთ კუთხეში აღმოჩნდნენ. "დიარიო მარკას" კორესპონდენტები **მანუელ კანო** და **მიგელ სერანო** ძალიან საინტერესო დიალოგის მოწმეები გახდნენ. მართალია, საუბარი ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ მთავარი მისი შინაარსია. როგორც ჩანს, სრულიად შემთხვევით, გონსალეს ბლანკო და "სელექსიონის" დამრიგებელი ერთმანეთს პირისპირ შეეჩეხნენ. თვალის არიდება, ან შემოტრიალება შეუძლებელი იყო. პირველი ნაბიჯი რაულმა გადადგა და ასაკოვან სპეციალისტს კულტურულად მიესალმა. სალამი არაგონესმაც არ დაიშურა. უფრო მეტიც, სენიორ ლუისმა სამეფო კლუბის კაპიტანი მოიკითხა და მისი მდგომარეობით დაინტერესდა. რაულმა ძველ ნაცნობს ასეთი პასუხი გასცა: *"ძალიან კარგად ვარ. კვირას "ბარსელონას" "კამპ ნოუზე" მოვუგეთ და ემოციები დღემდე არ გამნელებია. შესანიშნავად ვგრძნობ თავს. საუკეთესო ფორმაში ვარ და ეჭვი არ მეპარება, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებ."* არაგონესი ასეთმა გამომწვევმა განცხადებამაც არ დააბნია. ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გაიღიმა და ლაკონურად თქვა: *"ვნახოთ, ვნახოთ"*.

მანუელ კანომ და მიგელ სერანომ მასპინძლის სტატუსით ისარგებლეს და ორივე სტუმარს კომენტარი სთხოვეს. სერანოს მეტად გაუმართლა, რადგან არაგონესი შამპანურით გვარიანად შეზარხოშებული იყო და საუბარი არ დაიზარა: *"პირველ რიგში იუბილესა და შობას გილოცავთ. გისურვებთ, მომავალშიც მაღალპროფესიულად გემუშაოთ. თქვენი გაზეთი ესპანურ სპორტულ, განსაკუთრებით საფეხბურთო ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. ახლა რაულთან დაკავშირებულ კითხვას რაც შეეხება, ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. სიმართლე გითხრათ, რაულის პირდაპირობამ და კატეგორიულობამ საკმაოდ გამაკვირვა. მან მითხრა, ევოპის ჩემპიონატზე აუცილებლად ვითამაშებო. მე ამდენად დარწმუნებული არ გახლავართ, თუმცა თამამად შემიძლია გითხრათ, თუ გონსალეს ბლანკო ჩემს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, "სელექსიონში" აუცილებლად მოხვდება. მე ყველას თანაბარ პირობებში ვაყენებდი. მომავალშიც სწორედ ასე მოვიქცევი. რაულმა კონკურენცია უნდა დაძლიოს და დაამტკიცოს, რომ სხვებს ჯობია. მიხარია, რომ ახლა კარგ ფორმაშია. ვნახოთ, როგორ ითამაშებს ზაფხულში."*

კოლეგისგან განსხვავებით მანუელ კანოს რაულის განცხადების მოპოვება საკმაოდ გაუჭირდა. "რეალის" კაპიტანი ჯერ სადღაც უკვალოდ გაუჩინარდა. ჟურნალისტმა ის დიდ ხანს ეძება და დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში თანაგუნდელებს შორის დამალული აღმოაჩინა. კანომ სანადელს მხოლოდ დიდი ხვეწნის შედეგად მიაღწია. აი, რა განაცხადა განსალეს ბლანკომ: *"ლუის არაგონესს შემთხვევით შევხვდი და გადავწყვიტე მისთვის გულწრფელად მეთქვა, რომ მართლაც ფანტასტიკურ ფორმაში ვარ და ევროპის ჩემპიონატზე თამაშის პრეტენზია გამაჩნია. ამის შესახებ "სელექსიონის" მთავარმა მწვრთნელმა პირველი პირისგან შეიტყო. აქამდე არ მსურდა, რომ ჩემს პრობლემებზე საუბრით ნაკრებისთვის პრობლემები შემექმნა, მაგრამ ახლა როცა, საკვალიფიკაციო რაუნდი დაძლეულია და კონტინენტის პირველობის დაწყებამდე თითქმის ნახევარი წელია დარჩენილი, ვფიქრობ, შემიძლია ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ. დიახ, მიმაჩნია, რომ ესპანეთის ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშს ვიმსახურებ. მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა ნაკრებში არ მეძახდნენ უზომოდ ვიტანჯებოდი. ამის თაობაზე ხმამაღლა პირველად ვლაპარაკობ. მიუხედავად ამისა, ჩუმად ვიყავი, რათა "სელექსიონში" დაძაბულობა არ დამეთესა. მჯერა, ჩემი ძალისხმევა დაფასდება და საშუალება მომეცემა, ქვეყანას დავეხმარო."*

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რონალდინიო: ჩელსი, თუ მილანი?

## გადამწყვეტი ბრძოლა ბრაზილიელი სუპერვარსკვლავისათვის

მოგვბეზრდა, დავიღალეთ, მაგრამ რა გაეწყობა, თემა ხელახლა ამოტივტივდა. იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნამდე სულ რამდენიმე დღეღა დარჩა, მაგრამ "მილანისა" და "ჩელსის" მესვეურები ამ რამდენიმე დღის გასვლასაც არ დაელოდნენ და "ბარსელონის" ოფისში ერთი-მეორის მიყოლებით ფაქსი გააგზავნეს. არავის გაკვირვებია, რომ ინგლისურ და იტალიურ კლუბებს ისევ და ისევ **რონალდინიოს** გადაბირების სურვილი ამოძრავებთ. ეს ინფორმაცია თავად კატალონიური კლუბის პრესსამსახურმა გაავრცელა. ისინი არ მალავენ, რომ "მილანი" და "ჩელსი" მაცდუნებელი წინადადებებით ცდილობენ მიზნის მიღწევას. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ უფრო საინტერესო და მსუყე წინადადებას შესთავაზებს "ბარსას". ბუნებრივია, **ჟოან ლაპორტა** იმ მხარეს გადაიხრება, სადაც მეტ ფულს დაინახავს. თუმცა მანამდე პრეზიდენტმა და მისი გუნდის წევრებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ, სურთ თუ არა გაუჩოს გაყიდვა. გასაგები მიზეზების გამო კატალონიელები ამ თემაზე საჯაროდ საუბარს კვლავ გაურბიან. რონალდინიოს გასხვისებაზე მოლაპარაკების დაწყება ნებისმიერ შემთხვევაში დიდ დაძაბულობას გამოიწვევს. ამიტომ, ოფიციალური პირები დუმილს ამჯობინებენ, მაგრამ საბედნიეროდ, ესპანურ მედია საშუალებებს ყველა გუნდში ჰყავთ ინფორმატორები. მათი წყალობით "დიარიო მარკას" კორესპონდენტმა დაადგინა, რომ ჟოან ლაპორტა რონალდინიოს გაყიდვაზე სერიოზულად დაფიქრდა. ამ საკითხთან დაკავშირებით მან თურმე საგანგებო კრებაც კი დანიშნა. საშობაო არდადეგებზე მყოფ თანამშრომლებს სამსახურში გამოცხადება დიდად არ ეპიტნავებოდათ, მაგრამ პრეზიდენტის კატეგორიულ მოთხოვნას მაინც დაემორჩილნენ და სათათბიროდ შეიკრიბნენ. როგორც აღმოჩნდა, გაუჩოს გასხვისებისა და სანაცვლოდ თითქმის 100 მილიონი ევროს მოხვეჭის იდეა დირექტორატის უმრავლესობას ხიბლავს.

დავუშვათ, "ბარსელონამ" გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღო, საინტერესოა, რას იტყვის ამის შემდეგ თავად რონალდინიო. სავარაუდოა, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი საკუთარი თავმოყვარეობის შელახვას არ ისურვებს და სხვაგან გადაბარგებაზე ზრუნვას დაიწყებს. ზემოთხსენებული ინფორმატორის თქმით, "ბარსას" ამ ეტაპზე ყველაზე საინტერესო წინადადებას "მილანი" სთავაზობს. **სილვიო ბერლუსკონის** რონალდინიოს გადაბირება იდეაფიქსად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ მას არაერთხელ მოეცარა ხელი, ტრანსფერის განხორციელების იმედი მაინც წამითაც არ დაუკარგავს. მას შემდეგ, რაც სუპერკლასიკოში "ბარსელონამ" "რეალთან" წააგო და გულშემატკივრების საკმაოდ სოლიდურმა ნაწილმა ეს წარუმატებლობა გაუჩოს დააბრალა, ხმები დაირხა, ბრაზილიელს კარიერის "კამპ ნოუზე" გაგრძელება აღარ სურსო. სწორედ ამ დაძაბულობის იმედი აქვთ ბერლუსკონისა და **ადრიანო გალიანის**. შესაძლოა, კატალონიელებმა ამხელა აჟიოტაჟსა და დაძაბულობას მართლაც ვერ გაუძლონ და შეთავაზებას დათანხმდეს. სხვა რა უნდა გითხრათ, მართლაც მრავალი ვარიანტი განიხილება. რეალური სურათი კი რა თქმა უნდა, იანვარში გამოაშკარავდება. გუშინ ისიც ითქვა, რონალდინიოს ტრანსფერის ბედი **ფრანკ რაიკაარდის** მომავალზეა დამოკიდებული. თუ ჰოლანდიელ სპეციალისტს გაათავისუფლებენ, შესაძლოა, ბრაზილიელის გაყიდვის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნება.

ამასობაში, გაუჩო ბრაზილიიდან არგენტინაში ჩავიდა და საქველმოქმედო მატჩში მიიღო მონაწილეობა. მისი თანაგუნდელები **მაიკონი, რობერტო კარლოსი, ამარალი, ვაგნერ ლავი** და სხვები იყვნენ. თამაშის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე რონალდინიო ხანმოკლე სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა. აი, რა განაცხადა მან: *"სუპერკლასიკოში" განცდილი მარცხი პირადად ჩემთვის უმტკივნეულესი დარტყმა აღმოჩნდა. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, მაგრამ სურს, ის საშინელი საღამო სწრაფად დავივიწყო. არგენტინაში საქველმოქმედო მატჩში სათამაშოდ ამიტომაც ჩამოვედი. მსურს, წარსული დავივიწყო და მოვდუნდე. ამასთან, ქველმოქმედებაც სასარგებლო საქმეა. რაც შეეხება, "ბარსელონიდან" ჩემს შესაძლო წასვლას, ამ თემაზე საუბარი არ მსურს. სპეკულაციებს არასოდეს ვეხმაურებოდი და ახლაც არ გამოვეხმაურები. "ბარსელონისადმი" ჩემი დამოკიდებულების შესახებ არაერთხელ მითქვამს. ყველამ იცის, რომ ეს კლუბი ძალიან მიყვარს."*

"ბარსელონაზე" საუბარს გუშინ გვიან ღამით გავრცელებული ინფორმაციით დავასრულებთ. კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობამ **ანდრეს ინიესტას** შესანიშნავი საახალწლო საჩუქარი მოუმზადა. მისი თამაშით უკლებლივ ყველა მოხიბლული და აღფრთოვანებულია. სუპერკლასიკო "ბარსას" შეფებმა უკიდურესად უარყოფითად შეაფასა. ერთადერთ ნათელ წერტილად მათ სწორედ ინიესტა მიიჩნიეს. მთავარი ის არის, რომ ინიესტა შესაშური სტაბილურობით გამოირჩევა. მადლიერების ნიშნად ანდრესს პირადად ლაპორტამ კონტრაქტის 2014 წლამდე გახანგრძლივება შესთავაზა. ფეხბურთელს ძალიან გაუხარდა და პრეზიდენტს პირობა მისცა, რომ საშობაო პაუზის დასრულებისთანავე მენეჯერებთან ერთად ხელშეკრულების პირობებს გაეცნობა და "ბარსელონასთან" თანამშრომლობას აუცილებლად გაახანგრძლივებს.




რონალდინიო კატალონიიდან წასასვლელად ემზადება

### ტოტენჰემს გარაი 10.5 მილიონად უღირს

"ტოტენჰემი" სანტანდერის "რასინგის" მცველ ეზეკიელ გარაით დაინტერესდა. 21 წლის არგენტინელი ლეგიონერი კიდევ არა ერთ ევროპულ კლუბს სურს. რიგში დგანან "ლივერპული", "მილანი" და "იუვენტუსი", მაგრამ გრანდები, როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტით არიან დაკავებულნი. "ტოტენჰემმა" მათი მოუცლელობით ისარგებლა და ესპანურ კლუბს მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. მამლები მზად არიან, 10.5 მილიონი ევრო გადაიხადონ. გარაის რასინგული კონტრაქტი 2011 წელს იწურება.

### ბოლტონმა სავიოლა მოიკითხა

**ხავიერ სავიოლას** ისევ პრობლემები აქვს. არგენტინელი თავდამსხმელი "ბარსელონიდან" უთამაშებლობის გამო წავიდა. მან მეორე ესპანურ გრანდს, მადრიდის "რეალს" მიაშურა. სამეფო კლუბს ტრანსფეში ერთი ცენტიც კი არ დაუხარჯავს. ესპანელი მიმომხილველები მხოლოდ ამით ხსნიან სავიოლას ტრანსფერს. მადრიდელებს შეტევის გაძლიერება ნამდვილად არ სჭირდებოდათ. მოლოდინისამებრ, ხავიერმა "რეალში" ფეხი ვერ მოიკიდა. ის თითქმის არ თამაშობს. 26 წლის ფეხბურთელმა ისევ სამსახურის შეცვლაზე დაიწყო ფიქრი. იანვრის ფანჯარა სადაცაა გაიხსნება. "დეილი მეილის" ცნობით, "ბაჭია" ინგლისში გადავა. მას "ბოლტონი" ეპატიჟება. ბოლტონელები **ნიკოლა ანელკას** გაყიდვას აპირებენ. ფრანგი თავდამსხმელი ერთ-ერთ ინგლისურ გრანდს უმიზნებს. "რიბოკ სთედიუმზე" მისი ადგილი, შეიძლება, ახალგაზრდა არგენტინელმა დაიკავოს. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

### რიჩარდსის ახალი კონტრაქტი

"მანჩესტერ სიტი" ახალგაზრდა მცველ მიკა **რიჩარდსს** ახალი კონტრაქტს სთავაზობს. შეთანხმების შემთხვევაში, 19 წლის ფეხბურთელს კვირაში 50 ათასი გირვანქა დაენიშნება. ის კლუბის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავს სხვა სარფიანი შეთავაზებებიც აქვს. სპეკულაციების თანახმად, რიჩარდსის შეძენა "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" სურთ. "არისტოკრატებს" და "ეშმაკებს" შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ პატრიკ ვიეირასთან

# იტალიური ფეხბურთი ავადაა

## ვიეირა: ნურავინ იფიქრებს, რომ სახელი და დიდება თავისით მოდის

**პატრიკ ვიეირა მოედანს ახალი წლის შემდეგ დაუბრუნდება. "ინტერის" ფრანგ საყრდენ ნახევარმცველს საშინლად არ უმართლებს. სერიოზული ტრავმის შემდეგ ის მოედანს 18 ოქტომბერს, ცსკა-სთან საჩემპიონთა ლიგო მატჩში დაუბრუნდა, მაგრამ პირველ ტაიმში დაშავდა და კვლავ ლაზარეთს მიაშურა. "ეკიპის" კორესპონდენტი მას პარიზში, სპორტსმენთა ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიალზე შეხვდა...**

**- პატრიკ, ადრე ესწრებოდით სპორტის ვარსკვლავთა დაჯილდოებას?**

- არა, აქ პირველად ვარ. ჩემი ძველი სანაკრებო მეგობრები, ბიქსენ ლიზარაზუ და ლორან ბლანი ვნახე და ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. გულახდილად გეტყვით, ძალიან მომწონს აქაური სიტუაცია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ამგვარ ღონისძიებებზე დასწრებას თავს ვარიდებ ხოლმე. არ მიყვარს, როცა ზეიმს ოფიციალურობის ელფერი დაჰკრავს. მირჩევნია, ყველაფერი ბუნებრივი იყოს.

**- რაკი ამაზე გაამახვილეთ ყურადღება, მაშინ გკითხავთ: როგორ ფიქრობთ, რა სარგებელი აქვს ამგვარ ღონისძიებებს?**

- საერთოდ, როცა რაღაც საზოგადოება იკრიბება, ეს არის საშუალება, რომ საკუთარი ტყავიდან გამოძვრე და ძველი ნაცნობები მოინახულო. ასეთია ჩვენი ცხოვრება, ურთიერთობებისთვის ძალიან ცოტა გვრჩება დრო. ძირითადად ფეხბურთელებს ვხვდები ხოლმე, აქ კი სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები ვნახე და ძალიან ნასიამოვნებიც დავრჩი. განსაკუთრებით მესიამოვნა ძველი თაობის სპორტსმენთა ნახვა და გაცნობა. მგონი, მარტო ამისთვის ღირდა აქ მოსვლა... ისე, მომავალი ვარსკვლავების ნახვაც მაინტერესებდა.

**- თქვენ 16 წლის დენის აპია დააჯილდოვეთ. ვინ არის ეს ყმაწვილი და რა კრიტერიუმების მიხედვით მიენიჭა პრიზი?**

- სიმართლე გითხრათ, მას არ ვიცნობდი, მაგრამ ეს ბიჭი წარმომიდგინა ხალხმა, ვისაც ბრმად ვენდობი. დენისი "მონაკოს" აკადემიაში ვარჯიშობს, საფრანგეთის ჭაბუკთა ნაკრების წევრია. ის თავისი კარიერის საწყის ფაზაშია და ვფიქრობ, ეს ჯილდო მისი მომავლისთვის წამახალისებელი იქნება.

**- საერთოდ, რას ურჩევდით დამწყებ ფეხბურთელებს?**

- ვეტყოდი მათ, რომ პირველი დივიზიონის კლუბის აკადემიაში ვარჯიში მხოლოდ პირველი ეტაპია იმისთვის, რომ გახდე პროფესიონალი ფეხბურთელი. ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მომდევნო ნაბიჯებისთვის კი მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო, სხვანაირად დიდ ფეხბურთს ვერ ითამაშებენ. ნურავინ იფიქრებს, რომ სახელი და დიდება თავისით მოდის. ამას პირადი და ჩემი მეგობრების მაგალითზე ვამბობ.

**- მოდით, ახლა თქვენზე ვისაუბროთ. როგორ მიდის საქმე ტრავმის შემდეგ?**

- უკვე კარგად ვარ და მალე ვარჯიშსაც განვაახლებ. ალბათ, ეს სადღაც იანვრის შუა რიცხვებში მოხდება.

**- გეტყობათ, ფეხბურთი ძალიან მოგენატრათ და მაინც, როდის გიხილავთ მოედანზე?**

- როგორც იცით, ზედიზედ რამდენიმე ტრავმა მივიღე. საშინლად დავიტანჯე, მორალურადაც ძალიან დამთრგუნველია, როცა სეზონი მიდის, შენ კი მთელ დღეს ექიმებში ატარებ. საბედნიეროდ, ვძლიე საკუთარ თავს და ნერვებს არ ავყევი. ახლა ჩემი მთავარი მიზანია, ევრო 2008-ისთვის ოპტიმალურ ფორმას მივაღწიო.

**- პროფესიონალი ფეხბურთელისთვის ტრავმა მუდმივი თანამგზავრია. როგორ უნდა დაძლიოს მოთამაშემ იმ სიცარიელის შეგრძნება, რომელიც ყოველთვის იჩენს თავს, როცა საყვარელი საქმის გარეშე რჩები?**

- ეს ახლაა, რომ ტრავმებმა გამტანჯეს, თორემ ადრე ასე არ ყოფილა. შესაბამისად, ამგვარი სირთულეების გადალახვისთვის საჭირო გამოცდილება სამწუხაროდ მწირი მაქვს. ნამდვილად ვილლები იმ ყოველდღიურობისგან, რაც უკავშირდება აღდგენით პროცესს სპორტულ დარბაზში, აუზში, ველოტრენაჟორზე... მართლა ძალიან ვილლები. ბოლო პერიოდში "ინტერის" ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე მომცა შვებულება და მაშინვე ოჯახურ ატმოსფეროში ამოვჩნდი. სწორედ ამით ვძლიე იმ სიცარიელეს.

**- როგორ შეაფასებთ ევრო 2008-ის წილისყრის შედეგებს? საფრანგეთის ნაკრებს არ გაუმართლა...**

- პროფესიონალი ფეხბურთელი წილისყრის შედეგების გამო არ უნდა წუწუნებდეს. ძლიერი ოპონენტების წინააღმდეგ თამაში ძალიან საინტერესოა. სიმართლე გითხრათ, გამიხარდა, რომ იტალია ჩვენს ჯგუფში მოხვდა. ერთი მხრივ, ეს არის ჩინებული გუნდი, ბოლოს და ბოლოს მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენს შორის უკვე პრინციპული მეტოქეობაა და ესეც გარკვეული ხიბლია. რაც შეეხება რუმინეთის ნაკრებს, როგორც ჩემმა ინტერელმა თანაკლუბელმა კრისტიან კივუმ მითხრა, იქ თაობათა ცვლა მოხვდა. ეს გუნდი, რომელშიც თამაშობენ ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელები, ძლიერაა მონადინებული, რომ თავი გამოიჩინოს და... იქნებ, სენსაციაც შემოგვთავაზოს. ჰოლანდია ტრადიციულად არაპროგნოზირებადია. მან შეიძლება ითამაშოს ან ძალიან კარგად, ან ძალიან ცუდად. ძალიან ბევრი ტალანტი ჰყავთ, მაგრამ საქმე ისაა, რამდენად მოახერხებენ ერთ მუშტად შეკვრას... მოკლედ, ძალიან ძლიერი ჯგუფია და ერთი ფეხის დაცდენაც კი საკმარისი იქნება, რომ პლეიოფის მიღმა დავრჩეთ. არ უნდა დავუშვათ, რომ მდევრის როლში აღმოვჩნდეთ. პირველივე მატჩი უნდა მოვიგოთ, ეს დიდი სტიმული იქნება და მერე ნაკლებად გაგვიჭირდება...

**- იტალია ახსენეთ. კალჩოს არცთუ კარგი დროება უდგას...**

- იქ ბევრი პრობლემაა, შეიძლება გაცილებით ბევრიც კი, ვიდრე წარმოგვიდგენია. არ ვაჭარბებ, კალჩო სერიოზულად დაავადდა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყოველდღე შეიძლება რაღაც ტრაგედია მოხდეს. ამის ეშინიათ რიგით ქომაგებსაც, იმათ, ვინც სტადიონზე ფეხბურთის საყურებლად დადის. პირადად მე, როგორც პროფესიონალ მოთამაშეს, ნამდვილად არ მსიამოვნებს ნახევრადცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაში, განსაკუთრებით იმის ფონზე, რასაც პრემიერლიგაში თამაშის დროს ვხედავდი. შეიძლება ითქვას, იქ მაყურებელთან ერთად თამაშობ, ეს საოცარი გრძნობაა... სამწუხაროდ, იტალიაში სტადიონებზე დასწრება კატასტროფულად დაეცა და სასწრაფოდ რაღაც უნდა იღონოს იმ ხალხმა, ვისაც ეს ევალება.

**- და როგორ გგონიათ, რა უნდა ქნას ამ ხალხმა?**

- წესრიგი უნდა დაიცვან, მეტი სიმკაცრეა საჭირო... ერთ მაგალითს მოვიყვან: შოტლანდიელ გულშემატკივარს, რომელიც "სელტიკისა" და "მილანის" მატჩის დროს მეკარე დიდას დაესხა თავს, სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს, ის სპეციალურ სიაში მოხვდა და სტადიონზე ველარ შევა. იტალიაში კი ხულიგნებს სასჯელის არ ეშინიათ, რადგან ეს სასჯელი, პირდაპირ ვიტყვი, სასაცილოა. ასე მგონია, რომ მთავრობა ამ ხულიგნების წინააღმდეგ აბსოლუტურად უძლურია. ამიტომაცაა, რომ ნორმალური ქომაგი შინ ჯდომას ამჯობინებს. ინგლისში კი სტადიონზე ოჯახებით დადიან. მოკლედ, ეს არის მთავარი პრობლემა და თუნდაც ამას რომ ეშველოს, ბევრი რამ ავტომატურად შეიცვლება. ამაში დარწმუნებული ვარ.

**- ასეთ ვითარებაში არ გაგჩენიათ სურვილი, რომ სერია A დაგეტოვებინათ?**

- არა, "ინტერში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, თანაც გუნდიდან გუნდში სირბილი არ მიზიდავს. "არსენალში" 9 სეზონი გავატარე, მერე "იუვენტუსში" წავედი. რომ არა "კალჩოპოლის" სკანდალი, ახლაც ტურინში ვითამაშებდი. მაგრამ ახლა "ინტერში" ვარ და ვთვლი, რომ ეს გუნდი სრულად შეეფერება ჩემს მოთხოვნებსა და ამბიციებს.

**- უკვე გაიმართა მომავალი მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრაც. რას იტყვით საფრანგეთის ნაკრების შანსებზე? თუ ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი?**

- ერთი შეხედვით ადრე კია, მაგრამ მაინც მიღრღნის ხოლმე ტვინს... ეს არ არის იოლი ჯგუფი, მაგრამ გამოწვევა მიღებულია და გადაწყვეტილი გვაქვს, სამხრეთ აფრიკაში ყოველ მიზეზგარეშე გავემგზავროთ. ეს არ არის უბრალოდ მიზანი ან სურვილი, ეს ჩვენი ვალდებულებაა.





კარვალიო ამაურიმ შეიძლება იუვეში ამოყოს თავი

მოსალოდნელი ტრანსფერები

# პალერმოში აღიარეს: იუვეს ბარძალი და ამაური უნდა

იანვრის სატრანსფერო ფანჯარა ახალი წლის დადგომასთან ერთად გაიხსნება. კლუბები გამალებულ მზადებაში არიან, თუმც ექსპერტები ხმაურიან გადაადგილებებს, ამ ეტაპზე, არ ელოდებიან. მაგრამ ცალკეული სატრანსფერო ამბები უდავოდ იმსახურებს ყურადღებას. ასე მაგალითად, "პალერმოს" ბოსმა, ოდიოზურმა **მაურიციო ძამპარინიმ** დაადასტურა, რომ "იუვენტუსი" **ანდრეა ბარძალისა** და **კარვალიო ამაურის** ყიდვას ცდილობს.

*"ამის თაობაზე მოლაპარაკებები ბოლო თვეების განმავლობაში მიმდინარეობს. შემიძლია ვთქვა, რომ ტურინელები ბარძალისა და ამაურის ტრანსფერებთან ახლოს არიან. სხვათა შორის, "იუვენტუსი" ერთადერთი კლუბია, ვინც ამ ფეხბურთელების თაობაზე გველაპარაკება. სხვა შეთავაზებები არ ყოფილა. ამასთან, "იუვე" ადექვატურ გაცვლასაც გვთავაზობს და ამაზეც ვიფიქრებთ. თუმც უნდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ ჯერ გადაწყვეტილება არ მიგვიღია".*

"სკუადრა აძურის" წევრი ბარძალი ცენტრალური მცველია. მის სახელს "იუვეს" დიდი ხანია უკავშირებენ. რომ არა "კალჩოპოლის" სკანდალი, 2006 წლის ზაფხულში ბარძალი "ბებერი ქალბატონის" საკუთრება გახდებოდა. მოხდა ისე, რომ აპრილში გაფორმებული წინასწარი კონტრაქტი ხსენებული სკანდალის აგორებისთანავე გაუქმდა. როგორც ჩანს, ბარძალი "იუვენტუსის" დღევანდელ ბოსებსაც მოსწონთ. **კლაუდიო რანიერის** დაცვაში ჯერაც პრობლემები აქვს. ახალგაზრდა **დომენიკო კრიშიტო** "ჯენოას" დაუბრუნდება, პორტუგალიელ **ჟორჟე ანდრადეს** ტრავმა არ მოურჩენია, **ნიკოლა ლეგროტალიე** კი არასტაბილურია. მოკლედ, ბარძალი ტურინელებისთვის კარგი ვარიანტი უნდა იყოს.

რაც შეეხება ბრაზილიელ ფორვარდ ამაურის, მასაც კარგა ხანია აბარგებას უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ არა "იუვენტუსში", არამედ "მილანში". თუმცა ძამპარინი კატეგორიულად აცხადებს, რომ ამ კლუბთან საქმეს არ დაიჭერს, აქაოდა, თავის დროზე **ლუკა ტონი** "როსონერის" რომ შევთავაზეთ, თავი დაიფასესო. "იუვე" კი ამას არ აპირებს. "ქალბატონი" ამაურისა და ბარძალის ახლავე აიყვანს, მაგრამ ძამპარინიმ, ზაფხულშიო. ვნახოთ, ვისი აჯობებს...

კალიარი

# ქაოსი გრძელდება: სონეტი მაინც წავიდა, ახლა ბალარდინი...

"კალიარიში" მორიგი სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა. გეხსომებათ, ათი დღის წინ წასული **ნედო სონეტი** კვლავ უკან მოაბრუნეს, რადგან **მარკო ჯამპაოლომ**, ვინც სარდინიელებთან ერთად დაიწყო ეს სეზონი, მუშაობაზე ბოლო წამს უარი თქვა. ესეც არ იყოს, მისი მესამედ მოსვლა ქომაგებმაც გააპროტესტეს. "კალიარის" პრეზიდენტი **მასიმო ჩელინო** იძულებული გახდა, დილით გათავისუფლებული სონეტისთვის სალამოთი გუნდის გადარჩენა ეთხოვა. სონეტი მესამედ (!) მოვიდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კვლავ დროებით: "ფიორენტინასთან" კატასტროფული მარცხის (1:5) შემდეგ, 64 წლის სპეციალისტი იძულებული გახდა, თავად მიეღო გადადგომის გადაწყვეტილება.

ჩელინომ სხვა გამოსავლის ძებნა დაიწყო. ბოლო ორი დღის განმავლობაში მან რამდენიმე კანდიდატურა მოსინჯა: **ალბერტო კავაზინი, ზდენეკ ზემანი, კარლო მაცონე, ალბერტო ძაკერონიც** კი... მაგრამ ჩასაძირად განწირული გემის კაპიტნობა არავინ ისურვა. ბოლოს, ჩელინოს არჩევანი **დავიდე ბალარდინიზე** შეჩერდა.

*"მე პატივს ვცემ ბალარდინის სამწვრთნელო მონაცემებს. სონეტის წასვლა ჩემთვის დიდად სამწუხარო ამბავი იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ კლუბისთვის ეს საუკეთესო გამოსავალია. ნედო შესანიშნავი სპეციალისტია და ჩვენ დიდი ხნის ნაცნობობაც გვაკავშირებს, მაგრამ ახლა ის მომენტია, როცა წინა პლანზე "კალიარის" ინტერესები უნდა დავაყენოთ"* - აცხადებს სინიორ ჩელინო.



დავიდე ბალარდინი, ბედკრული კალიარის რიგით მესამე მწვრთნელი ამ სეზონში

რაც შეეხება ბალარდინის. ის 44 წლისაა. ჩელინოსი არ ვიცით, მაგრამ მწვრთნელის მწირი დოსიე არ გვაძლევს საშუალებას, მასზე რაიმე განსაკუთრებული ვთქვათ. მის სახელს უკავშირებენ სერია C-ს ბინადარ "სამბენედეტეზესა" და "პარმის" ახალგაზრდული გუნდის წარმატებებს (!). სხვათა შორის, ორი წლის წინ, მცირე დრო მას "კალიარიშიც" აქვს გატარებული: 2005 წელს, ბედის ირონიით, ის სწორედ სონეტიმ შეცვალა. შეგახსენებთ, რომ სარდინიელები 10 ქულით ერთპიროვნული აუტსაიდერები არიან. გუნდს 11 ტურია, არ მოუგია. ბალარდინის კი დებიუტი 13 იანვარს, "უდინეზესთან" საშინაო მატჩში ექნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რონალდო კუმანს ვალენსიაში უმძიმესი პერიოდის გავლა მოუხდება

ვალენსია. ტრანსფერები

# ალბელდა და კანისარესი კონტრაქტების განწყვეტას ითხოვენ

სამოზაო არდადეგებამდე არცთუ დიდი ხნით ადრე "ვალენსიის" ხელმძღვანელობამ რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო და გუნდიდან სამი ფეხბურთელის გაგდების შესახებ განაცხადა. **რონალდ კუმანმა** კრიზისის გამეფებაში **სანტიაგო კანისარესი, დავიდ ალბელდა** და **მიგელ ანხელ ანგულო** დაადანაშაულა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მათ ახალი გუნდების მოძიება ურჩია. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირობა მისცა, რომ თამაშს ვერ ეღირსებიან.

ალბელდამ და კანისარესმა იმთავითვე თქვეს, "ვალენსია" ჩვენთვის მეორე სახლია, მაგრამ ხვეწნას არავის დავუწყებთ და ჩვენს გზას მოვნახავთო. გუშინ მათ ხელმძღვანელობას ფრიად საინტერესო წინადადებით მიმართეს.

საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით "ღამურების" ვეტერანი გოლკიპერის განცხადებას გაგაცნობთ: *"კუმანმა გარკვევით გვითხრა, თქვენ "ვალენსიის" მაისურებს ველარასოდეს მოირგებთო. როცა მწვრთნელი ამდენად რადიკალურადაა განწყობილი წასვლის გარდა სხვა არჩევანი არ გრჩება. ჩვენ რა თქმა უნდა, ვტოვებთ "მესტალიას". გამომდინარე იქიდან, რომ ეს თავად ხელმძღვანელობის ინიციატივითა და სურვილით ხდება, ლოგიკური იქნება, თუ კონტრაქტს გაგვიწყვეტენ. ვფიქრობ, ამის შემდეგ სხვა კლუბების მონახვა უფრო გაგვიადვილდება. სასურველია, ეს წინადადება უმოკლეს დროში განიხილონ და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღონ."*

ალბათ, გახსოვთ, რომ იმ დღეების სიმძიმით დათრგუნულმა კანისარესმა ცხელ გულზე კარიერის დასრულების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გაახმაურა. თუმცა მას შემდეგ მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ კიდეც. საქმე ის არის, რომ სანტიაგოს გადაბირების სურვილი "ჩელსის" გაუჩნდა. მართალია, **რომან აბრამოვიჩი** ძალიან მდიდარი ადამიანია, მაგრამ 40 წლის მეკარეში ფულის გადახდა მაინც არ მოუნდება. სწორედ ამიტომ ითხოვს სანტი კონტრაქტის განწყვეტას.

ამასობაში, ახალ კლუბში გადაბარგების შესაძლებლობა **დავიდ ალბელდასაც** გაუჩნდა. ესპანური საინფორმაციო სააგენოების ცნობით, კუმანის მიერ ათვალწუნებულ ნახევარმცველს თანამშრომლობა "ატლეტიკომ" შესთავაზა. გუშინვე გაცხადდა, რომ "როხიბლანკოს" პრეზიდენტი **ენრიკე სერესო** დავიდს "ვალენსიისგან" გათავისუფლებას თხოვს, რათა "ვისენტე კალდერონზე" მისი გადაბარგება უფასოდ მოხერხდეს. მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში, სენიორ სერესო მზადაა, ალბელდას ორწლიანი ხელშეკრულება გაუფორმოს. ნახევარმცველი ამგვარი პერსპექტივით აღფრთოვანებული დარჩა: *"ბედნიერი ვიქნები, თუ კარიერას ისეთ გენიალურ გუნდში გავაგრძელებ, როგორიც "ატლეტიკოა". ყველაფერს გავაკეთებ რაც ჩემზეა დამოკიდებული. ვიბრძოლებ, რომ ხუან ბაუტისტა სოლერმა კონტრაქტი გამინწყვიტოს და "ვისენტე კალდერონზე" გადაბარგების საშუალება მომცეს. ეს ხომ მათ გადაწყვიტეს ჩემი გაძევება. ასე რომ, სწორედ ამ ხალხის ინტერესებშია ხელშეკრულების გაუქმება."*



ფრენკ ლემპარდს რამდენიმე კვირა გაუცდება

ჩელსი. საკადრო პრობლემები

# ლემპარდი ისვენებს

## არისტოკრატები ეშლი კოულის გაძევებას აპროტესტებენ...

**ფრენკ ლემპარდს** რამდენიმე კვირა გაუცდება. "ჩელსის" ნახევარმცველი "ასტონ ვილასთან" ოთხშაბათის მატჩში (4:4) დაშავდა. ის 26-ე წუთზევე შეცვალეს. სამედიცინო გამოკვლევამ ცხადყო, რომ ნახევარმცველს მარჯვენა ბარძაყის კუნთი აქვს გაწყვეტილი. ის დაუყოვნებლივ მკურნალობას შეუდგება. ფრენკს ტრავმის გამო მინიმუმ სამი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

**ავრამ გრანტს** სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. მოთამაშეთა ტრავმებს დისკვალიფიკაციებიც ემატება. "ვილასთან" შეხვედრაში "არისტოკრატებს" ორი ფეხბურთელი გაუძევეს - **ეშლი კოული** და **რიკარდო კარვალიო**. კარვალიოს უხეშობა იმდენად აშკარა იყო, რომ მსაჯის გადაწყვეტილების სამართლიანობას ყველა აღიარებს. პორტუგალიელმა მცველმა მეტოქეს საჯაროდაც კი მოუხადა ბოდიში. მაგრამ სულ სხვა ვითარებაა ეშლი კოულთან მიმართებაში. ეს უკანასკნელი თამაშის მიწურულს გააგდეს. არბიტრმა მიიჩნია, რომ მან ცარიელი კარიდან ბურთი ხელით გამოიტანა. კოულმა გაძევება მაშინვე გააპროტესტა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ნამატჩევს გრანტმა განაცხადა, ეპიზოდი რამენჯერმე ვნახე და დავრწმუნდი, რომ ეშლი ცამდე მართალი იყოო. "ჩელსიმ" დაუყოვნებლივ სააპელაციო კომისიას მიმართა.

ზემოთ ტრავმები ვახსენეთ. ლემპარდის გარდა, ვერ თამაშობს ძირითადი შემადგენლობის კიდევ სამი ფეხბურთელი: **ჯონ ტერი, დიდიე დროგბა და ფლორან მალუდა**. დაშავებულია **კლოდ მაკელელე** და სათადარიგო მეკარე კარლოს კუდიჩინი. თუ ამათ დასჯილ ფეხბურთელებსაც მივამატებთ, აღმოჩნდება, რომ "არისტოკრატებს", ფაქტობრივად, სათადარიგო გუნდით მოუწევთ ახალი წლის გადაგორება.

აქვე გეტყვით, რომ ლონდონური გრანდი ფავორიტია ხორვატი ნახევარმცველის, **ლუკა მოდრიჩისათვის** ნამონწყებულ სატრანსფერო ომში. ზაგრების "დინამო" 22 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 18 მილიონ გირვანქას ითხოვს. ჩელსის გარდა, ამ ბიჭის შეძენა "ტოტენჰემსა" და "მანჩესტერ სიტის" სურთ.

მილანი. ტრანსფერები

# ვინ შეცვლის დიდას?

## როსონერის სამი არჩევანი: ბორუცი, ფრეი და დონი...

გასულ უქმეებზე იტალიაში მილანური დერბის დღე იყო. "ინტერმა" თანაქალაქელს მათ საერთო სტადიონზე უმასპინძლა და 2:1 სძლია. "როსონერის" ბრაზილიელმა გოლკიპერმა **ნელსონ დიდამ** ორი მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. მისი შეცდომები გუნდს გაშვებულ გოლებად დაუჯდა. შეიძლება ითქვას, რომ "მილანმა" გოლკიპერის გამო წააგო. ბოლო დროს დიდამ სავალალო შეცდომებს მოუხშირა. ამიტომ სულ უფრო ინტენსიურად მსჯელობენ ახალი მეკარის ტრანსფერზე. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "მილანი" "სელტიკისა" და პოლონეთის ნაკრების გოლკიპერით, არტურ ბორუცით დაინტერესდა. ამ ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგის მატჩებში გამოიჩინა თავი. ის 27 წლისაა. 2005 წლიდან გლაზგოურ კლუბში თამაშობს, 2004 წლიდან პოლონეთის ნაკრების კარში დგას. მან ეროვნულ გუნდში 30 მატჩის ჩატარება მოასწრო.

განიხილება ფლორენციელი მეკარის, **სებასტიან ფრეის** ვარიანტიც. ისიც 27 წლისაა. ფრეი იტალიაში მეცხრე სეზონს ატარებს. 1998 წელს ის "ინტერმა" შეიძინა. სებასტიანმა ყველაზე დიდი ხანი, ოთხი სეზონი "პარმაში" გაატარა (2001-05). 2005 წლიდან დღემდე "ფიორენტინის" ღირსებას იცავს. ფრეიმ საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი სულ ახლახან, კიევში უკრაინელთა წინააღმდეგ ჩაატარა. მიმდინარე სეზონში მის აქტივში 15 მატჩია, რა დროსაც მან 13 გოლი გაუშვა.

მესამე კანდიდატია რომაელი **ალესანდრო დონი**. ბრაზილიის ნაკრების 28 წლის გოლკიპერით "მილანის" პრეზიდენტი, **სილვიო ბერლუსკონი** პირადად დაინტერესდა. დონის "ჯალოროსისთან" კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება. გაისად ზაფხულს მისი გამოსყიდვა საკმაოდ ხელსაყრელ ფასში იქნება შესაძლებელი. დონის იტალიაში 2005 წელს ჩავიდა და მას შემდეგ რომაელთა შემადგენლობაშია. ორი წლის განმავლობაში მან 60 მატჩი ჩაატარა. დონის სანაკრებო აქტივა მოკრძალებულია. მან პენტაკამპეონების მაისურა ჯერჯერობით მხოლოდ რვაჯერ მოირგო.



კარლოს დიდას მილანური კარიერა დასასრულს უახლოვდება



არიენ რობენი

რომა. ტრანსფერები

# სპალეტის დიდი მადა აქვს

## ლუსიუ, მუტუ და რობენი ჯალოროსის სამიზნეში...

"რომა" ადასტურებს, რომ ბაიერნელი **ლუსიუს** შეძენა სურს. ბრაზილიის ნაკრების 29 წლის მცველს გერმანიიდან აბარგება უნდა. ის მიუნხენურ გიგანტში სამი წლის წინ, ლევერკუზენის "ბაიერიდან" გადავიდა. ამ ფეხბურთელით რომაელთა დაინტერესებაც იმ პერიოდიდან იწყება. როცა ლუსიუმ ლევერკუზენიდან აბარგება გადაწყვიტა, მიუნხენის გარდა, რომშიც უხმეს. იმჟამად ფეხბურთელმა "ბაიერნი" აირჩია. არც შემცდარა: ბოლო სამი წლის განმავლობაში ის ორჯერ დაეუფლა გერმანიის ჩემპიონის ტიტულს, ორჯერ გერმანიის თასს და ასევე ორჯერ გერმანიის სუპერთასს. დაცვის ცენტრის გარდა, "ჯალოროსის" დაცვის მარჯვენა ფლანგის გაძლიერებაც სურს. ის ამ პოზიციაზე ლაციოელ **ლორენცო დე სილვესტრის** ეპატიჟება. ეს უკანასკნელი 19 წლისაა. სპეციალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

რომაელთა სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. მთავარმა მწვრთნელმა **ლუჩანო სპალეტიმ ადრიან მუტუს** დაადგა თვალი. ფლორენციელ თავდამსხმელს სხვა სარფიანი შეთავაზებებიც აქვს. მის ტრანსფერს ყველაზე მეტად "ფიორენტინის" მიერ მოთხოვნილი თანხა, 15 მილიონი ევრო ართულებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს "იების" მიერ მოგონილი ხრიკია. ისინი განგებ ითხოვენ მომეტებულ თანხას, რათა დაინტერესებულ კლუბებს განზრახვაზე ხელი აალებინონ. "ფიორენტინიდან" აბარგება არც რუმინელ ფორვარდს სურს. მრავალწლიანი კრიზისის შემდეგ ის საუცხოოდ ათამაშდა. მიმომხილველების აზრით, ადრიანის კარიერის საუკეთესო სეზონს სწორედ "ფიორენტინაში" ატარებს.

და კიდევ ერთი სატრანსფერო ამბავი რომაული კლუბიდან. სპალეტი სიამოვნებით გაუფორმებდა კონტრაქტს მადრიდის "რეალის" გარემარბ **არიენ რობენს**. ჰოლანდიელი ფეხბურთელი სამეფო კლუბში გასულ ზაფხულს გადავიდა. მისმა ყოფილმა კლუბმა "ჩელსიმ" კომპენსაციის სახით 22 მილიონი გირვანქა მიიღო. საეჭვოა, "ჯალოროსიმ" ამხელა თანხა გადაიხადოს. სამაგიეროდ, მას ჰყავს ერთი მოთამაშე, რომელიც "რეალს" სჭირდება. **ამანტინო მანსინის** ვგულისხმობთ. მიმომხილველთა ვარაუდით, ფეხბურთელებს ერთმანეთში გაცვლიან. რომაელები დამატებით რამდენიმე მილიონითაც გამდიდრდებიან. კლუბები სპეკულაციებს მოსალოდნელი ტრანსფერების შესახებ არ გამოხმაურებიან.

### ირანი ქორჟეს ჩააბარეს

ირანის ნაკრების მთავარ მწვრთნელად პორტუგალიელი სპეციალისტი **არტურ ჟორჟე** დაინიშნა. ამ ინფორმაციას ირანული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ. ჟორჟეს ასისტენტობას გაუწევს ადგილობრივი მწვრთნელი, **მანსურ ებრაჰიმ-ზადე**. პირველი მატჩისათვის გაფართოებულ შემადგენლობას სწორედ ებრაჰიმ-ზადე დაასახელებს. ჟორჟეს სხვადასხვა დროს პოტგუგალიის, კამერუნისა და შვეიცარიის ნაკრებები გაუწვრთნია. საკლუბო დონეზე ის "პარი სენ ჟერმენსა" და მოსკოვის ცსკაში მუშაობა. ირანული კონტრაქტის ფინანსური დეტალები უცნობია.

### ბოკამ ისკია დაამტკიცა

"ბოკა ხუნიორსმა" მთავარ მწვრთნელად **კარლოს ისკია** დანიშნა. ინფორმაცია ისკიას მოსალოდნელი დაწინაურების თაობაზე რამდენიმე დღის წინ გავრცელდა. გუშინ ცნობა ოფიციაურად დაადასტურეს. ისკია "ბოკაში" დაბრუნების სანაცვლოდ "როსარიო სენტრალს" გამოეთხოვა. ის ბაირესთულ გრანდში 1998-2001 წლებში მოღვაწეობდა. ისკია **კარლოს ბიანკის** ასისტენტი იყო. ამჯერად სენიორ კარლოსი **მიგელ ანხელ რუსოს** ადგილს დაიკავებს. ამ უკანასკნელმა თანამდებობა პრეზიდენტ პედრო პომპილიუსთან უთანხმოების გამო დატოვა.

### ირურეტა კოულმენის ნაცვლად?

**კრის კოულმენს** "რეალ სოსიედადიდან" დათხოვნა ემუქრება. მისმა გუნდმა სეგუნდა დივიზიონში 18 ტურის შემდეგ 28 ქულას მოუყარა თავი. ის მეექვსე ადგილზე იმყოფება და ლიდერ "ნუმანსიას" ცხრა ქულის ჩამორჩება. უკეთესი შედეგი შეიძლებოდა, მაგრამ არც ეს მდგომარეობაა სავალალო. კოულმენის პოზიციებს ის გარემოება ასუსტებს, რომ 4 იანვარს სანსებასტიანელებმა კლუბის ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიონ. ფავორიტია **ინიაკი ბადიოლა**. ის კი პირობას დებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში მთავარ მწვრთნელად დოპორტივოს თავკაც **ხავიერ ირურეტას** დანიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასე გამოიყურება ჰუუბ სტევენსი... როცა კარგ ხასიათზეა!

ინტერვიუ ჰუუბ სტევენსთან

# გულახდილი, მკაცრი და პირდაპირი

## მწვრთნელი, რომელიც ყველგან უყვართ...

**54 წლის ჰოლანდიელ მწვრთნელ ჰუუბ სტევენსს ბუნდესლიგაში მუშაობის უდიდესი გამოცდილება აქვს და რაც მთავარია, სადაც იმუშავა, ყველგან წარმატებას მიაღწია. „შალკეს", „ჰერტასა" და „კიოლნის" შემდეგ მან თავისი ხელი „ჰამბურგსაც" ძალიან მალე დაატყო და ფაქტობრივად ბეჭებზე გაკრული გუნდი ფეხზე წამოაყენა. ის, რომ HSV შარშანდელისგან განსხვავებით ძალიან კარგ სეზონს ატარებს და პირველი წრის შემდეგ გერმანიის ჩემპიონობაზე აქვს პრეტენზია, არა მხოლოდ ამ გუნდის ლიდერ რაფაელ ვან დერ ვაარტის (რომელიც, სხვათა შორის, ასევე ჰოლანდიელია), არამედ ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ პირველ რიგში სწორედ სტევენსის დამსახურებაა. თუმცა უკვე გადაწყვეტილია, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ჰუუბი „ჰამბურგს" დატოვებს და მშობლიური „ეინდჰოვენის" დამრიგებელი გახდება. ეს გადაწყვეტილება მან იმის გამო მიიღო, რომ მისი ავადმყოფი მეუღლე სწორედ ეინდჰოვენში მკურნალობს და ამ ქალაქს ვერ სცილდება. დიდი შანსია, რომ ჰუუბის ცოლმა დიდხანს ველარ იცოცხლოს და მასაც უნდა, რომ ეს პერიოდი საყვარელ მეუღლესთან გაატაროს. გთავაზობთ ინტერვიუს სტევენსთან, რომელიც „კიკერმა" გამოაქვეყნა.**

**- 2007 წელი სრულდება. ჰერ სტევენს, მოდით, ეს წელიწადი შევაჯამოთ – წელიწადი, რომელიც თქვენთვის ნამდვილად არ იყო ერთფეროვანი...**

- დიახ, ერთფეროვანი ნამდვილად არ იყო, რადგან 2007 წელს ჩემს ცხოვრებაში მართლაც ძალიან ბევრი რამ მოხდა. წელიწადი იმით დაიწყო, რომ „ჰამბურგის" მწვრთნელი გავხდი. მე ყოველთვის ვამბობ, რომ ამ გუნდის იმდროინდელი წარუმატებლობები ჩემი წინამორბედის, თომას დოლის ბრალი ნამდვილად არ იყო, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდი მაშინ ჩავიბარე, როცა ბოლო ადგილზე იყო. კრიზისი ძალიან მალე დავძლიეთ და საბოლოოდ, ერთი შეხედვით მეორე ბუნდესლიგაში დასაქვეითებლად განწირული გუნდი უეფას თასზე მოვახვედრე. პარალელურად ჩემი მეუღლის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა და როგორც იცით, ის ახლაც ძალიან მძიმედაა. ბოლოს კი, რამდენიმე დღის წინათ ბაბუაც გავხდი.

**- თქვენ მთელი წლის მნიშვნელოვანი მოვლენები ჩამოთვალეთ, მაგრამ არ ახსენეთ ის ფაქტი, რომ ცოტა ხნის წინათ გადაწყდა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ „ჰამბურგს" დატოვებთ და „ეინდჰოვენის" დამრიგებელი გახდებით...**

- მართალია. „ეინდჰოვენმა" თავიდან მუშაობის ახლავე დაწყება შემომთავაზა, მაგრამ პსვ-ს ბოსებს ამაზე უარი ვუთხარი, რადგან „ჰამბურგს" შუა სეზონში ნამდვილად არ მივატოვებდი. მეგონა, რომ აღარ დამიკავშირდებოდნენ, მაგრამ შევცდი – დამიკავშირდნენ და მითხრეს, მაშინ ზაფხულში გადმოდიო. ამაზე კი დავთანხმდი და უნდა ვთქვა, რომ ეს ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო.

**- ფაქტია, რომ გული სხვა რამეს გეუბნებოდათ, ტვინი კი სხვას...**

- ეს გადაწყვეტილება უბრალოდ გრძნობით მივიღე. იმედია, გესმით, რომ სხვაგვარად არ შემეძლო. ეინდჰოვენში გადასვლით სახლიდან 5 საათის სავალზე კი არა, 10 წუთის სავალზელა ვიქნები. შესაბამისად, მუდმივად ჩემს მეუღლესთან ერთად ვიქნები და თანაც ვიმუშავებ გუნდში, რომლისთვისაც 18 წლის განმავლობაში ვმოღვაწეობდი. მიუხედავად ამისა, „ეინდჰოვენში" ახლავე ნამდვილად არ და ვერ წავიდოდი.

**- რატომ?**

- პირველ რიგში იმიტომ, რომ „ჰამბურგის" წინაშე ვალდებული ვარ. ამ გუნდში როცა მოვედი, ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო და აბსოლუტურად ყველამ უდიდესი მხარდაჭერა გამომიცხადა. HSV-ს შუა გზაზე ვერ მივატოვებდი. ესეც არ იყოს, კიდევ ერთი მიზეზი არსებობს...

**- გაგვიმხელთ?**

- სიამოვნებით: რაფაელ ვან დერ ვაარტი. „ეინდჰოვენში" ახლავე რომ წავსულიყავი, მის წინაშე არ ვიქნებოდი მართალი. ზაფხულში მას „ვალენსიისგან" ძალიან კარგი წინადადება ჰქონდა და როცა გუნდმა დარჩენა მოსთხოვა, მე ვიყავი პირველი ადამიანი, რომელიც ვან დერ ვაარტს დაელაპარაკა და დარჩენა სთხოვა. მე მაშინ რაფაელს ავუხსენი, რომ საერთოდ, უმჯობესია, ადამიანმა დადებული ხელშეკრულება შეასრულოს და მერე წავიდეს. ახლა ნახეთ, მე რომ ახლავე წავსულიყავი, რას იტყოდა ვან დერ ვაარტი? ხომ იფიქრებდა, მე ლექციებს მიკითხავდა, თვითონ კი საპირისპიროდ მოიქცაო...

**- ფეხბურთელები უდიდეს პატივს გცემენ. მათ ყველაზე მეტად სწორედ თქვენი პირდაპირობა მოსწონთ. ამას წინათ ბასტიან რაინჰარდტმა თქვა, ჰუუბის წასვლის შემდეგ ჩვენს გასახდელში მისი პოსტერები რომ დაკიდონ, ძალიან გამიხარდებაო. თქვენ თუ მოგწონთ, როცა ფეხბურთელი ასეთ რამეს ამბობს?**

- რა თქმა უნდა, ეს ხომ პატივისცემის გამოხატვაა? მე ყოველთვის მინდა, რომ ფეხბურთელებს ჩემზე კარგი წარმოდგენა ჰქონდეთ და მიხარია, რომ ასეა. საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს?

**- ყველასათვის კარგადაა ცნობილი ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ძალიან ბრაზიანი და ასე ვთქვათ, ახირებული კაცი ხართ...**

- ასე მხოლოდ მაშინ ხდება, როცა თამაშს ვაგებთ. იცით, მე არ ვარ მსახიობი და არ შემიძლია თამაში. უფრო სწორად, არ მინდა. ზოგჯერ უბრალოდ სხვაგვარად არ შემიძლია და მორჩა. ვიცი, რომ ხშირად ეს ლამაზი არაა, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია, ასეთი ვარ.

**- როგორია სინამდვილეში ჰუუბ სტევენსი?**

- ისეთი, როგორიც ვარ! არასდროს ვცრუობ ურთიერთობაში, ყოველთვის გულახდილი ვარ და ეს ჩემი დიდი პლუსია. თუმცა ისიც ვიცი, რომ ჩემნაირები სხვებს ხშირად დისკომფორტს უქმნიან.

**- როგორც ვიცით, ბევრი ინტერვიუების მიცემა არ გიყვართ...**

- არა, ეს არ არის სიმართლე. ვერ ვიტყვი, რომ დღეში 10 ინტერვიუს სიამოვნებით მივცემ, მაგრამ არც იმას დავიჩემებ, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები. მე ის ვიცი, რომ ინტერვიუც ფეხბურთის ნაწილია. სამაგიეროდ, არ მიყვარს, როცა ჟურნალისტი ცუდადაა მომზადებული და როცა ეს ასეა, მაშინ მე ძალიან ვბრაზდები. ვფიქრობ, ეს ადამიანური მომენტია და მეც ადამიანი ვარ. თუმცა ყოველთვის კორექტული ვარ და ზღვარს არასდროს გადავდივარ. ვფიქრობ, ნებისმიერ შემთხვევაში ყველას პატივი უნდა ვცე, თუკი მინდა, რომ მეც მცენ პატივი.

**- თქვენი მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი დეტალი დისციპლინაა. ამბობენ, ეს იმითაა გამოწვეული, რომ სტევენსს საკმაოდ მძიმე ბავშვობა და ახალგაზრდობა ჰქონდა, ძალიან ადრეულ ასაკში მოუხდა ოჯახზე პასუხისმგებლობის აღებაო...**

- რთული სათქმელია, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ დისციპლინისადმი ჩემი ფანატიკოსობა ამითაც იყოს გამოწვეული. როცა მამაჩემი გარდაიცვალა, 17 წლის ვიყავი. დავრჩით მე, დედაჩემი და ჩემი უმცროსი ძმები – ასეთი რამ ნებისმიერ ადამიანს აძლიერებს და წესრიგისა და დისციპლინის მოყვარულს ხდის. ასეთ დროს ნებისმიერი ადამიანი სწავლობს ბრძოლას, ბრძოლას გამარჯვებისთვის. ასეთი რამის შემდეგ შენთვის ფაქტობრივად აღარ არსებობს ცხოვრებისეული სიძნელე.

**- როგორია ჰუუბ სტევენსის თავისუფალი დღე, როცა მას ფეხბურთელების დისციპლინაზე არ სჭირდება თვალ-ყურის დევნება?**

- ჩემთვის თავისუფალი დღე ნამდვილად არ ნიშნავს დღეს ფეხბურთის გარეშე. საუზმე, სადილი და ვახშამი ოჯახის წევრებთან ერთად, წიგნები და ისევ და ისევ ფეხბურთი, , ოღონდ ტელევიზორში.

**- ფეხბურთს თქვენი მეუღლეც სიამოვნებით უყურებთ?**

ვერ ვიტყვი, რომ ფეხბურთზე ამოსდის მზე და მთვარე, მაგრამ უყურებს. ცხადია, არა ისე ინტენსიურად, როგორც მე.

**- გულზე ხელი დაიდეთ და ისე გვითხარით, გიხარიათ ეინდჰოვენში დაბრუნება?**

- გულახდილად გეტყვით, ახლა „ეინდჰოვენზე" და საერთოდ მომავალზე ნამდვილად არ ვფიქრობ. მიხარია, რომ ახალი წელი მოდის და სადღესასწაულო დღეებში ოჯახთან ერთად ვიქნები. მერე ბუნდესლიგის მეორე წრეც დაიწყება. ზაფხულამდე ჯერ კიდევ ძალიან დიდი დროა. მანამდე „ჰამბურგში" მსურს წარმატების მიღწევა.

**- „შალკეს" ტიტულით გამოეთხოვეთ, „კიოლნს" კი იმით, რომ გუნდი მეორედან პირველ ბუნდესლიგაში გადაიყვანეთ. „ჰამბურგიდანაც" ტიტულით წახვალთ?**

- ყოველ შემთხვევაში, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს (იცინის). დიახ, ჩემი მიზანია, რომ „ჰამბურგიდან" ტიტულით წავიდე.

**- ნიშნავს თუ არა „ჰამბურგიდან" წასვლა იმას, რომ ეს თქვენი ბოლო გაჩერება იყო გერმანიაში?**

- წინასწარ ამაზე საუბარი შეუძლებელია. როცა „ეინდჰოვენთან" კონტრაქტი დამიმთავრდება, უკვე 56 წლის ვიქნები. არ ვიცი, მენდომება თუ არა კიდევ მწვრთნელად მუშაობა.

**- სამწვრთნელო კარიერის ძალიან დიდი ნაწილი თქვენ გერმანიაში გაატარეთ. რატომ, ბუნდესლიგა თქვენთან მენტალურად უფრო ახლოსაა, ვიდრე რომელიმე სხვა ლიგა?**

- არ ვიცი, მე ვფიქრობ, რომ ეს უბრალოდ დამთხვევაა. თანაც, უნდა ვაღიარო, რომ გერმანია ძალიან მიყვარს. იოლად ვეგუები აქაურ კლიმატს და მენტალიტეტს. გერმანული მენტალიტეტი ჩემთან ძალიან ახლოსაა. თანაც, აქ ფეხბურთი ძალიან უყვართ.

**- არის თუ არა მწვრთნელის პოსტი თქვენთვის იდეალური სამსახური?**

- ჩემთვის უსაყვარლესი და საოცნებო სამსახური ფეხბურთელობა იყო, მაგრამ რაკი ისეთ ასაკში ვარ, რომ ფეხბურთს ველარ ვთამაშობ, მოედანთან ყველაზე ახლოს ყოფნის საშუალება მხოლოდ მწვრთნელის რანგში მაქვს. ჩემს შეგირდებს მე ყოველთვის ვეუბნები: გიყვარდეთ თქვენი სამსახური! თორემ ვისაც ჯერ არ უგრძვნია, მის სიდიადეს მხოლოდ მაშინღა იგრძნობს, როცა აქტიურ სპორტულ კარიერას დაასრულებს.

**- რამდენად შეიცვალა ფეხბურთელის აზროვნება, როგორი იყო ის თქვენ დროს და როგორია ახლა?**

- მოთამაშეების მზადყოფნა იგივეა, მაგრამ ცხადია, რომ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. კომერციული მხარე საუკეთესო მაგალითია – დღეს ფეხბურთელებს წარმოუდგენლად დიდი ხელფასები აქვთ. ჩვენ ამის ფუფუნება არ გვქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, ეს კარგია თუ ცუდი.

**- დღეს უფრო ადვილია ფეხბურთელობა?**

- რაღაც ასპექტებში უფრო ადვილია, გარკვეულ ასპექტებში კი უფრო ძნელი. ჩემს დროში ფეხბურთელი ძალიან ნელი ტემპით იზრდებოდა, ახლა კი ყველაფერი ელვის სისწრაფით ხდება. 20-22 წლის ბიჭები ულვე „პორშეებს" დააგელვებენ და ა.შ. ამ დროს კი, ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელი მენტალურად მზად არ არის და მერე კრიზისი და ჩავარდნები ეწყება. მწვრთნელის ფაქტორი ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია. მე ვამბობ: ახალგაზრდა ფეხბურთელის მწვრთნელმა ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ადამიანურ საკითხებს, რათა ბიჭს თავში არაფერი აუვარდეს. საერთოდაც, ისევე, როგორც ცხოვრებაში, ადამიანობა ფეხბურთშიც უმთავრესი ფაქტორია.

გოტფრიდ ლენცი

მწვრთნელი

# მათეუსმა ბოსნია იუარა

## ლოთარი: ეს ჩემთვის არასერიოზული წინადადებაა

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გერმანიაში არ წყდებოდა სპეკულაციები იმის შესახებ, რომ **ლოთარ მათეუსი** ბოსნიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი უნდა გამდარიყო. ამ ინფორმაციის წყარო კი ერთ-ერთი ბოსნიური გაზეთი გახდა, სადაც დაიწერა, რომ ლოთარი დღედღეზე ეტყოდა ბოსნიას თანხობას. გამოცემა წერდა, რომ მათეუსის ხელფასი ყოველთვიურად სულ რაღაც 5 000 ევრო იქნებოდა. მაგრამ ლოთარმა „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჭორებს ბოლო მოუღო.

*„დიახ, მე შევხვდი ბოსნიის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლებს, მაგრამ მათი წინადადება არასერიოზული იყო. მათ სურდათ, რომ მე მრჩევლის სტატუსი მიმეღო, რაზეც უარი მიიღეს,"* – განაცხადა 46 წლის მათეუსმა.

ლოთარის სახელს ბოლო დროს მიუნხენის „ბაიერნსაც" უკავშირებდნენ. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რეკორდმაისტერის მენეჯერმა **ული ჰიონესმა** მათეუსთან მიმართებაში განაცხადა, არაფერს გამოვრიცხავო. თუმცა მას მერე, რაც ამ თემაზე სერიოზული დისკუსია დაიწყო, ჰიონესმა თავის განცხადებაში შესწორება შეიტანა და თქვა, „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტი ლოთარისთვის ჯერ მაინც ნაადრევიაო.

მათეუსმა სამწვრთნელო კარიერა 2001 წლიდან დაიწყო, თუმცა წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. მუშაობდა ვენის „რაპიდში", ბელგრადის „პარტიზანში", „ატლეტიკო პარანაენსესა" და ზალცბურგის „რედ ბულში" (ჯოვანი ტრაპატონის თანაშემწედ), მაგრამ თანამდებობის უმრავლესობა ნაადრევად დატოვა ან დაატოვებინეს. ასევე, იყო უნგრეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელიც.



ლოთარ მათეუსმა ბოსნიაში მუშაობაზე უარი თქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოება

# მატიანე, 2007: რამაზ ნოზაძე

## წლის საუკეთესო სპორტსმენი, ჟურნალისტთა ვერსია

სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად, წლევანდელი სეზონის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული ასე დაკომპლექტდა:

| | |
|---|---|
| 1. რამაზ ნოზაძე (ანტიკური" ჭიდაობა) | -369 ქულა |
| 2. ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო) | -339 |
| 3. დავით ბედინაძე (ანტიკური ჭიდაობა) | -318 |
| 4. მანუჩარ კვირკველია (ანტიკური ჭიდაობა) | -127 |
| 5. ზაზა კედელაშვილი (ძიუდო) | -116 |
| 6. კახა კალაძე (ფეხბურთი) | -109 |
| 7. ნესტორ ხერგიანი (ძიუდო) | -97 |
| 8. ირაკლი მაჩხანელი (რაგბი) | -75 |
| 9. უშანგი კუზანაშვილი (სამბო) | -69 |
| 10. ლაშა გუჯეჯიანი (ძიუდო) | -64 |

ჟურნალისტებმა სეზონის საუკეთესო გუნდებიც დაასახელეს. წლეულს ეს პატივი თანაბრად ერგოთ მორაგბეთა და ძიუდოისტთა ნაკრებებს.

მოგეხსენებათ, ამ გამოკითხვას საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია ატარებს, რომელმაც დაჯილდოების ცერემონიალი კაფე „მსოფლიო სპორტში" გამართა. ბარემ აქვე გეტყვით, რომ საღამოს გენერალური სპონსორი „სახალხო ბანკი" გახლდათ, რომელიც სსჟა-მ „იბერია ბიზნეს ჯგუფთან" და „ოლიმპიურ ვარსკვლავთან" ერთად წლის სპონსორთა სამეულშიც დაასახელა. სპონსორობა და ქართული სპორტის თანადგომა „იბერია ბიზნეს ჯგუფმა" ცერემონიალზეც გამოხატა - **რამაზ ნოზაძეს** ოლიმპიადამდე ყოველთვიურად 1000 ლარი დაუნიშნა, მისი პირადი მწვრთნელი **ოთარ ტატიშვილი** კი საახალწლოდ ასევე 1000 ლარით დააჯილდოვა.

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ საუკეთესონი სპორტულ ჟურნალისტთა შორისაც დაასახელა. ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემია ლელოელ **პაატა გელაშვილს** გადაეცა. სეზონის სხვა ლაურეატები კი სახალხო ბანკმა დააჯილდოვა - **ჯამლეტ ხუხაშვილი** (რადიო „ჯაკო"), **დავით ჭელიძე** („ოლიმპი"), **დავით მინაშვილი** (საზოგადოებრივი მაუწყებელი), **დავით ერაძე** („რუსთავი-2"), **დავით ფრანგიშვილი** („რუსთავი-2"), **დიმიტრი ობოლაძე** („რუსთავი-2"), **ლევან სალუქვაძე** („იმედი"), **მიხეილ აბაიშვილი** („24 საათი"), **გიგა გურასაშვილი** („24 საათი"), **გურანდა გურასაშვილი** („მზე") და **დავით ხვადაგიანი** („მზე").

მსგავსი გამოკითხვები 1964 წლიდან ეწყობა და პირველი გამარჯვებული სახელოვანი ფეხბურთელი, „საბჭოელ გარინჩად" წოდებული **სლავა მეტრეველი** გახდა. გამოკითხვაზე ლაპარაკს ერთი, ჩვენი აზრით, შეუსაბამო მომენტით დავასრულებთ - მიგვაჩნია, რომ წლეულს „ანტიკოსთა" ნაკრები დაიჩაგრა. მორაგბეებმა მსოფლიო თასზე გმირული თამაშით მართლაც დაიმსახურეს პირველობა, მაგრამ თუ საქმე ტიტულის გაყოფაზე მიდგებოდა, ეს პატივი ძიუდოისტებზე მეტად „ანტიკოსებს" ეკუთვნოდათ - მათ ევროპა-მსოფლიოზე 2-2 ოქრო მოიპოვეს, რითაც ძიუდოისტებს აჯობეს. ბუნებრივია, ძიუდოისტთა საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ სიმართლე ერთია და იგი აუცილებლად უნდა ითქვას, თუმცა მედიის თემიდამ ასე გადაწყვიტა.

**გუშინდელ საღამოზე სეზონის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულ რამაზ ნოზაძეს გავესაუბრეთ:**

- ვერ გადმოვცემ, როგორი გახარებული ვარ ამ აღიარებით. სულ ვოცნებობდი, ის ჯილდო მეც მრგებოდა და მიხარია, სურვილი რომ ავისრულე. ეს ყველაფერი ხომ ისტორიას შემორჩება და მეამაყება, იმ დიდი ქართველი სპორტსმენების გვერდით, რომლებსაც სხვადასხვა წლებში მოუპოვებიათ ეს ჯილდო, ამიერიდან მეც დავდგები. ჩემთვის ეს დიდი სტიმულია საგაისო, უმნიშვნელოვანესი სეზონის წინ.

**- რამაზ, სეზონის დასაწყისში გეგმავდით დუბლს?**

- წლეულს იმდენი ტრავმები გადავიტანე, ამაზე ფიქრი მიჭირდა. მაგრამ მადლობა, ღმერთს, ყველაფერი კეთილად დამთავრდა - პრობლემებსაც გავუმკლავდი და ორივე ტიტული მოვიპოვე.

**- ამათგან უფრო ძნელი რომელი გამარჯვება გახლდათ - მსოფლიოზე თუ ევროპაზე?**

- მსოფლიო პირველობა ბევრად რთული ტურნირია, რაც ჩემს გამოსვლასაც დაეტყო და იქ გამარჯვებაც უფრო მეტად გამიჭირდა.

**- ოლიმპიადაზე, თქვენთვის უმნიშვნელოვანეს ტურნირზე და საგაისო სეზონზე რას იტყვით?**

- ოლიმპიადა მართლაც უმნიშვნელოვანესი და სხვაზე მეტია. ყველაფერს გავაკეთებ, ყველანაირად შევეცდები იქ გამარჯვებას და ქომაგთა გახარებას. ეს ჩემთვის უმთავრესი შეჯიბრებაა, რადგან ჩემს კოლექციას მხოლოდ ოლიმპიური ოქრო აკლია. ამ ოცნების ასასრულებლად ყველაფერს გავაკეთებ. მზადების გეგმა შედგენილია, მთელი შემართებით ვემზადები და წარმატების მისაღწევად თავს არ დავზოგავ.

**- დასასრულ, ეგვიპტელ ოლიმპიურ ჩემპიონ ქარამ იბრაჰიმზეც უნდა გკითხოთ. თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია, გამოვა ის პეკინის ოლიმპიადაზე?**

- როგორც ბაქოში, მსოფლიო პირველობაზე მისმა მწვრთნელმა გვითხრა, დაანება ჭიდაობას თავი. თუმცა მე მინდა, რომ გამოვიდეს. ძალიან მინდა მასთან შეხვედრა, რათა წარმატება ფავორიტთან უშუალო შეხვედრაში მოგებით მოვიპოვო.

**ირაკლი თავაძე**



ოთარ ტატიშვილი და რამაზ ნოზაძე


ზაზა კედელაშვილი


მანუჩარ კვირკველია


წლის საუკეთესო გუნდის წოდება მორაგბეებმა და ძიუდოისტებმა გაიყვეს

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ინტერვიუ ნიკო ჭავჭავაძესთან

# აჟენში, ანრი ბრონკანთან



მარჯვნივ ანრი ბრონკანი

ქართველი მწვრთნელები, ნიკო ჭავჭავაძე, დიმიტრი ობოლაძე და ლევან მაისაშვილი საფრანგეთში, სარაგბო კლუბ „აჟენში" იყვნენ სტაჟირებაზე. სამკვირიანი სტუმრობა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. იქაური პერიპეტიების შესახებ, საქართველოს ჩემპიონის, „ყოჩებისა" და ოცწლამდელთა ნაკრების მწვრთნელ ნიკო ჭავჭავაძეს ვესაუბრეთ.

- „აჟენში" გატარებული სამკვირიანი სტაჟირება ჩვენთვის მართლაც ძალიან სასარგებლო იყო. მართალია, ჩვენი ვიზიტი ამ კლუბის კულუარებში მიმდინარე საკმაოდ რთულ პროცესებს დაემთხვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაქსიმალურად მოვახერხეთ ჩვენთვის ბევრი ახალი რამ შეგვესწავლა.

**- „აჟენში" მიმდინარე მოვლენებზე, ფრანგული პრესის ფურცლებზეც აქტიურად იწერებოდა. მაინც, რა პრობლემები აქვს საქართველოს ნაკრების ყოფილ კონსულტანტ ანრი ბრონკანს თავის ახალ გუნდში?**

- ცოტა რთული თემაა სასაუბროდ, მაგრამ ვეცდები ამომწურავად გიპასუხოთ. ბრონკანი სანამ „აჟენში" გადავიდოდა, გასკონური კლუბის „ოშის" მწვრთნელი იყო. „ოშში" მან ყველაფერი ნულიდან დაიწყო. იმდენი მოახერხა, რომ ფედერალური დივიზიონიდან, ეტილარულ პირველ დივიზიონში გადაიყვანა. იქ ბრონკანი ყველაფრის თავი და ბოლო იყო. „აჟენში", როგორც ცნობილია, ის ახლახანს, სეზონის დაწყების წინ გადავიდა და ცხადია, უამრავი პრობლემა დახვდა, რისი გადაჭრაც ასე, ერთი ხელის დაკვრით არ ხდება. ბოლო შეხვედრებში განცდილი წარუმატებლობების გამო, მას სერიზული შეხლა-შემოხლა ჰქონდა როგორც მოთამაშეებთან, ისე გუნდის ხელმძღვანელებთან. როგორც ჩანს, ამის შემდეგ მას კარტ ბლანში მისცეს და ყველა საკითხს თვითონვე წყვეტს. ბრონკანისა და „აჟენის" ურთიერთობაში გარდამტეხი, შესაძლოა, ბოლო შეხვედრაში, გათამაშების ლიდერ „ტულონთან" მიღწეული, ყველასათვის მოულოდნელი გამარჯვებაა - 33:0. ამას, ვერავინ იფიქრებდა.

**- რამდენად ხელისშემშლელი იყო თქვენთვის კლუბში არსებული ვითარება?**

- პირდაპირ გეტყვი, რომ ბრონკანს ჩვენთვის ნამდვილად არ ეცალა. თუმცა, მასთან საუბარი, კონსულტაციები რამდენჯერმე გვქონდა. ფაქტობრივად, არცერთი ვარჯიში და მატჩი არ გაგვიცდენია. ვიდეოანალიზსაც დავესწარით, ოღონდ მხოლოდ მოგებული შეხვედრისა. წაგებული მატჩის განხილვას არ დაგვასწრეს.

**- რა ნახეთ ახალი „აჟენში"?**

- ვარჯიშების სისტემა. ეს ვარჯიშები, ჩვენთვის უცნობი არ ყოფილა, მაგრამ იქ გავარკვიეთ, როდის და რა დონით, რა მიმდევრობით უნდა ჩავატაროთ ისინი. ძალიან საინტერესოა, თვითონ ვარჯიშის ორგანიზაცია, მრავალფეროვნება. ამასთან, ვახეთ რაკიდან მოლში გადასვლის ახალი ხერხი, რომელიც მანამდე არ ვიცოდით. თუმცა, იქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხერხი საკმაოდ სარისკოა. მცირედი უზუსტობა და მსაჯმა წესის დარღვევა შეიძლება დააფიქსიროს. ერთი სიტყვით, ძალიან სასარგებლო სტაჟირება იყო.

**- „აჟენის" შემადგენლობაში პირველხაზელი ანტონ ფეიქრიშვილი გამოჩნდა. მის გარდა ამ კლუბში კიდევ ორი ქართველი, გურამ კავთიძე და დავით ჩიჩუა ირიცხება. გვიამბეთ მათ შესახებ.**

- ანტონ ფეიქრიშვილი ძალიან პერსპექტიული ბიჭია. ოცი წლისა და უკვე მეორე დივიზიონის გუნდის ძირითადის მოთამაშეა. არაა. მისით ძალიან კმაყოფილები არიან. რაც შეეხება გურამ კავთიძესა და დავით ჩიჩუას, ისინი საფრანგეთის ოცწლამდელთა ჩემპიონატში თამაშობენ, ხანდახან „აჟენის" სათადარიგო გუნდშიც უწევთ თამაში. კავთიძეს, ამასწინათ, ელიტარული, პირველი დივზიიონის „მონტობანი" ეპატიჟებოდა, მაგრამ „აჟენის" ხელმძღვანელებმა ისეთი ფასი დაადეს, მონტობანელები მისი გადამხდელი ნამდვილად არ იყვნენ. თუმცა, რაც ყველაზე ცუდია, კავთიძე დასაჯეს და ბოლო ორ მატჩში არ ათამაშეს. არადა ბიჭი ნამდვილად მზადაა, ნებისმიერ დონეზე ითამაშოს.

**- თქვენ და ლევან მაისაშვილი ოცწლამდელთა ნაკრების მწვრთნელები ხართ. როდის იწყებს თქვენი გუნდი ახალი სეზონისთვის მზადებას?**

- 5 იანვარს ნაკრების კანდიდატებს შევკრებთ. ექვსიდან კი ვარჯიშებს დავიწყებთ. ძირითადად იმ მოთამაშეებს დავუძახებთ, რომლებმაც წელს ცხრამეტწლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზეს. ამათ ათი-თხუთმეტი ახალი მორაგბეც დაემატება და საბოლოო შემადგენლობაც ამის შემდეგ დადგინდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ხელბურთი



ზურაბ კაკაბაძე

# 20 იანვარს, ჩელენჯი საზოგადოებრივზე

**საქართველოს ხელბურთის ფედერაცია ერთადერთია ჩვენი ფედერაციებიდან, რომელიც წლის დასასრულის მიუხედავად, არ ისვენებს და ახლავე ემზადება საიანვრო ბატალიებისთვის. როგორც იცით, ეროვნული ნაკრები იანვრის დასაწყისში დასკვნით შეკრებას იწყებს 20 იანვარს გასამართი „ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის. შესაბამისად, ფედერაციის ყურადღება ახლა სწორედ ეროვნული ნაკრებისკენაა მიპყრობილი. ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ გუშინ რამდენიმე ახალი ამბავი გვითხრა.**

- ეროვნული ნაკრები დასკვნით შეკრებას დაიწყებს 6-7 იანვრისთვის, თელავში. 8 იანვრამდე ყველა ლეგიონერი ჩამოვა.

**- რამდენი ლეგიონერის ჩამოყვანას აპირებთ?**

- სერგო დათუკაშვილი, რატი მხვილიძე, რევაზ ჭანტურია და ვლადიმერ რუსია ნაკრების ლიდერები არიან და ეს ოთხეული აუცილებლად ჩამოვა. ამას გარდა მწვრთნელებს კიდევ ჰყავთ შეგულებული რამდენიმე ხელბურთელი - შოთა გრიშიკაშვილი და გიორგი ნატროშვილი თურქეთიდან, ალეკო ლობჟანიძე და გიორგი გვაზავა ესპანეთიდან, მეკარე არჩილი გარიშვილი გერმანიიდან. და თუ ვისზე გაკეთდება არჩევანი, ეს ნაკრების მთავარ მწვრთნელ იმედო ფხაკაძის გადასაწყვეტია.

**- „ჩელენჯ ტროფის" ფინალის პირდაპირ რეპორტაჟზე რა გადაწყდა?**

- კომპანია „ინფრონტ სპორტ ენდ მედია" გვაძლევს ტელესიგნალს საქართველო-ნორვეგიისა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე. ტელეკომპანია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოიჩინა ინტერესი ამ ორი შეხვედრის გადმოცემის შესახებ. სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ. ვიმედოვნებ, მალე ხელშეკრულებასაც გავაფორმებთ და ქართველი გულშემატკივარი საქართველო-ლუქსემბურგის მატჩს პირდაპირ ეთერში უყურებს. სამწუხაროდ, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ევროპის ჩემპიონატის ფინალის პირდაპირ ეთერში ჩვენების საკითხი, რადგან იგი ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირს ემთხვევა, რომელსაც ასევე საზოგადოებრივი არხი გადასცემს. არადა, კონტინენტის პირველობის ფინალის ჩვენება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა საქართველოში ხელბურთის პოპულარიზაციისათვის.

**- თურქეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების საპასუხო ვიზიტი საქართველოში საბოლოოდ გადაწყდა?**

- ახალგაზრდული ნაკრები რომ გაზაფხულზე ჩამოვა თბილისში და ჩვენს ახალგაზრდულს სამ ამხანაგურ მატჩს ეთამაშება ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლის წინ, ამაზე შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ თურქეთის ხელბურთის ფედერაციასთან. რაც შეეხება თურქეთის ეროვნულ ნაკრებს, მას უფრო სექტემბერში ან ოქტომბერში ჩამოვიყვანთ ანალოგიური ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წინ და ამ შემთხვევაშიც სამ საკონტროლო მატჩს გავმართავთ.

**- ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ახლახან გარი თურქია დანიშნეთ. როგორ დააკომპლექტა მან სამწვრთნელო შტაბი?**

- მის თანაშემწედ განიხილება ეროვნული ნაკრების ვეტერანი კაპიტანის - გიორგი ქობელაშვილის კანდიდატურა. თუკი გიორგი ახალგაზრდულ ნაკრებში თავს გამოიჩენს, შესაძლოა, მერე 18-წლამდელთა მთავარი მწვრთნელის თანამდებობაც ჩავაბაროთ.

**- ქობელაშვილი კარიერის დასრულებას აპირებს?**

- არა, კარიერას ჯერ არ ამთავრებს, მაგრამ შარშან თამაშის პარალელურად, „ქარიშხალასაც" წვრთნიდა, რომელშიც ახალგაზრდული და 18-წლამდელთა ნაკრების წევრები თამაშობდნენ. ქობელაშვილი საკმაოდ მონდომებული, ახალგაზრდა მწვრთნელია და გვინდა თავის გამოჩენის შანსი მივცეთ.

**კობა ხატისაშვილი**

## ჭადრაკი

# კომპრომისი არ იქნება!

**თეიმურაზ ლომაიას** ხსოვნის ტურნირზე, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში იმართება, მონაწილეებს ალბათ სათაურში გამოტანილი სიტყვები აქვთ დევიზად.

8-წლამდელებში გუშინდლამდე მხოლოდ სამი საყაიმო შედეგი დაფიქსირდა. მოსალოდნელი იყო, რომ თითო-ოროლა მეოთხეში შეემატებოდა ყაიმთა ნუსხას, მაგრამ არაფერიც მსგავსი: ერთიც არ გამორევია. ასეთ ბრძოლაში მაქსიმალური შედეგი ოთხ მონაწილეს აქვს, რომელთა შორის ერთი გოგონაცაა: ქეთი ცერცვაძე, გიორგი ბეკურიშვილი, რატი პერტაია და ირაკლი ტულუში.

10-წლიანებშიც საყაიმო „მოუსავლიანობა" იყო, მხოლოდ ორი პარტია დასრულდა ქულის გაყოფით. აქ პირველი ადგილი ტრიოს უჭირავს: მამუკა ანთაძე, ირაკლი კელაპტრიშვილი და უჩა მღვდელაძე.

12 წლიანებმსაც საერთოდ არ გახსენებიათ დაზავება - 25 პარტიიდან ყველა შედეგიანად დასრულდა. ალექსანდრე ებრალიძემ თეთრებით ნინო ხომერიკი დაამარცხა, ანა კუჭავამ კი თეთრებით ლაშა კაჭარავას მოუგო. შესაბამისად, 4-4 ქულა კუჭავას და ებრალიძეს აქვთ.

14-წლიანებში ყაიმები უფრო ხშირი იყო, თუმცა მეოთხე ტურმა აქაც საერთო ნიშნით ჩაიარა და მხოლოდ ორი ფრე დაფიქსირდა: ანა კუჭავამ და ნატო იმნაძემ, რეზო ჭკუასელმა და გიორგი ლომიძემ მოსაგები გზები ვერ იპოვეს.ოთხი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით გიორგი ნიკოლიშვილი ლიდერობს, 3,5 ქულა ნათია ჯალაბაძეს აქვს.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად ტარდება.

**ზვიად შათირიშვილი**

## ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი ავსტრალიაში ვერ მიდის

**წლის** უკანასკნელ ახალგაზრდულ რეიტინგ-ლისტში (18 წლამდელთა) 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** მე-12 ადგილზეა 695 ქულით. მისი საუკეთესო შედეგი სექტემბერში მე-11 ადგილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ოქსანას ასაკით კიდევ ერთი სეზონი შეუძლია ახალგაზრდულ ასპარეზზე გამოსვლა, ის მომავალი წლიდან მხოლოდ პროფესიონალებში აპირებს თამაშს. ახალგაზრდებში მას სექტემბრის შემდეგ აღარ უთამაშია, დიდებში ქართველი მსოფლიოს 646-ე ჩოგანია (610-ე ნოემბერში, საუკეთესო მაჩვენებელი). წყვილთა თანრიგში კალაშნიკოვა უკვე მსოფლიოს 425-ე ჩოგანია. ოქსანას თვეზე მეტია, არც დიდებში უთამაშია.

16 წლის **ეკა გორგოძე** 18-წლამდელთა შორის 611-ე ჩოგანია. მას 60 ქულა აქვს, მისი თანატოლი **ანა ჯიქია** 41 ქულით 794-ე ადგილზეა. კიდევ 12 გოგონა ათასეულს მიღმაა.

ბიჭებში 16 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** 237 ქულით 145-ე ჩოგანია. ლაზარე იანვარში 36-ე პოზიციაზე იყო, მაგრამ ივლისის მერე მას ახალგაზრდულ ასპარეზზე აღარ უთამაშია. 15 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** ჯერ უფრო 16-წლამდელთა ასპარეზზე ყოჩაღობს, თუმცა ორი წლით უფროსებშიც უკვე 339-ე პოზიციაზეა. **ნიკოლოზ ქურდაძე** 438-ე ადგილზეა, **გიორგი ხმიადაშვილი** - 619-ე, **რევაზ ოსაძე** - 645-ე. კიდევ 12 ქართველი კი ათასეულს მიღმაა.

**ახალი საჩოგბურთო სეზონი კი დღე-დღეზე იწყება, ავსტრალიის ჰარდის საფარის ტურნირით, რომლის საპრიზო ფონდი 175 ათასი დოლარია. სამწუხაროდ, საქართველოს პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი ალტერნატიულ სიაში პირველ ნომრად დარჩა. მას საკვალიფიკაციო ბადემდე სულ ერთი ნაბიჯი დააკლდა.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 85 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავენ ოლიმპიელი მძლეოსნების, რევაზ ტრაპაიძის, ლუდმილა იევლევას, რევაზ ქვაჩაკიძის, რუსლან რუსიძის აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენოსანს არჩილ კონსტანტინოვს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს XVI ჩემპიონატი. IV ტური. გამოტოვებული შეხვედრები

# კინაღამ: სამმაგი დუბლი ნამდვილად: ჩემპიონატის რეკორდი

27 დეკემბერი,
თბილისი, სპორტის სასახლე

**თსუ-მაკაბი 98:96**

23:24, 38:24, 18:27, 19:21

თსუ: არწივიძე, ფანჩულიძე (17ქ, 3პ, 4ჩ), ჩიტაშვილი (21ქ, 9მ, 9პ, 5ჩ), მათიაშვილი (13ქ, 7მ, 4ჩ), ყველაშვილი (8ქ), კეიდია (11ქ, 6მ, 3პ), ხეცურიანი (28ქ, 4მ, 6პ), ივანეიშვილი

მაკაბი: დ. ბერიშვილი (12ქ, 6პ), სორდია (2ქ), გ. შერმადინი (37ქ, 17მ, 4პ, 2დ), პირველაშვილი (3ქ, 5პ), კორკოტაძე (8ქ), კოლუაშვილი (6ქ), ს. შერმადინი (12ქ, 11მ), ვაშაკიძე (16ქ, 7მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

**ავიამშენი-ვითა 79:65**

14:18, 16:21, 24:9, 25:17

ავიამშენი: მინაშვილი (23ქ, 12მ), შანიძე (5ქ), ხომტარია (12ქ), ნიკოლაძე (28ქ), კვიმსაძე, ტულუში (8ქ, 6პ, 5მ), როდუმტა (2ქ), ბერაია (1ქ), სუხიშვილი

ვითა: ნ. ნოზაძე, ბეჟანიშვილი (11ქ, 5მ), მ. ბერიშვილი (16ქ, 6მ), მარხვაშვილი (11ქ, 4პ, 3ჩ), ბ. ბერიშვილი, მარკოიშვილი (7ქ), ბერძენიშვილი (4ქ), ნივნივაძე (4ქ, 3პ), გვიმრაძე (12ქ, 5მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 10 | 10 | 0 | 20 |
| 2. თსუ | 10 | 6 | 4 | 16 |
| 3. ავიამშენი | 10 | 4 | 6 | 14 |
| 4. ვითა | 10 | 4 | 6 | 14 |
| 5. დინამო | 10 | 3 | 7 | 13 |
| 6. მაკაბი | 10 | 3 | 7 | 13 |

**საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეებმა 2007 წელი ომახიანად გააცილეს. გიორგი შერმადინმა ქულებში ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა, მიხეილ ჩიტაშვილმა თითქმის სამმაგი დუბლი გაიფორმა, ვახტანგ მინაშვილმა „ავიამშენს“ მოაგებინა და თანაგუნდელები მეხუთედან მესამე ადგილზე გადაიყვანა. თსუ-მ კი ყველა მოლოდინს გადააჭარბა და ახალ წელს სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ხვდება.**

ახლა, ამ მოვლენებზე სათითაოდ ვისაუბროთ. თსუ-"მაკაბის" დაპირისპირებაში პირველი მეოთხედი თანაბარ თამაშში გაილია, მეორეში თსუ-მ იყოჩალა(38:24), მესამეში - „მაკაბიმ“ (27:18). ბოლო რაუნდის დასაწყისში სტუდენტთა მწვრთნელმა **ნუგზარ ქეიშვილმა** მოედნის მთელს სიგრძეზე პრესინგს მიმართა და მაკაბელებს ბურთის არათუ ჩაგდება, მეტოქის ნახევარზე გადატანაც უჭირდათ. როგორც ჩანს, თსუ-მ სეზონის დასაწყისიდან დღემდე დაცვის ასეთი სისტემა კარგად დახვეწა და მერამდენე თამაშია, მეტოქეებს ბოლო პერიოდში ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. პრესინგის წყალობით სტუდენტებმა მეოთხე პერიოდის დასაწყისში 9-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს (86:77). სიტუაციის გამოსწორების მიზნით „მაკაბის“ მწვრთნელმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** მოედანზე გამოცდილი გამთამაშებელი **დავით ბერიშვილი** შეუშვა და მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა: „მაკაბიმ“ 10:0 სპურტი მოაწყო, რომლის ბოლო აკორდი **გიორგი შერმადინის** ზუსტი სამქულიანი და ბერიშვილის სამი საჯარიმო იყო - 87:86 მაკაბელთა სასარგებლოდ. დარჩენილ 4 წუთში ორივე მხარე შეტევას შეტევაზე აგვირგვინებდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ვისაც ბოლო შეტევა ერგებოდა, ის გაიმარჯვებდა. საბოლოოდ ასეც მოხდა - 8 წამით ადრე შიო ხეცურიანმა ორი საჯარიმო ზუსტად შეასრულა და თსუ-ს 98:96 მოაგებინა.

...მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მატჩის შედეგზე გიორგი შერმადინის მოედნიდან გასვლამაც (5 ფოლის გამო) იქონია გავლენა. მან შეხვედრის დამთავრებამდე წუთით ადრე 37-ე ქულა გაიფორმა და მალე მსაჯისგან მეხუთე შენიშვნაც მიიღო. გაიხსენეთ, რა დავწერეთ წინა ტურში, როცა **ლაშა გამყრელიძემ** 36 ქულა ჩააგდო? - ეს ხომ საქართველოს მიმდინარე პირველობის რეკორდიაო. ჰოდა, ლაშას რეკორდი გიორგი შერმადინმა ხუთ დღეში დაამხო - გუშინ 37 ქულა დააგროვა. მან თსუ-სთან 18-დან 10 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი და 17-დან 14 საჯარიმო ჩააგდო. ორმაგი დუბლის დასაფიქსირებლად კი 17 მოხსნაც მიამატა.

მატჩის შემდეგ ნაგებით გულდაწყვეტილი იყო ჩემპიონატის ახალი რეკორდსმენი: *„რთული თამაში გვქონდა. რიგ ეპიზოდებში 13 ქულის სხვაობითაც ვაგებდით, მაგრამ ბოლოს ჩამორჩენა აღმოვფხვრით და გამარჯვებასაც მივუახლოვდით. დასანანია, რომ ბოლო წამებზე 5 ფოლის გამო თანაგუნდელებს ვერ დავეხმარე. ასე რომ არ ყოფილიყო, შეიძლება მოგვეგო კიდეც.“*

მატჩის ოქმში თსუ-ს გამთამაშებელი **მიხეილ ჩიტაშვილი** რომ ჩავახედე, თავი გადააქნია - რომ მცოდნოდა ერთ მოხსნასა და ამდენივე პასს როგორმე გავახერხებდიო. მიშას 31 წუთში 21 ქულა, 9 მოხსნა და 9 პასი ჰქონდა, სეზონის პირველ სამმაგ დუბლემდე თითო მოხსნა-პასი დააკლდა.

გუნდური სტატისტიკაც საინტერესო გამოდგა - ნაგებულმა გუნდმა მოგებულს მოხსნებში აშკარად აჯობა (51 მოხსნა, 36-ის წინააღმდეგ). იკითხავთ: მაშ რის ხარჯზე გაიმარჯვა თსუ-მ? გიპასუხებთ: პრესინგის ხარჯზე. ამის წყალობით სტუდენტებმა ბურთი 18-ჯერ ჩაჭრეს („მაკაბიმ“ 4-ჯერ) და მეტოქეს 24 შეცდომა დააშვებინეს (თსუ-ს ოდენ 8 შეცდომა ჰქონდა). ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია.

*„წარმატება ზონურმა პრესინგმა მოგვიტანა. მეტოქე ძლიერი კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული და თანაბრადაა დაბალანსებული. ამიტომ ყველა ღონე ვიხმარეთ, რათა მაკაბელებს ჩვენს ნახევარზე ბურთი სწრაფად არ გადმოეტანათ. სეზონის დასაწყისიდან დღემდე თსუ ერთ მუშტად შეიკრა და წლის მეორე ადგილზე დასრულება შემთხვევითი არ გახლავთ,“* - გვითხრა სტუდენტთა თავკაცმა **ნუგზარ ქეიშვილმა.**

ტურის მეორე და წლის ბოლო მატჩში „ვითა“ „ავიამშენთან“ ნაგების შემდეგ დაწყებული წარუმატებელი სერიის (სამი ნაგება) „ავიასთანვე“ დასრულებას ცდილობდა, მაგრამ ამის უფლება **გიორგი ნიკოლაძემ და ვახტანგ მინაშვილმა** არ მისცეს. მათ გვარებს მეტჩის მიმოხილვის ბოლოს აუცილებლად გავიხსენებთ, მანამდე გეტყვით, რომ „ვითამ“ მატჩი ზუსტად ისევე ჩაატარა, როგორც წინა შეხვედრა თსუ-სთან: პირველი ტაიმი ორივე შემთხვევაში 9 ქულის სხვაობით მოიგო („ავიასთან“ 39:30, თსუ-სთან 40:31). მეორე ნახევრის დასაწყისში ვითელებს ამჯერადაც მცირე ჩავარდნა მოუვიდათ და „ავია“ 10:0 სპურტით 40:39 დაწინაურდა.

მეოთხე პერიოდის წინ **ლევან მოსეშვილის** შეგირდები 54:48-ს იგებდნენ, როცა **ზურაბ ტომარაძის** გუნდს ცენტრი გამოაკლდა - **დავით ბერძენიშვილმა** 31-ე წუთზე მეხუთე ფოლი მიიღო. დათოს შემცვლელი **ლუკა ნოზაძე** ტრავმირებულია ამიტომ ვითელებს ნომინალური ცენტრის გარეშე მოუწიათ თამაშის გაგრძელება. ამან მათი შეტევის ხაზს მრავალფეროვნება დაუკარგა, „ავიამაც“ დაცვაში თამაში გააუმჯობესა და შეხვედრაც მფრინავთა სასარგებლოდ დასრულდა. გადამწყვეტ მომენტში პერიმეტრიდან გიორგი ნიკოლაძე, ხოლო ფარქვეშიდან ვახტანგ მინაშვილი თამაშობდნენ უშეცდომოდ. ვახომ საბოლოოდ 23 ქულას (10-დან 9 ორქულიანი),12 მოხსნა მიამატა და ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. მან ერთი ხმით აჯობა სტუდენტ მიხეილ ჩიტაშვილს.

არჩევანის გაკეთებაში ჟურნალისტებს დაგვეთანხმა „ავიას“ მწვრთნელი **ლევან მოსეშვილი:** *„ნიკოლაძესთან ერთად ვახტანგ მინაშვილი მოედანზე მართლაც საუკეთესო იყო. მათ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს. თუმცა, წარმატება პირველ რიგში დაცვაში თამაშის გამოსწორებამ მოგვიტანა. პირველ ტაიმში 30 ქულა ჩავაგდეთ, რაც შეტევის ხაზის უსუსურობაზე მეტყველებს. მეორე ტაიმში ამ მხრივაც გაუმჯობესდა სიტუაცია და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ.“*

**ტურის მოთამაშე ვახტანგ მინაშვილი** რომ გახდა, უკვე მოგახსენეთ. ტურის მნიშვნელოვანი მოვლენაც გაგაცანით - შერმადინმა 37 ქულით ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა. ტურის ფრაზა ერთ-ერთ ფეხბურთის მოყვარულ ჟურნალისტს მაშინ წამოსცდა, როცა შერმადინმა კოლუაშვილი მეტოქის ფარს მარტოდმარტო შეატოვა: **აშკარა ოფსაიდი გაიპარაო!..**

ვაჟა სიმონიშვილი



თსუ-მაკაბი. გიორგი შერმადინმა (შუაში) სეზონის რეკორდი დაამყარა

ქართველი NBA-ში

# ატლანტას ვერ აჩერებენ

საშობაო არდადეგების შემდეგ ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსმა“ მორიგი საშინაო მატჩი ჩაატარა - „ინდიანას“ 107:95 აჯობა. ამ შეხვედრაში ზაზა ფაჩულიამ ჩვეულად ნამდვილად ვერ ითამაშა, რვიდან მხოლოდ 2 ორქულიანი ჩააგდო და 5 შეცდომა დაუშვა. თუმცა „ატლანტამ“ გუნდური თამაში უჩვენა და მორიგ დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

მომდევნო მატჩს „ჰოქსი“ 29 დეკემბერს დალასში „მავერიქსის“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

**ატლანტა-ინდიანა 107:95**

23:25, 29:20, 24:25, 31:25

ატლანტა: ჯ. ჯონსონი (13ქ, 7მ), ჯ. ჯონსონი (26ქ, 11პ), ჯ. სმიტი (16ქ, 7მ), მ. უილიამსი (14ქ, 5პ), ჰორფორდი (12ქ, 7მ), ზაზა ფაჩულია (19 წუთი, 4 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 5 შეცდომა, 2 ფოლი), ჩილდრესი (8ქ), ლოუ (4ქ), შ. უილიამსი (10ქ, 10მ)

ინდიანა: ტინსლი (16ქ, 12პ), დანლივი (11ქ), მარფი (19ქ), ჯ. ონილი (16ქ, 10მ), გრეინჯერი (9ქ), რაში (12ქ), ფოსტერი (3ქ), ოუენსი (3ქ), დიოგუ (6ქ)

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 7:16 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |
| 6:49 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 6:12 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (11:11) |
| 6:06 | ფოლი: 1 |
| 3:30 | დაფარება: 1 |
| 3:09 | მოხსნა: 1 (შეტ:0, დაც: 1) |
| 3:02 | შეცდომა: 1 |
| 0:57 | შეცდომა: 2 |
| 0:35 | შეცდომა: 3 |
| 0:01 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| **II პერიოდი** | |
| 9:52 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 8:43 | ფაჩულია სმითმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 1:33 | ფაჩულიამ ჰორფორდი შეცვალა |
| 0:56 | ორქულიანი ტყორცნა არაზუსტი |
| 0:56 | მოხსნა: 2 (შეტ:1, დაც:1) |
| **IV პერიოდი** | |
| 10:58 | შეცდომა: 4 |
| 10:17 | ჩა რა: 1 (ტინსლის ჩაჭ რა) |
| 10:13 | პასი: ჩილდრესი 2ქ (82:70) |
| 9:33 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (84:73) |
| 9:33 | მოხსნა: 3 (შეტ:2, დაც:1) |
| 8:57 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 7:22 | ფოლი: 2 |
| 5:58 | შეცდომა: 5 |
| 5:09 | მოხსნა: 4 (შეტ:2, დაც:2) |
| 4:47 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 4:37 | ფაჩულია ჰორფორდმა შეცვალა |

**ატლანტა: 15 მოგება, 12 ნაგება. მე-2 ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში**





ჰოკეი

## ლიდსტრიომის ახალი კონტრაქტი

"დეტროიტ რედ უინგზის" კაპიტანმა **ნიკლას ლიდსტრიომმა** კლუბთან ახალი, ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. კონტრაქტის ფინანსური პირობები არ გახმაურებულა.

*"უკვე მრავალი წელია, ნიკლასი მსოფლიოს საუკეთესო მცველი გახლავთ. ის ბრწყინვალე კაპიტანიცაა, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში სწორ გადაწყვეტილებას იღებს - ყინულზეც და მის გარეთ"*, - აცხადებს "დეტროიტის" გენერალური მენეჯერი **კენ ჰოლანდი**.

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხუთგზის საუკეთესო მცველს "დეტროიტის@ სახელოვან ისტორიაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. 37 წლის შვედი 1989 წლის დრაფტის მესამე ნომერი იყო. იქიდან მოყოლებული, მას რეგულარული ჩემპიონატის 1212 მატჩში 205 გოლი და 695 შედეგიანი გადაცემა დაუგროვდა.

## ვაშინგტონს ბორდო დაუკანონეს

"ვაშინგტონ კეპიტალზის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა **ბრიუს ბოდრომ** კლუბთან სრულფასოვან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

აქამდე ეს სპეციალისტი იუნიორთა გუნდებში მუშაობით იყო ცნობილი. 52 წლის ბორდო "კეპიტალზის" ისტორიაში რიგით მე-14 მწვრთნელი გახლავთ. ხელშეკრულების ხანგრძლივობა და პირობები პრესისთვის უცნობი დარჩა.

კალათბურთი

## ხარებს დიდ ბენს გაუშვებენ

"დეილი ჰერალდის" ინფორმაციით, "ჩიკაგოს ბულზის" გენერალური მენეჯერი **ჯონ პაქსონი** იანვარში **ბენ უოლასის** სხვა გუნდში გაშვებას აპირებს. ერთადერთი, რამაც შეიძლება 33 წლის კალათბურთელის (4.4 ქულა და 8.5 მოხსნა ამ სეზონში) ტრანსფერი შეაფერხოს, მისი კონტრაქტის თანხაა: მომავალი ორი წლის განმავლობაში, ბენმა 28.5 დოლარი უნდა მიიღოს.

"ჩიკაგოს" იმედი აქვს, რომ უოლასის სანაცვლოდ "ნიუ ჯერსიდან" **ჯეისონ კიდს** ან "მემფისიდან" **პაუ გასოლს** აიყვანს.

## უორიორზი ჰადსონის შემცვლელს ეძებს

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ბარძაყის ქრონიკული ტრავმის გამო კარიერის დასრულებას აპირებს "გოლდენ სტეიტის" შემტევი მცველი **ტროი ჰადსონი**.

ამასთან დაკავშირებით, "მეომრების" შეფებმა უკვე დაიწყეს ჰადსონის შემცვლელის ძებნა, რომელმაც **დონ ნელსონის** გუნდში, ამ პოზიციაზე **ბაირონ დევისის** დუბლიორის როლი უნდა შეასრულოს.

"ჩიკაგო ტრიბუნის" ცნობით, პირველი, ვისაც "გოლდენ სტეიტის" შეფობა წინადადებით მიმართავს, "მემფისის" მცველი **დემონ სტაუდმაიერი** გახლავთ.

## ნეტსმა ლეიკერს უარი შეუთვალა

რამდენიმე დღის წინ, "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" წინადადებით მიმართა "ნიუ ჯერსი ნეტს" **ჯეისონ კიდის** ტრანსფერთან დაკავშირებით. კერძოდ, კალიფორნიული კლუბი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებლის სანაცვლოდ სამ კალათბურთელსა და დრაფტზე ორი მოთამაშის არჩევის უფლებას თმობდა.

როგორც გაირკვა, "ნეტსის" ხელმძღვანელობამ არ მოიწონა "ლეიკერსის" წინადადება და უარი შეუთვალა მას. ახლა, კიდზე ერთადერთი კლუბი, "დენვერ ნაგეტსი" აცხადებს პრეტენზიას.

## ჯექსონი ბრაიანტს არ დათმობს

ამასობაში, სატრანსფერო პერიოდის დასრულებამდე ორი თვით ადრე, "ლეიკერის" თავკაცი **ფილ ჯექსონი** აცხადებს, რომ მას ვერ წარმოუდგენია თავისი კლუბი **კობი ბრაიანტის** გარეშე და შესაბამისად, ასოციაციის ერთ-ერთი ვარსკვლავი გაცვლას არ ექვემდებარება.

საინტერესოა, რომ თავად კალათბურთელი არ გამორიცხავს გუნდის შეცვლას, თუმცა იქვე ამატებს, რომ ტრანსფერის განხორციელების შანსი საკმაოდ მცირეა. კობიმ ეს განმარტება "ლოს ანჯელეს თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

## ილგაუსკასი რეკორდს მიუახლოვდა

"მაიამი ჰიტთან" მატჩი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა "კლივლენდ კავალიერზის" ცენტ **ჟიდრუნას ილგაუსკასისთვის**. ლიტველმა იმ მატჩში 8 მოხსნა გააკეთა და ამ მხრივ, "კლივლენდში" მისმა საერთო მონაგრმა 4673 მოხსნა შეადგინა. ამით, ილგაუსკასი მოხსნების რაოდენობით, კლუბის ისტორიაში მეორე ადგილზე გადავიდ. მან გაასწრო ჯონ უილიამსს, რომელსაც 4669 მოხსნა ჰქონდა.

კლუბის რეკორდსმენი კი, **ბრედ დოჰერტი** გახლავთ 5227 მოსნით. სხვათა შორის, დოჰერტიც და უილიამსიც "კავალიერზის" ყველა დროის სიმბოლურ ნაკრებში შედიან. ფანებს შორის ეს გამოკითხვა ჯერ კიდევ გუნდში **ლებრონ ჯეიმსის** მისვლამდე ჩატარდა.

## ოქური გამოჯანმრთელდა

"იუტა ჯაზის" 28 წლის ცენტრმა მეჰმეთ ოქურმა ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ პირველი ვარჯიში ჩაატარა.

თურქმა კალათბურთელმა რეგულარული ჩემპიონატის ექვსი შეხვედრა გამოტოვა. ჯერჯერობით ცნობილი არ არის ოქურის დაბრუნების ზუსტი თარიღი, თუმცა ექიმები აცხადებენ, რომ ცენტრი მზადაა მოედანზე გასასვლელად.

ამ სეზონში, ოქური საშუალოდ მატჩში 12.2 ქულასა და 5.0 მოხსნას აგროვებს.

## ჯონს მაიამიში უნდა

"კლივლენდ კავალიერზის" მცველი **დემონ ჯონსი** "მაიამი ჰიტში" დაბრუნების სურვილს გამოთქვამს.

*"მაიამიში" გადასვლა საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა. იქ მე კარიერის საუკეთესო წლები მაქვს გატარებული და ბევრი მეგობარი დამრჩა. "ჰიტის" თამაშის სტილს ყველაზე კარგად ვერგები და რა თქმა უნდა, სწორედ ასეთი კალათბურთის თამაში მსურს"*, - ამბობს ჯონსი.

ეს კალათბურთელი "ჰიტში" 2004-05 წლების სეზონში თამაშობდა და მაშინ, ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო სამქულიანების რეალიზაციის პროცენტით. წელს, ჯონსი საშუალოდ 18 წუთს ატარებს მოდანზე და 5.5 ქულას აგროვებს.

ჰოკეი

NHL ინტერვიუ სიდნი კროსბისთან

# ყველაზე რთული ბროდოს მოტყუებაა

**ამ ბიჭუნას ირგვლის აჟიოტაჟი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც მას NHL-ში ჯერ არცერთი შეხვედრა არ ჰქონდა ჩატარებული, მერე და მერე კი, სიდნი კროსბი ამერიკულ-კანადური ლიგის სახედ, მთავარ მოვლენად და ყველაზე სარფიან სარეკლამო პროდუქტად იქცა.**

**სიდნი 20 წლისაა, მაგრამ პროფესიულ დონეზე უკვე მასწრო ორი ზღაპრული სეზონის ჩატარება (ორნახევარ სეზონში, 196 შეხვედრაში მის ანგარიშზე 91 გატანილი შაიბა და 179 შედეგიანი გადაცემაა) და წლევანდელ რეგულარულშიც კარგად, თუმც კი წინა სეზონთან შედარებით ოდნავ გაფერმკრთალებულად გამოიყურება.**

**კროსბი ფენომენია, რომელმაც შარშან რამდენიმე პრესტიჟული ინდივიდუალური ჯილდო მოიპოვა და წელსაც, მთელი "პინგვინზის" ავ-კარგი მთლიანად ამ ახალგაზრდა ვარსკვლავზეა დამკიდებული. "მისი უდიადესობის", უეინ გრეცკის ყველაზე რეალურ მემკვიდრედ მიჩნეულ მეგავარსკვლავს "ჰოქი ნიუზის" ჟურნალისტები გაესაუბრნენ და ჩვენც ამ ინტერვიუს ფრაგმენტებს გთავაზობთ.**

**- სიდ, თქვენი ყოველი თამაში, საგარეო თუ საშიანო შეხვედრაში ჰოკეის ფანებისთვის ნამდვილი დღესასწაულია. მზად იყავით კარიერის დასაწყისში ასეთი ზეწოლისთვის?**

- ზეწოლას ვერ ვგრძნობ და თუ თქვენ გგონიათ, რომ ყურადღების ეპიცენტრში ყოფნა მოთამაშისთვის ზედმეტი ტვირთია, ეს ასე არ არის. რატომ უნდა ვლიზიანდებოდე იმით, რომ 12 წლის ბავში ჩემს ვარჯიშზე მოდის და მისი დასრულების შემდეგ ჩემთან ერთად ფოტოს გადაღება სურს? ამას ჩემზე გამოუცდელი, ნაკლებად რეკლამირებული "პროდუქტებიც" აკეთებენ და ბრ წუწუნებენ. ასე რომ, ყველაფერი მშვენივრადაა. ვიცოდი, რომ თუ კარიერა კარგად ამეწყობოდა, ყველაფერი ეს გარდაუვალი იქნებოდა, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ აღნიშნულ მოვლენებს არ დავუღლივარ და მზად ვარ, ჩვენს ლიგას, ჩემს გუნდსა და საერთოდ, მთლიანად სპორტს დაუღალავად ვემსახურო.

**- დაგვეთანხმეთ, რომ შარშანდელი, არაჩვეულებრივი სეზონის შემდეგ, პირადად თქვენგან და უშუალოდ "პინგვინზისგან" გულშემატკივრები გაცილებით მეტს ელოდნენ.**

- არ დაგიმალავთ და მეც გაცილებით მეტს ველოდი. სიმართლე გითხრათ, მას მერე, რაც ამ ლიგაში თამაშის საშუალება მომეცა, პირად სტატისტიკას მხოლოდ სადებიუტო სეზონის ბოლოს ვაქცევდი დიდ ყურადღებას. ჩემთვის მთავარი გუნდის წარმატებაა და ამავე დროს იმასაც კარგად ვხვდები, რომ "პიტსბურგისთვის" ჩვენი ლიგის ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად, სიდნი კროსბი თითქმის ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე უნდა იმყოფებოდეს, რადგან იგი ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება. ძალიან არათანაბრად ვთამაშობთ და ჩემთვის ეს ცუდი, არასასიამოვნო სიურპრიზია, რადგან ჩვენი შემადგენლობით გაცილებით მაღალი დონის, სტაბილურ თამაშს უნდა ვაჩვენებდეთ.

**- ძალიან არასტაბილურია მეკარე მარკ-ანდრე ფლერი.**

- მოდით , ასე გიპასუხებთ - შარშან "პიტსბურგი" ფლეიოფში არა კროსბიმ, არამედ მთავარმა მწვრთნელმა და ფლერიმ პირადად გაიყვანეს და თუ მარკს წელს რამდენიმე მატჩში ბედმა არ გაუღიმა, ყველაფერის მასზე გადაბრალება მაინც არ შეიძლება. ფლერი ჩვენი ერთ-ერთი ლიდერია. რამდენი შაიბაც არ უნდა გავიტანოთ, თუ მეკარე საიმედოდ არ თამაშობს და შეცდომებს უშვებს, კონფერენციის რვა საუკეთესო გუნდში ვერანაირად ვერ მოვხვდებით. ფლერი უნიჭიერესი მეკარე და ჩვენი ორგანიზაციის განუყოფელი ნაწილია.

**- თუმცა ბოლო დროს ძალიან ბევრს საუბრობენ მის ნაცვლად გუნდში რომელიმე გამოცდილი ფრთის აყვანაზე^რომელმაც თქვენი სამეული უნდა გააძლიეროს.**

- ჩვენს ლიგაში, ისევე როგორც ნებისმიერ პროფესიულ ლიგაში, გაცვლისგან არავინაა დაზღვეული. გუნდები მოთამაშეებს მრავალწლიან კონტრაქტებს უფორმებენ, მერე კი მათ ერთ, თუნდაც მცირე ჩავარდნას არ პატიობენ და მიუხედავად იმისა, რომ ზარალდებიან, მაინც უშვებენ ამ მოთამაშეს გუნდიდან. არ მჯერა, რომ როდესაც შემდგარი ვარსკვლავის, შესანიშნავ ფორმაში მყოფი მოთამაშის ნაცვლად ესა თუ ის კლუბი რამდენიმე ახალბედას, ან თუნდაც კოლეჯის მოთამაშეს იღებს, გუნდი კმაყოფილი რჩება. კი, სახელფასო ფონდში თანხის დაზოგვა მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ ერთი წლის წინ მოთამაშეს ალმერთებდი და მას ზღაპრულ თანხას უხდიდი, რა შეიცვალა იმ ერთი წლის განმავლობაში? ინვესტორებმა უარი თქვეს გუნდისთვის აუცილებელი თანხის გადახდაზე? თუ ვარსკვლავი დაბრმავდა და კარს ველარ ამჩნევს? ჩვენს ლიგაში, საერთოდ, პროფესიულ სპორტში ბევრი უცნაური რამ ხდება.

**- სიდ, აქტიურად ხართ ჩართულნი უამრავ ჰუმანიტარულ კამპანიაშიც...**

- ვერ ვიტყოდი, რომ ძალიან აქტიურად ვარ ჩართული ასეთი სახის ღონისძიებებში, მაგრამ შარშან მე და ჯორდან სტაალმა (კროსბის თანაგუნდელი - რედ.) უსახლკარო ბავშვებისთვის დახმარების ფონდი დავაარსეთ და ყოველ თვე, ამ ფონდში ჩვენი ხელფასის გარკვეული ნაწილი ირიცხება. თავისთავად, მე მეტს ვიხდი, რადგან ჯორდანზე დიდი ხელფასი მაქვს. იმედი მაქვს, არავინ იფიქრებს, რომ მე და ჯორდანი ამას ზედმეტი ყურადღებისთვის, პიარისთვის ვაკეთებთ. არც მე და არც მას ყურადღება არ აკლია, ბავშვები კი აუცილებელს მიიღებენ და ერთ მშვენიერ დღეს თუ გაგვიხსენებენ, ნასიამაოვნები დავრჩებით და თუ არც გაგვიხსენეს, მაინც კმაყოფილები ვიქნებით. ჩვენ ხომ ბავშვებს ვეხმარებით. ამის გარდა, ბოლო სამი სარეკლამო რგოლიდან მიღებული ჰონორარებით მთლიანად ფანებისთვის პატარა რესტორნის გახსნას დავახარჯე. იქ სადღაც, 20-25 ადამიანი იკრიბება და "პიტსბურგის" თამაშებს უყურებს. თუ რესტორანში ზედიზედ 5 მატჩს დაესწრები, მეექვსე ჯერზე, რესტორანში შენს სახელზე სიდნი კროსბის ავტოგრაფით დამშვენებული მაისური ან ყვანჯი დაგხვდება. მგონი, ცუდი აზრი არ იყო ასეთი რესტორნის გახსნა, არა?

**- მშვენიერი აზრია.**

- მეც ასე მგონია. მოთამაშე ნულია თავისი გულშემატკივრის გარეშე და თუ შეგიძლია, რომ ფანებს შენი თამაშის გარდა, კიდევ რაღაცით მიანიჭო სიამოვნება, რატომაც არა, მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო საამისოდ.

**- ბოლო დროს ბევრს საუბრობენ "პიტსბურგში" "ატლანტადან" მარსელ ჰოსას შესაძლო გადასვლაზე.**

- კი, ამ ინფრომაციის შესახებ მეც გავიგე. თუ გუნდის ხელმძღვანელები, პირველ რიგში კი ჩვენი სამწვრთნელო შტაბი საჭიროდ ჩათვლის, რომ ჰოსა ჩვენთან უნდა იყოს, ესე იგი, ტრანსფერი მართლაც აუცილებელია. თავისთავად, როდესაც გუნდი ასეთი დონის მოთამაშით ძლიერდება, საწინააღმდეგო არავის, მათ შორის მეც, არაფერი უნდა ჰქონდეს.

**- ვინ არის თქვენთვის ყველაზე უხერხული ოპონენტი?**

- გუნდი თუ რომელიმე მოთამაშე?

**- ერთიცა და მეორეც.**

- მოთამაშეს რაც შეეხება, ნამდვილად არ ვიცი, უფრო სწორად, ასე უცბად ვინმეს ვერ გავიხსენებ, ხოლო გუნდი კი, ალბათ, "ნიუ ჯერსი", რადგან მათ მარტინ ბროდო ჰყავთ. როდესაც კარში ბროდო დგას, ყოველთვის ფიქრობ, რომ შეტევისას რაიმე განსაკუთრებული უნდა გააკეთო, რადგან მარტინის ელემენტარული, მისთვის კარგად ნაცნობი ილეთით მოტყუება თითქმის შეუძლებელია.

ზურაბ თალაკვაძე



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ოტავა 3:5**

0:0, 1:3, 2:2

გოლები: 0:1 ვერმეტი-7 (კ. კელი-10), 1:1 ჰეხტი-13 (ბომბელი-22, ტ. კონოლი-21), 1:2 რედენი-5 (პიტლი-24, სპეცა-33), 1:3 ფიშერი-10 (ნილი-7, მეზაროში-11), 1:4 ალფრედსონი-21 (რედენი-15, პიტლი-25), 2:4 ბ. კემბელი-3 (ტ. კონოლი-22, მაჩეკი-12), 3:4 მეირი-4 (ვეი-9, დ. რუა-17), 3:5 პიტლი-23 (სპეცა-35).

**დალასი-მინესოტა 8:3**

3:2, 1:1, 4:0

გოლები: 1:0 ჰაგმანი-13 (მოდანო-13, ნისკანენი-12), 1:1 ვოროსი-7 (ბუშარი-21, ბერნსი-12), 2:1 რიბეირო-20 (მოროუ-23, მიეტინენი-9), 2:2 დემიტრა-6 (ვოროსი-6), 3:2 ჰალპერნი-8 (ოტი-6), 4:2 ბარნსი-3 (ლუნდკვისტი-3, გროსმანი-2), 4:3 დემიტრა-7 (ბუშარი-22), 5:3 მოროუ-14 (ჰალპერნი-5, რიბეირო-21), 6:3 მოდანო-11 (ოტი-7), 7:3 მოროუ-15 (მიეტინენი-10, რიბეირო-22), 8:3 ლ. ერიქსონი-2 (რობიდასი-6, ი. იოკინენი-8).

**აილენდერსი-ტორონტო 4:3 (ო)**

3:2, 0:0, 0:1, 1:0

გოლები: 0:1 ა. სტინი-6 (სტაიანი-9, დევერო-6), 1:1 ჰილბერტი-4 (კამპოლი-13, ბერარი-4), 1:2 ბელი-2 (ტაკერი-5, ი. უაიტი-7), 2:2 კომრი-10 (პარკი-6, დიპიეტრო-1), 3:2 გერინი-10 (კომრი-17, პარკი-7), 3:3 ა. სტინი-7 (გილი-14), 4:3 კომრი-11 (პარკი-8).

**რეინჯერსი-კაროლინა 4:2**

0:0, 1:2, 3:0

გოლები: 1:0 იაგრი-8 (მ. სტაალი-5, გომესი-23), 1:1 ს. უოკერი-5 (კულენი-29, კომოდორი-5), 1:2 ე. სტაალი-18 (საიდენბერგი-11, რეი უიტნი-19), 2:2 დრური-9 (მენეპანი-14, ჟირარდი-6), 3:2 ჟირარდი-6 (დრური-17, მენეპანი-15), 4:2 იაგრი-9 (გომესი-24).

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 3:2**

1:1, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 ლეკავალიე-24 (ბრისბალი-19, სენტ ლუისი-29), 1:1 მტეკელი-3 (ლეინგი-2, ბრედლი-5), 1:2 ლეკავალიე-25 (ბრისბალი-20, ო'ბრაიენი-10), 2:2 პოტიე-4 (ოვეჩკინი-17, მტეკელი-2), 3:2 ბრედლი-2 (მტეკელი-3, მ. გრინი-8).

**კოლამბუსი-ატლანტა 2:0**

1:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ფრიტშე-6 (ჯეინსი-14, ლეკლერი-1), 2:0 ბოლი-4 (გლენკროსი-6, ფიოდოროვი-12).

**ჩიკაგო-ნეშვილი 5:2**

2:0, 0:0, 3:2

გოლები: 1:0 პ. შარპი-19 (ტეევზი-17, კეიტი-9), 2:0 ტეევზი-14 (პ. შარპი-13, კეინი-26), 2:1 რადულოვი-8 (ბონკი-5, ჰამჰუისი-12), 3:1 ლანგი-12 (ბიფიგლიონი-8, ბარკერი-1), 3:2 ჟიდლიცკი-2 (ლეგვანდი-18, ფიდლერი-10), 4:2 ლანგი-13 (ტ. რუუტუ-9, კონყიოლა-3), 5:2 კეინი-9.

**სენტ ლუისი-დეტროიტი 0:5**

0:2, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 ლიდსტრიომი-4 (დაციუკი-30), 0:2 ჰუდლერი-9 (სამუელსონი-14, რაფალსკი-27), 0:3 ფილპულა-10 (დაციუკი-31, რაფალსკი-27), 0:4 ფილპულა-11 (ჰუდლერი-16, სამუელსონი-15), 0:5 რაფალსკი-5 (ლიდსტრიომი-30, დაციუკი-32).

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე 2:3**

0:2, 1:0, 1:1

გოლები: 0:1 მ. მიხალეკი-11 (ოზოლინში-6, მარლო-10), 0:2 პაველსკი-8 (გოკი-3), 1:2 რ. ბლეიკი-3 (ფროლოვი-18, ნადი-11), 1:3 მ. მიხალეკი-12 (ჯ. ტორნტონი-28, ერპოფი-13), 2:3 კოპიტარი-3 (რ. ბლეიკი-14, კოპიტარი-22).

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ვის ჰყავს ჯოკერი?


კრის პოლი

ბოლო წლებში "დეტროიტ პისტონზის" შედარებით სტაბილურ თამაშსა და 2006-ში "მაიამი ჰიტის" უცნაური ჩემპიონობის გარდა, დიადი, უძლეველი "ბულზის" დაშლის მერე, ბობოლათა შორის დამსახურებულად დომინირებდნენ დასავლელები - ოთხჯერ **გრეგ პოპოვიჩის** "სპურსი" გაჩემპიონდა, სამჯერ კი პირველობა არავის დაუთმო **ფილ ჯექსონის** "ლეიკერსმა". დასავლეთის გუნდები სტაბილურობის ეტალონებად იქცნენ და თუ 2001 წლიდან, მათი და აღმოსავლეთის წარმომადგენელთა ურთიერთშეხვედრებს გადავხედავთ, დასავლელებს მატჩების 61 პროცენტი თავის სასარგებლოდ აქვთ დასრულებული.

დასავლეთი წელსაც აღმოსავლეთზე ძლიერად გამოიყურება, თუმცა განსხვავება ისაა, რომ ამ კონფერენციას, ანუ დასავლეთს არ ჰყავს ისეთი დომინანტი, როგორიც საპირისპირო კონფერენციაში "სელტიქსია". დასავლეთი გათანაბრდა და ეს აღნიშნული დღის მატჩებმაც დაამტკიცა.

ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს "ნიუ ორლეანი", ხოლო "კრაზანების" ახალგაზრდა ვარსკვლავი, ფლეიმეიქერი **კრის პოლი** კი ყველას და ყველაფერს ბრდღვნის. სხვისი არ ვიცი და მე პირადად, პოლი "იუტას" თანაამპლუელ **დერონ უილიამსს** მირჩევნია. დერონი თუ ფიზიკურად პოლზე ძლიერია და რაღაცით, **ჯეისონ კიდსაც** კი წააგავს, კრისი უფრო აგრესიული შემტევი, მასზე უკეთესი ინდივიდუალური დამცველი და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თავისი გუნდის გამორჩეული ლიდერია.

გასაგებია, რომ პოლისა და მისი სიმპათიური გუნდის საჩემპიონო მონსტრებში გარევა ჯერ ადრეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ ეტაპზე "ჰორნეტსი" სხვაზე არაფრით ნაკლებ კალათბურთს არ თამაშობს და 28-ე შეხვედრაში მე-18 მოგებით ეს ერთხელაც დაამტკიცა.

ისე, პრინციპში, "ნიუ ორლეანს" სეზონის სტარტზე განრიგიც ხელს უწყობს. ეს იყო მე-17 მატჩი იმ გუნდებთან, რომლებსაც "ნიუ ორლეანთან" შეხვედრამდე წაგება მოგებაზე მეტი ჰქონია და პოლის საძმომ ამ მატჩებიდან მხოლოდ 3 დათმო.

პოლი შეუდარებელი იყო და ვინც კი არ დაუყენა მას გვერდით "მემფისმა", კრისი უპრობლემოდ უმკლავდებოდა ნებისმიერ მეურვეს და ქულას-ქულაზე აგროვებდა, ხოლო შიგადაშიგ კი, არც იმას ივიწყებდა, რომ ამპლუით ფლეიმეიქერია და თავისი ფილიგრანული პასებით სტატისტიკასაც იუმჯობესებდა და ფანებსაც ახალისებდა.

საბოლოოდ, პოლმა თამაშიდან 25-ში 17 ტყორცნა შეასრულა ზუსტად და 36 წუთში ერთადერთი შეცდომა დაუშვა, ხოლო მისმა პირველმა ოპონენტმა, გამოცდილმა **დეიმონ სტაუდმაიერმა** შეხვედრა მიზერული მონაგარით (15 წუთი, 2 ქულა, 2 ფოლი) და **ტაისონ ჩენდლერისგან** ჩამტვრეული კბილებით დაასრულა.

საერთოდ, "მემფისი" პოლისთვის ყველაზე სასურველი მოწინააღმდეგეა, რაკი მისი კარიერული რეკორდი, ანუ 43 ქულა, კრისმა ამავე გუნდის წინააღმდეგ, 7 დეკემბერს ჩატარებულ ჯახში გააკეთა. "ნიუ ორლეანისთვის" კი ეს ზედიზედ მესამე გამარჯვება იყო.

*"კრისი ფენომენია და გაგვიმართლა, რომ იგი ჩვენთანაა. მსგავსი თავდაჯერებულობა ასეთი ყმაწვილკაცისთვის შეუფერებლია, თუმცა პოლი უკვე თამამად შეიძლება ჩავთვალოთ გუნდის ლიდერად და იმედი მაქვს, ამ სეზონში იგი რომელიმე ინდივიდუალურ ჯილდოს მოიპოვებს. კრისი ამას ნამდვილად იმსახურებს"*, - მიაჩნია სერბ **პეჯა სტოიაკოვიჩს**, რომელმაც მატჩი 11-დან ხუთი ზუსტი სამქულიანით დაასრულა.

■ ■ ■

"ვაშინგტონს" "ბობქეთსთან" გასვლით მატჩში არ ჰყოლია ტრავმირებული უკანახაზელი **ანტონიო დენიელსი** (ზედიზედ მეხუთე მატჩი გამოტოვა), მაგრამ ბოლომდე გამოჯანმრთელდა "დიდი სამეულის" ერთ-ერთი ნევრი **კეირონ ბატლერი**, რომელმაც შესანიშნავ ფორმაში მყოფ **ანტუან ჯეიმისონთან** ერთად გამოჭედა დედაქალაქელთა მძიმე, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება.

ბატლერისა და ჯეიმისონის, ისევე როგორც გუნდის მთავარი ვარსკვლავის, ამჯერად ტრავმირებული **გილბერტ არენასის** მხრიდან 20 და მეტი ქულის დაგროვებას შევეჩვიეთ, მაგრამ **როჯერ მეისონი?** ეს ახალგაზრდა, რომელიც ზელიგაში თავის დროზე დაიწუნეს, მერე კი ამ ბიჭს ისრაელში მოუხდა ორი სეზონის გატარება, ზედიზედ მეორე მატჩია კარიერის ქულათა მონაგარს აუმჯობესებს და ამჯერად, 24 ქულით ახალი პირადი რეკორდიც დაამყარა.

მეისონი გილბერტის გამოჯანმრთელებისთანავე რეზერვში გადავა და მისი სათამაშო დროც მნიშვნელოვნად შეიკვეცება, მაგრამ სანამ შანსი აქვს, მისსივე თქმით, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა "უიზარდსი" არენასის დაბრუნებას მოგება-წაგების დადებითი მაჩვენებლით შეხვდეს.

*"ჩემგან სასწაულს არავინ ელის, მაგრამ ვიცი, რომ გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შემიძლია და გპირდებით, არაფერს დავიშურებ "უიზარდსის" წარმატებისთვის"*, - ამბობს მეისონი, რომელიც სეზონის მსვლელობისას არენასისთვის ბურთების მიმტანიც კი იყო, ახლა კი **ედი ჯორდანმა** (რომლისთვისაც ეს სამწვრთნელო კარიერაში მე-200 გამარჯვება გახლდათ) მას ადგილი სასტარტოში დაუთმო და გუნდიც მოულოდნელ დივიდენდებს იმკობს.

მეისონმა თამაშიდან პირველი 6 სროლა გამოიყენა, ბოლოს კი, როდესაც **ჯერალდ უოლასმა** (21/11 ზუსტი სროლა და ერთადერთი შეცდომა 43 წუთში) მასპინძლები მეტოქეს ერთ ზუსტ სამქულიანამდე მიუახლოვა, ბატლერმა საჯარიმოები უნაკლოდ შეასრულა და "უიზარდსმაც" წარმატებით მიიყვანა მატჩი სასურველ შედეგამდე.

**ზურაბ თალაკვაძე**

**მემფისი-ნიუ ორლეანი 98:116**

29:27, 21:25, 23:34, 25:30

**მემფისი:** გეი (19 ქ. 4 მ), მ. მილერი (19 ქ. 4 მ), ლოური (15 ქ. 8 პ. 7 მ. 2 ჩ), უორიკი (12 ქ. 6 მ), ნავარო (10 ქ).

**ნიუ ორლეანი:** პოლი (40 ქ. 9 პ. 5 მ. 5 ჩ), სტოიაკოვიჩი (21 ქ), დევიდ უესტი (20 ქ. 9 მ. 3 პ. 3 დ), ჩენდლერი (12 ქ. 13 მ).

**ფილადელფია-მაიამი 96:85**

25:17, 30:21, 19:26, 22:21

**ფილადელფია:** იგუოდალა (28 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ), ლ. უილიამსი (13 ქ), კორვერი (13 ქ), ა. მილერი (12 ქ. 12 პ. 8 მ).

**მაიამი:** უეიდი (27 ქ. 9 პ. 3 ჩ), რ. დევისი (21 ქ. 4 მ. 3 პ), კუკი (12 ქ), შ. ონილი (5 ქ. 10 მ).

**შარლოტი-ვაშინგტონი 104:108**

30:41, 25:17, 19:23, 30:27

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (32 ქ. 9 მ. 8 პ. 2 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (27 ქ. 4 ჩ), ოკაფორი (12 ქ. 7 მ), მოჰამედი (12 ქ. 6 მ).

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (26 ქ. 14 მ), კ. ბატლერი (25 ქ. 8 პ. 7 მ. 3 ჩ), რ. მეისონი (24 ქ. 5 მ. 5 პ), ჰეივუდი (20 ქ. 9 მ).

**ორლანდო-ნიუ იორკი 110:96**

26:31, 24:20, 29:25, 31:20

**ორლანდო:** თურქოღლუ (26 ქ. 6 მ. 6 პ. 2 ჩ), რ. ლუისი (25 ქ. 6 მ), დ. ჰოვარდი (16 ქ. 11 მ. 5 დ), დულინგი (12 ქ. 6 მ), ბოგანსი (10 ქ. 7 მ).

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (29 ქ. 8 პ. 4 მ. 2 ჩ), ზ. რენდოლფი (22 ქ. 9 მ), ნ. რობინსონი (16 ქ), ლი (11 ქ. 14 მ. 3 პ. 2 ჩ).

**ატლანტა-ინდიანა 107:95**

23:25, 29:20, 24:24, 31:25

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (26 ქ. 11 პ. 4 მ), ჯოშ სმითი (16 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ), მარვინ უილიამსი (14 ქ. 5 მ. 5 პ), ე. ჯონსონი (13 ქ. 7 მ. 3 პ), ჰორფორდი (12 ქ. 7 მ. 3 დ), **ზაზა ფაჩულია (4 ქ. 4 მ. 1 პ. 1 ჩ. 1 დ).**

**ინდიანა:** მერფი (19 ქ), ჯ. ონილი (16 ქ. 10 მ. 2 დ), ტინსლი (16 ქ. 12 პ), კ. რაში (12 ქ), მ. დანლივი-უმცროსი (11 ქ. 6 მ. 4 პ. 3 ჩ), გრეინჯერი (9 ქ. 5 მ).

**ნიუ ჯერსი-დეტროიტი 83:101**

24:26, 20:19, 18:31, 21:25

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (21 ქ. 5 პ), რ. ჯეფერსონი (18 ქ), ნახბარი (13 ქ. 4 მ), ბუნი (12 ქ. 8 მ), შ. უილიამსი (11 ქ. 5 მ. 2 დ), კიდი (2 ქ. 13 პ. 5 მ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (22 ქ. 4 პ), ბილაპსი (17 ქ. 10 პ. 2 ჩ), მაკდაისი (15 ქ. 9 მ. 2 პ), რ. უოლასი (13 ქ. 6 მ. 2 დ), მაქსიელი (10 ქ), პრინსი (6 ქ. 6 პ. 4 მ).

**იუტა-დალასი 99:90**

29:18, 18:28, 31:24, 21:20

**იუტა:** ბუზერი (21 ქ. 9 მ. 3 პ. 2 ჩ), დ. უილიამსი (17 ქ. 12 პ. 7 მ. 2 ჩ), კირილენკო (17 ქ. 5 პ. 4 მ. 3 ჩ), რ. ბრიუერი (15 ქ. 4 ჩ).

**დალასი:** ნოვიცკი (20 ქ. 9 მ. 4 პ), დ. ჰარისი (17 ქ. 5 პ. 2 ჩ), ჯოშ ჰოვარდი (17 ქ. 8 მ), ჯორჯი (13 ქ. 6 მ), სტეკჰაუზი (11 ქ).

**დენვერი-მილუოკი 125:105**

28:17, 40:21, 27:28, 30:39

**დენვერი:** ენტონი (29 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ), აივერსონი (24 ქ. 6 პ. 2 ჩ), ე. კარტერი (13 ქ. 6 მ. 6 პ), კლეიზა (13 ქ. 5 მ. 3 პ), ჯეი. არ. სმითი (12 ქ), კემბი (10 ქ. 11 მ. 10 დ. 5 პ).

**მილუოკი:** მო უილიამსი (28 ქ. 7 პ. 2 ჩ), ვილიანოვა (17 ქ. 6 მ), აივი (14 ქ), რედი (9 ქ. 4 პ).

**საკრამენტო-ბოსტონი 69:89**

16:18, 13:35, 27:13, 13:23

**საკრამენტო:** არტესტი (15 ქ. 6 მ. 2 ჩ), სალმონსი (13 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ), გარსია (12 ქ), ბ. მილერი (7 ქ. 11 მ).

**ბოსტონი:** რ. ალენი (17 ქ. 3 ჩ), პირსი (16 ქ. 6 პ. 4 მ), გარნეტი (14 ქ. 10 მ. 2 პ. 2 ჩ), რონდო (13 ქ. 4 ჩ), პოუსი (11 ქ. 6 მ).

**გოლდ. სტ-მინესოტა 105:101**

33:24, 23:19, 30:31, 19:27

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (35 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), ბ. დევისი (27 ქ. 7 პ. 6 მ. 3 დ. 2 ჩ), ს. ჯექსონი (19 ქ. 6 მ. 6 პ. 2 ჩ), ე. ჰარინგტონი (11 ქ. 2 ჩ), ბიედრინსი (6 ქ. 11 მ. 3 დ).

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (20 ქ. 19 მ. 3 პ. 3 ჩ), იარიჩი (15 ქ. 8 მ. 5 პ), მაკკენტსი (15 ქ), გომესი (14 ქ. 5 მ. 2 პ), ტელფეირი (12 ქ. 4 პ), ა. უოკერი (11 ქ. 5 მ. 2 დ).

**სან ანტონიო-ჩიკაგო 94:79**

21:22, 30:17, 21:20, 22:20

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (28 ქ. 5 პ), ფინლი (15 ქ), ბოუენი (12 ქ), ბონერი (12 ქ. 9 მ), უდოკა (12 ქ. 2 ჩ), დანკანი (8 ქ. 11 მ. 6 პ. 2 დ).

**ჩიკაგო:** ჯო სმითი (19 ქ. 11 მ. 2 პ. 2 დ), გორდონი (18 ქ), დეჰპონი (13 ქ), დენგი (12 ქ. 7 მ).

TV სპორტი

**28 დეკემბერი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ბლექბერნი.
15:15 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტვენტე.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 ინგლისის ჩემპიონატი. დერბი-ლივერპული.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 პირდაპირი ხაზი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:40 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
01:30 ტოქ-შოუ - 2:1.
02:15 საფეხბურთო კლუბი.
03:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ბლექბერნი.
11:55 სპორტული ისტორიები.
12:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სენტ ლუისი-დეტროიტი.
14:03 ფეხბურთი. Barca TV.
14:10 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
14:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ფენერბაჰჩე-ცსკა.
16:28 ფეხბურთი. Barca TV.
16:37 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-პორტსმუთი.
18:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეინჯერსი-ლიონი.
20:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:55 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ვაშინგტონი.
23:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:25 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1997-98. იუვენტუსი-დინამო.
01:05 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:10 კრივი. რინგ-საიდი.
02:12 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ბლექბერნი.
04:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ბაფალო (LIVE).
06:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
07:12 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
07:42 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სენტ ლუისი-დეტროიტი.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS98. ვილახი. ავსტრია.
14:00 მულტისპორტი.
15:00 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. ქალები. 3 კმ. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. 4 მთის სერია. მიმოხილვა.
16:45 მულტისპორტი.
17:00 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 4.5 კმ. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია.
20:00 ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. ესპანიოლი-სევილია. 2006-2007.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. მანჩესტერ იუნ-რომა. 2006-2007.
22:00 მულტისპორტი.
23:00 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
00:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ნორვეგიის გრან-პრი.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 სუმო.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 სერფინგი. ევროპის ტური.
13:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
14:30 სერფინგი. ევროპის ტური.
15:00 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფურის ეტაპი. პანელინიოსი (საბერძნეთი)-დინამო (რუსეთი).
18:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. კამერუნი.
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. კილი (გერმანია)-მონპელიე (საფრანგეთი).
20:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რიეკა (ხორვატია)-პილა (პოლონეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 მულტისპორტი.
23:00 ახალი ამბები.
23:30 ექსტრემალური სპორტი.
00:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები 1994-2000.
01:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები 2000-2006.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ნარდი. მსოფლიო სერია. ბრიტანეთი.
03:15 ახალი ამბები.

ფორმულა 1

## ვიურცი კომენტატორი ხდება

ავსტრიელი ალექს ვიურცი, რომელიც წელს "უილიამსის" ღირსებას იცავდა, გაისად ფორმულა 1-ში ახალ ამპლუაში მოგვევლინება.

ერთ-ერთმა ტელეარხმა 33 წლის პილოტს ფორმულას რბოლების კომენტატორობა შესთავაზა. ვიურცს საბოლოო პასუხი ჯერ არ უთქვამს, მაგრამ, როგორც ჩანს, ტელევიზიის წინადადებას დათანხმდება.

*"დიდი სურვილი მაქვს ჩემი გამოცდილება და ცოდნა გამოვიყენო და რაც შეიძლება დიდი ხანი დავრჩე ფორმულა 1-ის სტრუქტურაში"*, - აცხადებს ვიურცი.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერ სიტი-ბლეკბერნი | 2:2 |
| **ჰოლანდია** | |
| უტრეხტი-ექსელსიორი | 4:1 |
| ბრედა-ვიტესი | 1:2 |
| როდა-ჰერენვეენი | 1:0 |
| აიაქსი-ტვენტე | 2:2 |
| ჰერაკლესი-ვილემი | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ესპანეთი** | |
| ესტუდიანტესი-გრანადა | 74:63 |
| ვალენსია-მურსია | 73:67 |
| ხუვენტუდი-უნიკახა | 97:82 |
| მენორკა-ლეონი | 69:63 |
| **იტალია** | |
| სკავოლინი-რომა | 88:85 |
| ბენეტონი-ბიელა | 88:98 |
| ვარეზე-დორლანდო | 102:105 ოთ |
| ვირტუსი-სკაფატი | 85:79 |
| მილანი-აველინო | 72:86 |
| მონტეპასკი-კანტუ | 109:72 |
| მონტეგრანარო-ტერამო | 106:92 |
| ნაპოლი-სნაიდერო | 77:72 |
| რიეტი-კლიმამიო | 63:64 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 21** | |
| ყაზახეთი-რუსეთი | 4:5 |
| სლოვაკეთი-კანადა | 0:2 |
| ფინეთი-შვეიცარია | 3:3, პენ. 4:3 |
| ჩეხეთი-დანია | 5:2 |
| **გერმანია** | |
| დუისბურგი-კრეფელდი | 4:5 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-ტაპარა | 4:3 |
| ლუკო-კიეკო | 2:1 |
| პელიკანსი-ჰპკ | 0:3 |
| საიპა-იუვესკიულა | 1:3 |
| ტპს-ესპო | 0:2 |
| ჰიფკ-კალპა | 2:0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

## სერენას ნაცვლად შონესი

შაბათს, ავსტრალიის ქალაქ პერტში ჰოფმანის თასის მე-20 გათამაშება იწყება. შერეული წყვილების არაოფიციალური ჩემპიონატის შემადგენლობა დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ გუშინ გუნდების რიგებში გარკვეული ცვლილებები მოხდა.

საფრანგეთის ნაკრებში უნდა ეთამაშა ფრანგული ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავს, **გაელ მონფილსს**, მაგრამ მან მუხლის ტრავმა მიიღო და ახლა მონფილსის ნაცვლად ნაკრებში 30 წლის **არნო კლემანი** ითამაშებს, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციის 54-ე ნომერი გახლავთ.

ფრანგები პირველ მატჩს არგენტინის წინააღმდეგ 30 დეკემბერს გამართავენ. ამ გუნდში კლემანის ქალი პარტნიორია **ტატიანა გოლოვინი**, ხოლო არგენტინელთა რიგებში თამაშობენ **ხისელა დულკო** და **ხოსე-იგნასიო ჩელა**.

■ ■ ■

ჰოფმანის თასი კი, 29 დეკემბერს ამერიკისა და ინდოეთის ნაკრებთა მატჩით იხსნება. პირველ შეხვედრაში კორტზე უნდა გასულიყვნენ **სერენა უილიამსი** და **სანია მირზა**, მაგრამ ერთი ცვლილება ამერიკელთა რიგებშიც მოხდა - ავადმყოფობის გამო თამაშზე უარი თქვა სერენა უილიამსმა და ნაკრებში მის ადგილს ვეტერანი **მეგან შონესი** დაიკავებს. ამ უკანასკნელის პარტნიორი გახლავთ **მარდი ფიში**.

## ქორწილი არ იქნება

როგორც უკვე ვიუწყებოდით, დეკემბრის შუა რიცხვებში, ფლორიდაში დაგეგმილი იყო ჩეხი ჩოგბურთელების, **ნიკოლ ვაიდიშოვასა** და **რადეკ შტეპანეკის** ქორწილი. მაშინ, მათ არ დაუდასტურებიათ და არც უარყვიათ ეს ინფორმაცია.

**მარტინა ჰინგისის** ყოფილი საქმროს, შტეპანეკის მამამ განაცხადა, რომ წყვილი დაქორწინებას არ აპირებს, თუმცა დაადასტურა, რომ მისი ვაჟი ფლორიდაშია, სადაც ვაიდიშოვა უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობს.

სხვათა შორის, ქორწილის ამბავს ვაიდიშოვას "გუნდიც" უარყოფს.

## ავსტრალიაში ჩოგბურთი უყვართ

ავსტრალიური გამოცემა Sweeney Sports Report-ის ყოველწლიურმა ტრადიციულმა გამოკითხვამ მოულოდნელი შედეგი დააფიქსირა. როგორც აღმოჩნდა, ავსტრალიაში ყველაზე დიდი პოპულარობით ჩოგბურთი სარგებლობს. გამოკითხულთა 62 პროცენტმა დაუჭირა მხარი სპორტის ამ სახეობას.

ავსტრალიაში ტრადიციულად პოპულარულმა ცურვამ მეორე ადგილი დაიკავა - 61 პროცენტი, მესამეზე აღმოჩნდა სპორტის ეროვნული სახეობა - ავსტრალიური ფეხბურთი (57 პროცენტი).

## ნოამ ზიდანს გაასწრო

სულ სხვა მიზანი ჰქონდა ფრანგული გამოცემა Journal du Dimanche-ის გამოკითხვას. მას უნდა გამოევლინა წლის ყველაზე საყვარელი და პოპულარული მამაკაცი.

პირველი ადგილი დაიკავა წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა და ამჟამად არანაკლებ პოპულარულმა მომღერალმა **იანიკ ნოამ**.

1983 წლის როლან გაროსის ჩემპიონმა უკან ჩამოიტოვა ფეხბურთელი **ზინედინ ზიდანი**, რომელიც ამ რეიტინგს გასული წლის ივლისიდან ედგა სათავეში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიაში საფრანგეთის პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი**

ცრურწმენები

# რისი ეშინიათ პროფესიონალებს?

სპორტულ სამყაროში ყველაზე ცრუმორწმუნეებად ჩოგბურთელები ითვლებიან და ამ მხრივ, ისინი განსაკუთრებული მრავარფეროვნებით არიან გამორჩეულნი.

თავის დროზე, ლეგენდარულმა რუმინელმა ჩოგბურთელმა **ილიე ნასტასემ** კარგად გამოიყენა იტალიელი **ადრიანო პანატას** ცრუმორწმუნეობა. „ხულიგანმა" რუმინელმა მოთელვის დროს თავისი სპორტული ჩანთა გახსნა და იქიდან შავი კატა ამოუშვა. შიშისგან გაგიჟებული ცხოველი პანატას მიმართულებით გაიქცა, ჩოგბურთელი კი იმდენად დაიბნა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში გონს ვერ მოვიდა და პირწმინდად წააგო შეხვედრა.

კატები კორტზე - ეს რა თქმა უნდა, მეტოქეზე ზემოქმედების მოხდენის ექსტრემალური გამოვლინებაა და ნასტასეს შემდეგ ამ ხერხისთვის არავის მიუმართავს. უფრო ხშირად, ჩოგბურთელები წარმატების მისაღწევად თავად ირჩევენ მოქმედების ინდივიდუალურ კოდს, რომელსაც ბოლომდე არ ღალატობენ. ამ მხრივ, მათ ფანტაზიას მართლად არ აქვს საზღვარი. დავიწყოთ ყველაზე გავრცელებული ცრურწმენით.

### ხაზს ნუ დააბიჯებთ

სანამ თამაში განახლდება, კორტზე გადაადგილებისას რეკომენდებულია არ დააბიჯოთ ფეხი ხაზებს. ეს მთავარია წესია და ამას ბევრი პროფესიონალი დაგიდასტურებთ, განსაკუთრებით ქალები. შეეკითხეთ შვეიცარიელ **პატი შნიდერს**, პოლონელ **აგნეშკა რადვანსკას** ან სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვას**, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მატჩებს მხოლოდ მაშინ აგებენ, როცა ავიწყდებათ „დაწყევლილი თეთრი ხაზების" წესი.

### ლოკერები

ლოკერები, ანუ გასახდელებში ჩოგბურთელთა კარადები - დიდ ტურნირებზე ნამდვილ საკულტო ობიექტებს წარმოადგენენ. ჩემპიონებს ურჩევნიათ არ შეცვალონ თავიანთი ლოკერები. პირველად, აშშ-ის ღია პირველობის ორგანიზატორებს თავისი საკუთარი კარადის შესახებ თხოვნით **ჯონ მაკინროიმ** მიმართა. მას შემდეგ, უიმბლდონზე, როლან გაროსზე და აშშ-ის ღიაზე საკუთარი კარადები გაიჩინეს **ენდი როდიკმა, როჯერ ფედერერმა, მარია შარაპოვამ**...

სხვათა შორის, ლოკერებს შეუძლიათ „გამარჯვების ენერგიის" გადაცემა. გასულ წელს, ხორვატი **ივან ლუბიჩიჩი** მაიამის ტურნირზე მესამე წრის მატჩისთვის ემზადებოდა. მან კარადა გაალო და იქ მისდა გასაოცრად შიშველი (!) მიკაელ ლოდრა აღმოაჩინა. *„ბოლო დროს იმდენ მატჩებს იგებ, რომ შენი ენერგიით დამუხტვა მინდოდა"*, - ასე ახსნა თავისი უცნაური გადაწყვეტილება ფრანგმა ჩოგბურთელმა.

### გამარჯვების მენიუ

ამის თითქმის ყველას სჯერა. შემთხვევითი არ არის, რომ რომელიმე მნიშვნელოვან ტურნირზე პირველი გამარჯვების შემდეგ, ჩოგბურთელები ცდილობენ „ბედნიერ" კაბინაში მიიღონ შხაპი, შეუკვეთონ საუზმე იგივე მენიუთი, როგორც მოგებული მატჩის დღეს, ისადილონ იმავე რესტორანში... მაგალითად, ამერიკელი ენდი როდიკი თავის ბლოგში წერს: *„ერთხელ, პარიზში რომელიღაც ჩინურ რესტორანში ვისადილე და გამარჯვების შემდეგ, გადავწყვიტე ყოველდღე იქ მევახშმა. საბოლოოდ, ტურნირის ბოლოს მზად ვიყავი პირი ამომეკერა და საჭმელზე უარი მეთქვა, ოღონდ კი იმ საშინელ ადგილას არ წავსულიყავი"*.

### ნუ შეცვლით მაისურის ფერს

მატჩის შედეგზე შესაძლოა გავლენა იქონიოს თქვენი ეკიპირების ფერმაც კი, პირველ რიგში, ეს მაისურს ეხება. ასე მაგალითად, ტაილანდელი **პარადორნ შრიჩაფანი** ყოველთვის წითელ მაისურს იცმევს, როცა გადამწყვეტ მოქმედებაზე გადასვლა აქვს განზრახული. როგორც ჩანს, იგივე ცრურწმენა გაჩნია გერმანელ **ტომი ჰაასსაც**. დევისის თასის ნახევარფინალში, რუს ანდრეევთან პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ, ტომიმ წითელი მაისურა ჩაიცვა, რომელმაც მას აშშ-ის ღია პირველობაზე ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკთან** მოაგებინა. ამჯერად არ უშველა.

მოთამაშეებში არსებობს ისეთი აზრი, რომ ყვითელ ფერს მხოლოდ წარუმატებლობა მოაქვს. ეს უნდა გაითვალისწინოს ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, რომელიც ხშირად თამაშობს ამ ფერის ფორმით.

### ნადალის უცნაურობები

რადგან ესპანელი ჩოგბურთელი ვახსენეთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მისი რამდენიმე მინი-რიტუალი. ენდი როდიკი ასე აღწერს რაფას უცნაურობებს: *„თუ გეიმებს შორის პაუზებისას ნადალს დააკვირდებით, დაინახავთ, რომ დროის 90 პროცენტს ის წყლის ბოთლებს უთმობს. ის თითქმის არ სვამს, სამაგიეროდ, ბოთლებს მხოლოდ მისთვის გასაგები პრინციპით აწყობს. მას აგრეთვე ახასიათებს თითქმის ყოველი მოწოდების წინ წინდების გასწორება"*.

### ბედნიერი ბურთები და სიმები

ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტს** ჩვევად აქვს ის ბურთი მოაწოდოს, რომლითაც მან წინა გათამაშება მოიგო. თუ ამ მხრივ ბოლბოი უყურადღებოა, აუცილებლად დაიმსახურებს თავისი კერპისგან მკაცრ შენიშვნას. ბედნიერი ბურთების მაგიისა სლოვაკ **დომინიკ ჰრბატისაც** სჯერა. გარდა ამისა, ის თავს დაჰფოფინებს თავისი ჩოგნის სიმებს, სადაც Babolat-ის ლოგოტიპის გვერდით მხიარული სახეა დახატული. *„ეს გამოსახულება მატჩის ყველაზე დაძაბულ მომენტებში ფსიქოლოგიურ დატვირთვას მიხსნის"*, - ამბობს ჩოგბურთელი.

### მუსიკა დიდი ძალაა

ლეიტონ ჰიუიტი ყოველი მატჩის წინ აუცილებლად უსმენს მოკრივეთა ჰიმნს (Eye of the Tiger) ფილმიდან „როკი". მისი სიტყვებით, ეს სიმღერა გაცილებით ამაღლებს სისხლში ადრენალინის დონეს. რუსი **სვეტლანა კუზნეცოვა** თავის ფლეერს მხოლოდ კორტზე არ ატარებს, ისე კი, ამ ჩოგბურთელს მუსიკა, როგორც იტყვიან სისხლში აქვს. *„მუსიკა მაწყნარებს და მობილიზაციის საშუალებასაც მაძლევს"*, - აღიარებს კუზნეცოვა.

### თილისმები და ამულეტები

ენერგიის შენარჩუნებისა და წარმატების მოპოვების კლასიური ხერხია - ამულეტები და თილისმები. კარიერის საუკეთესო წლებში, რუს **მარატ საფინს** ყელზე სხვადასხვა სისქის მინიმუმ სამი ძეწკვი ჰქონდა დაკიდებული. ერთ-ერთზე დის, **დინარა საფინას** ნაჩუქარი ბეჭედი ეკიდა.

საერთოდ, ჩოგბურთელთა თილისმებს თვლა არ აქვს. პლუშისა და პლასტმასის კურდღლები, სპილოები, დინოზავრები, თაგვები და ძაღლები, რომლებსაც მოთამაშეები ჩანთებზე იკიდებენ. ასე ძირითადად იუნიორი ჩოგბურთელები იქცევიან, რომელთაც სჯერათ, რომ ეს თილისმები აუცილებლად დაეხმარებათ რეიტინგის უმაღლესი საფეხურისკენ გზის გაკვალვაში.

პროფესიონალებმა კი თავიდან უნდა აიცილონ ვარდნა და ხშირად, ამისთვის ცოცხალ თილისმებს იყენებენ. ასე მაგალითად, ესპანელი **არანტა სანჩესი** აკრედიტაციას უკეთავდა თავისი საყვარელი ძაღლისთვის, რომელიც ჩოგბურთელს თითქმის ყველა ტურნირზე დაყვებოდა. ასევ ძაღლით მოგზაურობდნენ მსოფლიოს გარშემო ამერიკელი **მარტინა ნავრატილოვა** და რუსი **ანა კურნიკოვა**. ამ უკანასკნელს ჩოგბურთში დიდი წარმატებები არ ჰქონია და ამიტომაც, ის „ბედნიერ" გამონაკლისად ჩავთვალოთ.

### გამარჯვების შემდეგ

მატჩის მოგების შემდეგაც ჩოგბურთელთა რიტუალები მრავალფეროვანია. თუმცა მოთამაშეთა უმრავლესობა გამარჯვების აღსანიშნავად ჩოგანის ან მუშტის მაღლა აღმართვით შემოიფარგლება. მაგრამ ზოგიერთი ჩოგბურთელი ამას უფრო ორიგინალური ხერხით აკეთებს. ერთ-ერთი მათგანია შვედი **იონას ბიორკმანი**. გამარჯვების ქულის მოპოვების შემდეგ, ის მარჯვენა ფეხის წვერს ხელში იჭერს, გასაოცარი მოხერხებით ინარჩუნებს წონასწორობას, რითაც მხიარული საბალეტო ილეთი გამოსდის. რუსი **მიხაილ იუჟნი** თავზე ჩოგანს იდებს და ამავდროულად, სამხედრო ყაიდაზე „ჩესტს" აძლევს მაყურებელს. ძმები **ბრაიანები** მატჩის მოგების შემდეგ ნახტომს ასრულებენ და ჰაერში მკერდით ეჯახებიან ერთმანეთს. ხოლო სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** მაყურებლებში ისვრის თავის მაისურს.



ბრაიანებმა მორიგი თამაში მოიგეს

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახალი კონსტიტუცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა

ეროვნული ბიბლიოთეკა